

04.06.2016  
ბეჭედის მატერიალი

L

ცოგჩაცი

№ 169 15 კოლექტ 2016

1737  
2016

ვასი ლარი


ISSN 1987-7528  
9 771987752008

მთავარი თავა  
რასური  
სტუდენტებს

გვ. 54



# კვების მოწილეები



ახალი  
ეროვნული  
გუჟვანები  
სახელმწიფო  
მოწეს

შეიძინეთ  
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“  
პირველი წიგნი



სამართლო „არანუაზი“



ციბისი



№ 169 აპრილი 2016

**რედაქტორის რედაქტორი**  
ზურაბ ვარდიაშვილი  
განვითარების მინისტრი  
ლიკა ზაქაშვილი  
ახალი ამავაგის რედაქტორი  
დათო გამისონია  
ფინანსთა დამსახური  
ლევან ხერხელიძე

**რედაქტორის თავი**  
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაქაშვილი, ქეთევან ლევან გვილი, თათო ხალანი, ეკა მარიამ ლიკაშვილი, სოფო აფცაური, თემ ანაშვილი, დათო ფარულავა, ნიაია ამირინაშვილი, დათო გამისონია, სალომე გრიგორძე

**ართიანი ართობის აღმასრულებელი**  
ლევან ახალავა, დავით ბუხრიკიძე, გრიგოლ გეგელია, გიორგი კეკელიძე, გიო ახვლედავანი, ლევან ბერძნიშვილი, პატარ ქარდაძე

**რედაქტორის რიზანის თორნიკე ლორთქიფანიძე**

**რედაქტორის ას ინიციატივის რედაქტორ-სამინისტრის ა/კონკრეტული წილი**

**თემატიკური ჯგუფის რედაქტორ-სამინისტრის კონკრეტული წილი**

**აზნარის მიმოხილვას შენახვის ქანკანის ქანკანი**

**ადამიანთა და უცხოური მიზანის კულტურული მიზანი**

**ასომათებულის გვიგი**

**ურნალის გამოწერის მსურველები და გვარაშვილით: 247 02 46**

## გამოცხადება:

შპს „ლებერალი“.  
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246  
ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
ვებგვერდი: www.liberali.ge  
საარტიკლო უფლებელი დაცულია.  
უფრინიშები გამოქვეყნებული  
მსალებელის ნაწილისრიცე ან/ან  
მთლიანი გამოყენება რედაქციის  
თანხმობის გარეშე აკრძალულია.

## გვერდება:

შპს „ლებერალი“.  
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოიცის თვეში ერთხელ, ყოველ  
10 რიცხვში. პირველი ნოტირ  
გამოიცემულია 2009 წლის მისიში.  
რეკომენდებულ საცალი ფასი 5 ლარი.

## ტორტი

საპარლამენტო არჩევნების თარიღი ცნობილია. 8 ოქტომბერი. თუმცა მანამდე, ვიდრე კონკრეტული თარიღი გამოცხადებოდა, მმართველმა ძალამ წინასაარჩევნო პერიოდში ერთობ უცნაური ტრანსფორმაციით შეაბიჯა.

როგორც წესი, წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიები ერთიანდებიან, ბლოკებად იკვრებიან, კოალიციებს ქმნიან. ასე მოხდა თუნდაც ოთხი წლის წინაც. ახლა ხელისუფლებამ, ერთი შეხედვით, ალოგიკური ნაბიჯი გადადგა და კოალიცია დაშალა.

ალოგიკურობის განცდას აძლიერებს ფაქტი, რომ დაშლილი კოალიციის წარმომადგენლები მთავრობაში საქმიანობას განაგრძობენ. ისინი იღებენ იმ პოლიტიკური ძალის პასუხისმგებლობას, რომელთანაც ფორმალურად უკვე ოპოზიციაში დგანან.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

ცნობილი ამბავია, რომ ამომრჩეველთა ნახევარზე მეტს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, ვის მისცეს ხმა. ეს მოცემულობა დიდ ასპარეზს აჩენს ახალი, ან მეტ-ნაკლებად ახალი პოლიტიკური ძალებისთვის. შეიმჩნევა შესაბამისი მოძრაობებიც.

ამ მოძრაობებში კი შეიმჩნევა კონსერვატორულ ვნებათა დუღილი, საკმაო პოპულარობის პერსპექტივებით. მმართველი ძალა ხიფათს გრძნობს და თავისებურად ემზადება. ამ მზადების ერთ-ერთი გამოხატულება სწორედ იმ ხმებზე ნადირობაში აისახა, რომელთა მფლობელებისთვისაც უფრო გასა-



გები, ახლობელი და შინაური იქნება, თუკი არაფერი გაკავშირებს დეკლარირებულ ლიბერალურ ღირებულებებთან.

მკვეთრად გამოხატული დასავლური ღირებულებების მატარებელი ძალისგან დისტანცირებით, მმართველი ძალა იმედოვნებს, რომ საარჩევნო ტორტის „კონსერვატიული ფრთი-დან“ მსუყე ნაჭერს ჩამოჭრის, თუმცა ეს დისტანცირება ძალიან მაღალი ალბათობით ფორმალურია. ამ დისტანცირებულ ძალებს, პრაგმატული თვალსაზრისით, ერთმანეთი სჭირდებათ, თუმცა არა ამომრჩეველთა დასანახად.

საარჩევნო კამპანია უფრო გამოკვეთს ამ „პატარა ტრიუკის“ კონტურებს, მაგალითად იმით, თუ რამდენად „გაიმეტებენ“ ერთმანეთს ყოფილი პატინიორები.

დაველოდოთ და თვალ-ყური მივა-დევნოთ.

**ზურაბ ვარდიაშვილი, ურნალის რედაქტორი**

- 04 ავტორები  
მიმოხილვა
- 06 დიდი ძმის თვალი ეკრაში  
ავტორი: ლევან ახალაია  
**თვალსაზრისი**
- 12 ბარბაროსები ჭიშკარს შიგნით  
ავტორი: გრიგოლ გეგელია
- 18 მეზუთე ზონა  
ავტორი: პატა ქურდაძე  
**პოლიტიკა**
- 22 „რესპუბლიკელები“ 5%-იანი  
ბარიერის პირისპირ  
ავტორი: დათო გამისონია  
**ეკონომიკა**
- 26 ფული 15 წელში  
ავტორი: სოფო გოგიშვილი  
**სამართალი**
- 30 ბავშვები ქუჩებიდან  
ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი
- 35 ვისთვის რა „სარგებლობა“ მოაქვს  
ფარულ ჩანაწერებს  
ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი  
**საზოგადოება**
- 40 მთაში დასაბრუნებლად – ცდა  
მეორე  
ავტორი: თათია ხალანი  
**ინტერვიუ**
- 50 რევოლუცია აუდიტორიებიდან  
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი  
**განათლება**
- 54 რა სურთ სტუდენტებს  
ავტორი: სალომე გორგოძე  
**ფოტოპროექტი**
- 60 #ავტონომიაუნიკერსიტეტი  
ავტორი: სოფო აფციაური  
**ბაბლიონიერა**
- 72 ეროვნული ბიბლიოთეკის  
ემიგრაციის დაბაზი და ლევილის  
ბიბლიოთეკის მომავალი  
ავტორი: გიორგი კეკელიძე
- 74 კედელთან მიყენებული  
ლიტერატურა  
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი  
**კულტურა**
- 78 „რეჟისორის ყველა გზა მაინც  
გადასალები მოედნისენ მიდის“  
ავტორი: დავით ბუხრიკიძე  
**სპორტი**
- 82 კაცი ხვალიდან  
ავტორი: გიორგი ახვლედიანი



## სამართალი

### ბავშვები ქუჩებიდან

ქუჩაში ხელგაწვდილი მოზარდის ან ზენრებში გახვეული ახალშობილის დანახვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხშირ შემთხვევაში, ამ ბავშვებს არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ და შესაბამისად, არც განათლებასა და ჯანდაცვაზე მიუწვდებათ ხელი. ეს კი მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. სხვადასხვა უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი კანონპროექტი, რომელმაც ეს და სხვა პრობლემები უნდა მოაგვაროს, სპეციალისტთა დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა მისი აღსრულებისთვის საჭირო რესურსი, ჯერჯერობით, არასაკმარისია.

ქეთი ღვედაშვილი  
გვ.30



სამყარო

## ფული 15 წელში

რეგისტრაციის ფორმა მარტივია. ვებფეიჯის პირველივე გვერდზე სანიშნია. რაც უფრო მარჯვნივ გასწევს მას მომხმარებელი, მით უფრო იზრდება იმ თანხის რაოდენობა, რომელიც მცირე პროცედურის გავლის შემდეგ ანგარიშზე რამდენიმე წამში გაჩნდება. სესხის გამცემ კომპანიას სახელი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილისა და ელ-ფოსტის მისამართი, პირადი ნომერი და ყოველთვიური შემოსავლის ოდენობა აინტერესებს. ამ ველების შევსების შემდეგ ავტომატურად გადავდივართ რეგისტრაციის შემდგომ ეტაპზე და თანხა ბალანსზე ირიცხება.

სოფო გოგიძეილი  
83.26

ინტერვიუ

## რა სურთ სტუდენტებს

თსუ-ის პირველი კორპუსის 115-ე აუდიტორიაში სტუდენტები ნელ-ნელა იკრიბებიან. აუდიტორია თანდათან ივსება. ზოგი სკამზე ზის, ზოგიც – იატაკზე. სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“ მორიგ სამუშაო შეხვედრას მართავს. დღევანდელი შეხვედრის მოდერატორი მოძრაობის ერთ-ერთი წევრი თორნიკე შევარდნაძეა. თორნიკე მაგიდასთან ზის. მის უკან დაფაა. დაფაზე ცარცით წერია „ავტონომია უნივერსიტეტს!“, – ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად სკანდირებდნენ სტუდენტები მარტში გამართული საპროტესტო აქციების დროს.

სალომე გორგოძე  
83.54



საზოგადოება

## მთაში დასაპრუნებლად – ცდა მეორე

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინასწარი მომაცემები აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობა 2002 წლის აღწერასთან შედარებით 23,8%-ით შემცირდა.

მიგრაციის ყველაზე მაღალი რიცხვი რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის (37,4 %) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (29%) რეგიონშია.

მიზოვებული მიწები, სახლები და ეზოები. მიზეზი ბევრია, მძიმე კლიმატური პირობები, უნიკლობა, უგზოობა, უმუშევრობა, საკომუნიკაციო საშუალებების ნაელებობა, ადგინისტრაციული ცენტრისგან სიშორე, ჯანდაცვის და საგამანათლებლო მომსახურებაზე.

ხელმისაწვდომობის პრობლემა. როგორ ცხოვრობენ მთაში? რამდენად პასუხობს სახელმწიფოს ახალი გეგმა მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს?

თათია ხალიანი  
83.40





**ლევან ბერძენიშვილი**

**კედელთან მიყენებული ლიტერატურა**

ცნობილია, რომ გამორჩეულად საშიშ პროფესიებს შორის სახელდება მასწავლებლობა, ასტრონავტობა, ტაქსის მძღოლობა და ა. შ. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე საშიში პროფესია სწორედ მწერლობაა – ბოლოს და ბოლოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იშვიათად შეხვდებით იმდენ თვითმკვლელობას, რამდენსაც მწერლობაში.



პაატა ქურდაძე  
მეხუთე ზონა

თქვენ ვერ იპოვით  
ვერც ერთ ნორ-  
მალურ ქვეყანას,  
სიტყვა ღალატს  
ადამიანების ყოველ-  
დღიურ ლექსიკაში  
ამხელა ადგილი რომ  
ეჭრიოს. მით უმეტეს,  
აზრის გამოხატვის  
კონტექსტში. გან-  
საკუთრებით ვერ  
იპოვით დასავლურ  
სამყაროში, სადაც  
აზრის ქონის უფლე-  
ბის პატივისცემა ერ-  
თგვარი სამოქალაქი-  
რელიგიაა.



გრიგოლ გაგელია  
ბარბაროსები  
ჭიშკარს შიგნით

ქველად თუ იტყოდ-  
ნენ, ბარბაროსები  
კარიბჭეს მოსდგო-  
მიანო, დღეს შეგვი-  
ძლია ვთქვათ, რომ  
ბარბაროსები კარი-  
ბჭის შიგნით შემო-  
პარულან. ციცერო-  
ნისა არ იყოს, ისინი  
შეცნობილ მტერზე  
უფრო საშიში არიან,  
რადგან აქ და ახლა,  
ჩვენს ირგვლივ  
ფარულად იღვნიან  
ქალაქის კარიბჭის  
დასაცემად.

“

იტყვიან ხოლმე,  
მოაზროვნე  
ფეხბურთელი  
იყოო. არის  
ასეთი გამოთქმა.  
მოაზროვნე  
ფეხბურთელი.  
კრუიფი მოაზროვნე  
ადამიანი იყო.  
უკიდურესად  
ჭკვიანი,  
განათლებული და  
უნიჭირესი კაცი.



გიო ახვლედიანი  
კაცი ხვალიდა

ძალიან სამწუხარო და  
სევდიანი ამბავია, რომ  
აღარ არის ფეხბურთის  
დიდი გამცოცხლებელი  
და შემოქმედი, რომელიც  
ლაპარაკობდა ხოლმე  
მღელვარედ, ხისტად,  
ნარმოუდგენლად შთამ-  
ბეჭდავად და სწორად,  
ხოლო თამაშობდა ისე,  
რომ გეგონა, ეს დღეს კი  
არა, ხვალ ხდება.



ეს ბლოგი, ერთგვარად ირაციონალური, ნაკლებად განკუთვნილი აზროვნების  
ცნობიერი შრისთვის, ეძღვნება ყველას, ვისაც კლავენ, ვისაც შვილს უკლავენ, ვისაც  
ანამებენ, ვისაც ყიდიან, ვისაც თელავენ, ვისაც ხელს ჰერავენ...


## ბიოგრაფია

ნათა ჭანჭიკიძე  
უყურე ცას



აპალი აგენტი

1/5


ამონიკის ხავარულაციის  
კომიტეტიასაკის და ასაკურის  
განვითარებისა და განვითარების  
მინისტრის მიერ განვითარების  
მინისტრის მიერასაკის და ასაკურის  
განვითარებისა და განვითარების  
მინისტრის მიერ განვითარების  
მინისტრის მიერასაკის და ასაკურის  
განვითარებისა და განვითარების  
მინისტრის მიერ განვითარების  
მინისტრის მიერ

ჩვენ გირჩევთ

განვითარებული კულტურული მდგრადი მოწყვეტილე

შემოგვირთდი განახლებულ

# www.liberali.ge\_ %




ციალური ინჟინერია  
ხრეთში და RMG-ის  
ნაალმდეგ პროფესიონალურების  
იერ მოგებული სასამართლო  
როცენი.

ა. ქარა



რთველის  
გართულებული  
არითმეტიკა



The Economic  
Development  
Ministry  
of Georgia  
Advanced  
cultural  
model

# დიდი ძმის თვალი ევროპაში

## ლევან ახალაია

მსოფლიომ ტერორიზმს „გლობალური ომი“ ოფიციალურად 18 წლის წინ გამოუცხადა. მაშინ გაერომ აშშ-ის თხოვნით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც უშიშროების საბჭომ კველა ქვეყანას თანამშრომლობისკენ მოუწოდა, რათა 1998 წელს ტანზანიასა და კენიაში აშშ-ის საელჩოებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილები სათანადოდ დასჯილიყვნენ. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ კი გაეროში ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მრავალი სამუშაო ჯგუფი თუ კომიტეტი შეიქმნა, რომელთა რეკომენდაციითაც უამრავ ქვეყანაში გაამკაცრეს კანონმდებლობა, უფრო იოლი გახდა სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლა... დაიწყო ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, 18 წლის შემდეგაც კი ექსტრემისტების ძალადობა არ წყდება. 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროში თვითმკვლელი თავდასხმელების მიერ მოწყობილ აფეთქებებს პოლიტიკოსების უმრავლესობამ უკვე ტრადიციად დაუცემული გზავნილები დაუპირისპირა – სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, კონტროლის გამკაცრება საზღვრებზე და ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება, მათ საბოლოო დამარცხებამდე.

### ვეროპა და „პატრიოტის აქტი“

ტერაქტების შემდეგ ბელგიის დედაქალაქში ჩასულმა ევროპელმა ძალოვანმა მინისტრებმა, ისევე როგორც შარშან პარიზის თავდასხმების შემდეგ, პირველ რიგში სპეცსამსახურების მუშაობის დახვეწის პირობა დადეს, საამისოდ კი კანონმდებლობის შეცვლაა აუცილებელი. სინამდვილეში ევროპაში ეს პროცესი და თანმდევი დისკუსიაც უკვე დიდი ხანია დაწყებულია.

საფრანგეთის მთავრობამ ჯერ კიდევ შარშან, ივნისში მიიღო სადაც კანონი, რომელიც სპეცსამსახურებს ტერორიზმი ეჭვმიტანილების ტელეფონის მოსმენისა და მათი ელექტრონული მიმოწერის, კონტროლის საშუალებას სასამართლოს წესრიგის გარეშე მისცემს. აღნიშული კანო-

ნი ასევე ავალდებულებს სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, მონაცემები სამართალდამცველებს გადასცენ. ყველაზე ცხარე კამათი კი „შავი ყუთების“ გარშემო მიმდინარეობს. აღნიშნული მოწყობილობის კომპლექსური აღგორითმი ინტერნეტის მომხმარებელთა აქტივობას აანალიზებს და საეჭვო შემთხვევებს აღრიცხავს. საუპარია არა მხოლოდ ვებგვერდებზე, რომელსაც მომხმარებელი ხშირად სტუმრობს, არამედ საძიებო სისტემებში გამოყენებულ სიტყვებზეც. კანონს მკაცრად აკრიტიკებდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები. საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის გამო, ის ძალაში ჯერ არ შესულა.

არასამთავრობო ორგანიზაციებს აშფოთებს შარშან ტერაქტების შემდეგ საფრანგეთში შემოღებული საგანაგებო მდგომარეობის რეზიმიც, რომლის ფარგლებშიც სამართალდამცველებს დროის ნებისმიერ მონაკვეთში ჩხრეკისა და პოტენციურად საშიში პირების დაკავების უფლება სასამართლოს სანქციის გარეშე აქვთ. პრეზიდენტი ილანდი კიდევ უფრო შორს წავიდა, როდესაც გამოვიდა ინიციატივით, ტერორიზმის ბრალდებულებს მოქალაქეობა ჩამოართვან, თუმცა საკანონმდებლო ორგანიზი ამ ზომების მიღებაზე უარი თქვეს.





2016 წელს სპეცსამსახურების უფლებამო-სილება პოლონეთშიც გააფართოეს. სენატის გადაწყვეტილებით, ინტერნეტმომხმარებელთა მონაცემების მიღება სამართალდამცველებს პროვაიდერების თანხმობისა და სასამართლოს მხრიდან მკაცრი ზედამხედველობის გარეშე შექმნილებათ. მთავრობა ამტკიცებს, რომ მონაცემების დამუშავებისა და შენახვისთვის მკაცრი ვადებია დანესხებული, თუმცა ოპოზიცია, უფლებადამცველები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ახალი კანონი მოქალაქეთა კონფიდენციალურ ინფორმაციას დაუცველს ხდის. რეგულაციის შესწავლა უკვე დაიწყო ვენეციის კომისიამ და დასკვნა, სავარაუდოდ, ივნისში გამოქვეყნდება. პოლონეთში ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ ასევე მსჯელობენ ანტიტერორისტული კანონმდებლობის გამკაცრებაზე.

ინტერნეტმომხმარებელთა მონაცემების შენახვის მიზანშეწონილობაზე მსჯელობენ დიდ ბრიტანეთშიც. მარტში თემთა პალატის 266 დეპუტატმა მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომლითაც პროვაიდერებს პერსონალური მონაცემების 12 თვის ვადით შენახვას დავალდებულებენ. შინაგან საქმეთა სამინისტროში ამტკიცებენ, რომ პროექტის მიხედვით პირადი

მონაცემები მაქსიმალურად დაცული იქნება. თავის მხრივ, ოპოზიცია აცხადებს, რომ კანონის სამუშაო ვერსაში ინფორმაციასთან წვდომის უფლება ისეთ სახელმწიფო უნიკებებსაც აქვთ მინიჭებული, რომლებსაც ეს საერთოდ არ სჭირდებათ. ამიტომ მონაცემების უკანონოდ გავრცელების საფრთხე მატულობს. შენიშვნები უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც აქვთ. ისინი პროექტის დაჩქარებული წესით მიღების ნინააღმდეგ გამოდიან.

2016 წლის დასაწყისიდან ინტერნეტში თვალ-თვალი იფიციალურად შეუძლიათ გერმანია-შიც. ამისთვის უკვე არსებობს სპეციალური პროგრამა, რომელიც სამართალდამცველებს კომპიუტერებსა თუ სმარტფონებში დიალოგების რეალურ დროში ნაკითხვის შესაძლებლობას აძლევს, თუმცა მისი გამოყენება დასაბუთებისა და სასამართლოს წებართვის გარეშე დაუშვებელია.

ევროპაში პერსონალური მონაცემების გარშე-მო დისკუსია უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. ტერორიზმსა და ზოგადად დანაშაულთან ბრძოლისათვის ფარული მიყურადებისა და თვალ-თვალის ტექნიკის გამოყენება მნიშვნელოვან საფრთხეებს შეიცავს და ეს რისკი დროთა გან-მავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება.



## პერსონალური მონაცემების ფასი

ინფორმაციული ტექნოლოგიების კვლევითი კომპანიის, „Gartner-ის“ მონაცემებით, 2020 წლისთვის გლობალურ ქსელში ერთმანეთთან 21 მილიარდი ხელსაწყო იქნება დაკავშირებული. დღეს ასეთი გაჯეტების რაოდენობა, დაახლოებით, 6.4 მილიარდია. შედარებისთვის, ინტერნეტით მოსარგებელ ადამიანების რაოდენობა 3.4 მილიარდს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ უკვე დღეს ინტერნეტში ჩართულია უფრო მეტი ხელსაწყო, ვიდრე ადამიანი. სმარტფონი, სმარტსათი, ფიტნესტრეკერი, ელექტრონული კბილის ჯაგრისიც კი – აგროვებს ინფორმაციას. შესაბამისად, მათ მნარმოებლებს აქვთ დოკუმენტურად დადასტურებული ცნობები ჩვენი ინტერესების, ჩვენების, გადაადგილების შესახებ. ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მოხდეს, ეს ინფორმაცია სპეცსამსახურების განკარგულებაში რომ აღმოჩნდეს. ცდუნება ნამდვილად დიდია. ამის მაგალითად გამოდგება აშშ-ში აგორებული სკანდალი, რომლის მთავარი გმირები ფედერალური საგამოძიებო ბიურო და კორპორაცია „Apple“ არიან. ტრადიციულად, ყველაფერი ტერორიზმს უკავშირდება, კერძოდ – შარშან, დეკემბერში კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ბერნარდინში, მასპინვე მკვლელობის ერთ-ერთ მონაწილე საიდ ფარუქს და მის ტელეფონს. გამომძიებლებმა „Apple-ის“ პროგრამისტებს აიფონიდან ინფორმაციის უნებართვოდ ამოღება მოსთხოვეს. თავად ფარუქი სპეციალისტისას მოკლეს და ასეთ ნებართვას ფიზიკურად ვერ გასცემდა. რა თქმა უნდა, „Apple-ში“ შესაბამისი პროგრამის შექმნაზე უარი თქვეს და განაცხადეს, რომ

ფედერალური საგამოძიებო უწყების მოთხოვნა მილიონობით მომხმარებლის პირად მონაცემებს საფრთხეს უქმნის.

საბოლოოდ სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კომპანია არ არის ვალდებული, ეს ინფორმაცია გადასცეს სამართალდამცველებს. საგამოძიებო უწყებაში კი განაცხადეს, რომ ტელეფონიდან საჭირო ცნობების მისაღებად სხვა გზა იპოვნეს და ამაში მათ „მესამე მხარე“ დაქმარა. ერთი შეხედვით, ვითარება კომიკურია, რადგან, ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, რომ სპეციალისტებს, რომლებიც აიფონის პროგრამული უზრუნველყოფის ავტორები არიან, ტელეფონის „გასაღები კოდი“ არ აქვთ. მეორე მხრივ; კომპანიამ ლოგიკური გადაწყვეტილება მიიღო და მომხმარებლის ნდობა შეინარჩუნა.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია. 28 მარტს გამოძიებამ შეძლო ტერორიზმში ეჭვმიტანილის ტელეფონიდან სასურველი ინფორმაციის მიღება. ეს ნიშნავს, რომ მათ მიაგნეს პროგრამულ უზრუნველყოფაში არსებულ ე.ნ. შავ ხვრელს. ყველაზე საინტერესო ახლა იწყება. გააცნობს თუ არა ფედერალური საგამოძიებო ბიურო ტელეფონიდან მონაცემების მიღების ახალ მეთოდს კომპანიის სპეციალისტებს, თუ დატოვებს მას საიდუმლოდ?! სწორედ ამაზეა დამოკიდებული „ეფლის“ პრესტიჟი და მილიონობით ადამიანის პირადი მონაცემების ბედიც, რომლებიც შესაძლოა დაუცველი აღმოჩნდეს.

კონსპირაციული თეორიების მოყვარულები იტყვიან, რომ აღნიშნული საქმე ფარსია და სპეცსამსახურებს მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემებთან წვდომა ისედაც აქვთ, თუმცა მათი ეს მოსაზრება ერთი წუთით რომ დავიცინებოთ, დავინახავთ, რომ დღეს უკვე არსებობს ისეთი მექანიზმები და შიფრები, რომლებიც ავად თუ კარგად უზრუნველყოფს პირადი მონაცემების დაცვას. ასეთ სერვისი მრავალფეროვანია და სამწუხაორი, მათ იყენებენ ბოროტმოქმედებიც, რაც ბევრ ქვეყანაში სპეცსამსახურებს ამფოთებთ.

ტექნოლოგიების განვითარების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, მონაცემების გადაცემას, მით უფრო კი მათ უსაფრთხოებას, დღეს გაცილებით დიდი ფასი აქვს. ეს საკითხი მწვავედ დგას ევროპაშიც, სადაც აშშ-ის უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს (NSA) ფარული

თვალთვალისა და მიყურადების პროგრამის გარშემო აგორებული ხმაურიანი სკანდალის შემდეგ ვაშინგტონს ისევ ისე თამამად ვეღარ ენდობიან.

ედვარდ სნოუდენის მიერ მხილებული პროგრამის გამო დაწყებული სასამართლო დავის შედეგად, 2015 წლის ოქტომბერში ევროპულ-მა სასამართლომ გააუქმა 15 წლის განმავლობაში მოქმედი შეთანხმება, რომელიც ამერიკულ კონცერნებს ევროპის სახელმწიფოებთან პერსონალური მონაცემების შეუზღუდავად გაცვლის საშუალებას აძლევდა. მართალია, რამდენიმეთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, 2016 წლის თებერვალში ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ახალი დოკუმენტი „Privacy Shield“ მოამზადეს, თუმცა ძალაში შესვლამდე ის ჯერ ევროპარლამენტმა და ბლოკის წევრი 28 სახელმწიფოს მთავრობამ უნდა მოინონოს. „Privacy Shield-ის“ მიმართ ევროპულებს ბევრი შენიშვნა აქვთ. ევროკომისიაში კონკრეტულად ამ საკითხზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა ახალ პროექტს „მყიფე“ უწოდეს. ხელშეკრულება აშშ-ის სპეციალსახურებს გამონაკლის შემთხვევებში მოქალაქეთა პირად მონაცემებთან წვდომის უფლებას და საშუალებას მაინც უწოვებს. სასურველი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მაშინ, როდესაც საქმე ეხება უცხო ქვეყნების სპეციფიკურ აქტივობას, ბირთვული იარაღის გავრცელებას, ტერორიზმს, კიბერუსაფრთხოებას, აშშ-ისა და მისი მოკავშირების შეიარაღებული ძალებისადმი ღია მუქარას და ტრანსნაციონალურ კრიმინალურ ქსელებთან ბრძოლას.


საინტერესო დეტალია ისიც, რომ პერსონალური მონაცემების გაცვლის პირობებზე შეთანხმების გარეშე, აშშ-სა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, შესაძლოა, გაჭიანურდეს. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციას კი პირიქით, პროცესის დაჩქარება სურს, რათა შეთანხმება ბარაკ ობამას ვადის ამონურვამდე გაფორმდეს. ამის შესახებ ბრიუსელის ტერატების შემდეგ ბელგიაში ჩასულმა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ისაუბრა. ჯონ კერიმ ყურადღება ამერიკულ და ევროპულ სპეციალსახურებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობაზე გაამახვილა. ანალოგიური მოსაზრება აქვს აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წევრ, პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატ ჰილარი კლინტონსაც. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ამბობს, რომ ევროპის სპეციალსახურებმა უფრო ხშირად და თამამად უნდა გამოიყენონ მათი ამერიკელი კოლეგების მიერ დანერგილი მეთოდები. მათ შორის ელექტრონული თვალთვალიც.

ცალკე საკითხია, რამდენად ეფექტიანი იყო აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ფარული თვალთვალისა და მიყურადების პროგრამა. ობამას ადმინისტრაციაში ამტკიცებენ, რომ ამ ხერხით უამრავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინეს.

თუმცა სანინაალმდეგო დასკვნამდე მივიდა თეორ სახლში მომუშავე ჯგუფი. ჯერ კიდევ 2013 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ მილიონობით მოქალაქეების სატელეფონი საუბრების მიყურადების შედეგად ტერორისტების ვერც ერთი სერიოზული გეგმის ჩაშლა ვერ მოხერხდა.

2015 წელს სან ბერნარდინოში მოკლული საიდ ფარუქის საქმეს რომ დაგუბრუნდეთ, ის ადასტურებს, რომ ინტერნეტტექნოლოგიების სფეროში მომუშავე კორპორაციების გავლენა განუხრელად იზრდება, ხოლო თანამედროვე სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად მონაცემების დაშიფვრა იქცა. სწორედ აქ ჩნდება ხშირად კონფლიქტი სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა შორის, რომლებიც კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას ლეგიტიმურად მოითხოვენ. „ოქროს შუალედი“, როგორც ჩანს, ჯერ ვერც ერთ ვერ სახელმწიფოში იპოვნეს.





### „დიზი ძმის“ პიზნესი პოლიტიკაში

ფარული თვალთვალისა და მიყურადების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება დღეს უკვე აღარავის უკარის. ვებგვერდ „ვიკილექსის“ დამფუძნებლის, ჯულიან ასანუისა და შემდეგ უკვე ედვარდ სნოუდენის მიერ გამოქვეწებული მასალები კიდევ დიდი ხანი დარჩება განხილვის საგნად. ორივეზე დღეს ძებნაა გამოცხადებული, თუმცა ისიც ცხადია, რომ ეს პერსონაჟები უკვე დიდი ხანია, თავისთავად იქცნენ გლობალური პოლიტიკური სცენის თითქმის უცვლელ აქტორებად. უფრო საინტერესო კი ის არის, რომ პოლიტიკური კომპრომატების შესაგროვებლად საჭირო ტექნიკით ვაჭრობა ბოლო წლებში საქმიან სარფიანი ბიზნესი გახდა.

2015 წლის 28 იანვარს პანამის ყოფილი ლიდერი რიკარდო მარტინელი სამშობლოდან გაიცა. რამდენიმე საათის შემდეგ კი უზენაესმა სასამართლომ ის კორუფციასა და ჯაშუშობაში დამაშავედ ცნო. როგორც საქმიან ირკვევა, 63 წლის მარტინელის ბრძანებით, წლების განმავლობაში უსმენდნენ 150-ზე მეტი ადამიანის სატელეფონო საუბრებს. კითხულობდნენ მათ ელექტრონულ მიმოწერასაც. პრეზიდენტის პოლიტიკური ოპონენტების გარდა, მსხვერპლთა შორის აღმოჩნდნენ ბიზნესები, უურნალისტები, მოსამართლეები, კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსი და ქალი, რომელიც გამოიტანის ვერსიით, მარტინელის საყვარელი იყო.

ადგილობრივი მედიის ცნობით, პანამის ყოფილმა ლიდერმა ფარული თვალთვალისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შესაძენად კერძო კომპანიებს 13.4 მილიონი დოლარი გადაუხადა. მარტინელის პარტნიორებს შორის იყვნენ ეპრაული და აიერიკული ფირმებიც.

ბრიტანული „Privacy International-ის“ მონაცემებით, ფარული მიყურადებისთვის განკუთვნილ

აპარატურას ეპრაული კომპანიისგან 2005 წლიდან კოლუმბიაც ყიდულობდა. 2015 წლის დასაწყისში უკანონო მოსმენების საქმეზე კოლუმბიის ყოფილი ლიდერის, ალვარო ურიეს ადმინისტრაციის 20-ზე მეტი წევრი პასუხისმგებაში მისცეს. ბრიტანელი უფლებადმცველების ანგარიშის თანახმად, მოსასმენ აპარატურას ყიდულობდა ასევე ყაზახეთისა და უზბეკეთის მთავრობაც.

უკანონო მოსმენების სკანდალს ვერ გადაურჩა ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი სახელმწიფო მაკედონიაც. შარშან თებერვალში იპოზიციონერმა, ზორან ზაევმა გაასაჯაროვა ფარული ჩანაწერები. ის ამტკიცებს, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკოლა გრუევსკი და მისი ახლო ნათესავი, რომელიც ამ პერიოდში სადაზვერვო სააგენტოს ედგა სათავეში, პირადად ხელმძღვანელობდნენ მოქალაქეთა „ფარული მიყურადების ოპერაციას“. ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ყველა ფერში დამნაშავები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები არიან, რომლებსაც ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაცია სურთ.

საუბარია 20 ათას ჩანაწერზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მაკედონიის ყოველი 100 მოქალაქიდან ერთს უკანონოდ უთვალითვალებდნენ. მათ შორის იყვნენ მინისტრები, უურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და უცხოელი დოკომატები.

დაძაბულობის განმუხტვის მიზნით საქმეში ევროკავშირის ჩარევა გახდა საჭირო. შედეგად ოპოზიციასა და მთავრობას შორის შეთანხმება შედგა. მაკედონიაში 2016 წლის ივნისში რიგგარეშე არჩევნები უნდა გაიმართოს. რაც შეეხება ფარული მიყურადებისთვის საჭირო ტექნიკის წარმომავლობას, ამ შემთხვევაში საქმეში ეპრაულ კომპანიებთან ერთად სლოვენიური ფირმებიც ფიგურირებენ.





Wall Street Journal-ის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2011 წელს ფარული მიყურადებისა და თვალთვალისტვის საჭირო პარატურით მოვაჭრე კომპანიების ნლიური ბრუნვა 5 მილიარდ დოლარს აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ნლებში მსოფლიოში სახელმწიფო უწყებების მხრიდან მოქალაქეთა მასობრივი თვალთვალის არაერთი შემთხვევა გაცხადდა, ჯერ კიდევ არ არსებობს ქმედითი მექანიზმი, რომელიც თუნდაც ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებში შეჩნეულ მთავრობებს მაინც აუკრძალავს უკანონო მოსმენებისთვის საჭირო ტექნიკის შესყიდვას.

### „თანამედროვე ტერორიზმი“

ფარული მიყურადება და თვალთვალი – მხოლოდ ერთ-ერთი იარაღია იმ არსებობის, რომლითაც მსოფლიო დღეს ტერორიზმის დამარცხებას ცდილობს. დრონების იქრიშები, საზღვრის გაძლიერებული კონტროლი, მოწმეთა დაკითხვისას პოლიციის უფლებამოსილების გაფართოება – არც ერთი ეს ნაბიჯი, რომელთა გადადგმაც ევროპულ სახელმწიფოებს ტრადიციულ ღირებულებებზე ნაწილობრივ მაინც უარის თქმის აიძულებს, ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეთა სრულ უსაფრთხოებას. ინდივიდუალური პირების მხრიდან ძალადობა კვლავ არ არის გამორიცხული. ასეთი მოვლენებისგან დაცული ვერც დემოკრატიულ და ვერც ავტორიტარულ სახელმწიფოებში იქნებიან.

„თანამედროვე ტერორიზმს“ ერთი კონკრეტული მიზეზი არ აქვს. შესაბამისად, არ არსებობს ერთი გამოსავალიც. სწორედ ამის გამო, კონტრტერო-რისტულ სტრატეგიაში საჭირო ცვლილებებზე უკვე არაერთი პოლიტიკოსი საუბრობს. ეს საკითხი მოხვდა გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშშიც, რომელიც ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენ-ციას ეხება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ბოლო პერიოდში არაერთი ახალი დაჯგუფების გამოჩენის გამო, საერთაშორისო თანამეგობრობა სულ უფრო მეტად იხრება იმ მოსაზრებისკენ, რომ ნლების წინ „ალ ქაედას“ წინააღმდეგ მიღებული ზომები, ვერ უშლის ხელს და არ არის საკმარისი ძალადობრივი ექსტრემიზმის გავრცელების შესაჩერებლად. ისიც ნათელია, რომ სპეცსამსახურების შესაძლებლობები განუსაზღვრელი არ არის. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კონფლიქტის ზონაში მათი ჯარისკაცები არ იმყოფებიან.

მთავარი კი მაინც ის პასუხია, რომელსაც განვითარებული სამყარო ზოგადად ტერორიზმს და ამ შემთხვევაში „დაეშს“ გასცემს. აღნათ, არავის სჯერა, რომ ექსტრემისტები ევროპას ან აშშ-ის დაიპყრობენ, თუმცა მათ თავისუფლად შეუძლიათ პოლიტიკური კლიმატის მონაბეჭდა. ექსტრემისტებს სურთ, განვითარებულმა მსოფლიომ მათ დასამარტებლად საკუთარი ღირებულებების დაცვაზე უარი თქვას. თუნდაც თავდაპირველად „დიდ ძმად“ გადაქცევის გზით. ■

# ბარბაროსები ჭიშკარს შიგნით

გრიგოლ გეგელია  
პოლიტიკური იდეების  
ისტორიკოსი



საქართველოში წინასაარჩევნო თვეების დადგომასთან ერთად ტრადიციისამებრ გაძლიერებულია ანტიდემოკრატიულ და რეგრესისტულ ძალათა საქმიანობაც. მათი უმთავრესი მიზანია საქართველოში პროგრესისტული პოლიტიკის დასუსტება, საქართველოს დაბრუნება რუსეთის გავლენის თრიაზე და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის საპოლონდ მოსპობა. ამ ძალათა-გან ზოგიერთი ერთმნიშვნელოვნად პროგრესულია და ამას არც მაღავს. მათ შორისაა, ევრაზიის ინსტიტუტი, ევრაზიული არჩევანი, გორჩაკოვის ფონდი და სხვანი.

მაგრამ, მათ შორისაა, აგრეთვე, ობსკურანტული იდეოლოგიის პარტიები თუ პერსონები, რომლებიც უფრო ჭევიანურ თამაშს თამაშობენ და თავს არა გარე ძალის მხარდამჭერად, არამედ ე. წ. „პროეართულ“ ძალებად ნათლავენ. ტიპურად, ისინი ფარად იყენებენ „კონსერვატიზმს“, როგორც პოლიტიკურ იდეოლოგიას და „ტრადიციას“, როგორც ისტორიულ კატეგორიას. ისინი იმალებიან ირაციონალური განსჯის, შეთქმულების თეორიებისა და ემოციების ბურუსში, რომელსაც თავადვე ქმნიან და თავადვე იყენებენ. რეალური ადამიანების რეალურ პრობლემებზე საუბრის ნაცვლად, ისინი მეასესარისხოვანი თემების გამოყენებით თვითონ ქმნიან პანიკას, რომლის წყალობითაც, შემდეგ თვითონვე იღებენ პოლიტიკურ სარგებელს.

ეს ძალები უფრო საშიშა, ვიდრე ღიად პრორუსული ძალები, რადგან ბევრი არ დაუჭერს მხარს ღიად პრორუსულ ძალას რუსეთისადმი ანტიპათიისა თუ მორალური სირცევილის გამო, მაგრამ ბევრი დაუჭერს მხარს ძალას, რომელიც რუსეთს კი არ

ემხრობა, არამედ რაღაც სხვას უარყოფს, რაღაცას აპროტესტებს. აი, მაგალითად, ჩოხოსან კონსერვატორს, რომელიც ამბობს, რომ „საქართველოს 20% ოჯუპირებულია რუსეთის მიერ, 80% კი – ლიბერალური ფაშიზმის მიერ“. ბევრი, ვინც რუსეთის იმპერიალისტურ ბორტებას და საქართველოს სიძლიერის ჯეროვნად აცნობიერებს, შესაძლოა, მაინც მოხსბლული დარჩეს გზავნილის დანარჩენი ნაწილით, მაგრამ არავინ არ მოტყუცდეს: ეს სწორედ რუსეთის ახალი პროგანდისტული ხრიკია.

ბევრის აზრით, რუსეთის პროპაგანდის ისტორიაში ახალი ფაზა 2008 წლის რუსულ-ქართული მოს შემდეგ დაიწყო, როდესაც სამხედრო გამარჯვების მიუხედავად, რუსეთი ინფორმაციულ ომში დამარცხდა. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული, ახალი პროპაგანდისტული ფილოსოფიით შეიარაღებულმა რუსეთმა ახალი ომი დაიწყო, რომელსაც ახალი მიზნები, ახალი სამიზნე აუდიტორია და ახალი მონაწილეები ჰყავს. საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, რუსული პროპაგანდის ტრადიციული მისია მსოფლიოსათვის კრემლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დადებითად ნარმოჩენა იყო.

თანამედროვე რუსული პროპაგანდა, გარკვეულწილად, კვლავ ინარჩუნებს ამ ტრადიციას. თუმცა დღეს მას ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ამოძრავებს, რაც გულისხმობს არა იმდენად საკუთარის პოზიტივურ ჭრილში ნარმოჩენას, რამდენადაც მონინააღმდეგის უარყოფითად ნარმოდეგნას. რუსეთის ახალი მიდგომა ძველ მიდგომებზე უფრო საშიშიცა, რადგან ის სუბკერსიულია და განიზრახავს ოპონენტის შინვე დამარცხებას, იმ ფუნდმენტურ სვეტებზე თავდასხ-



მითა და დასუსტებით, რომელსაც მოწინა-ადმინისტრაციის პოლიტიკური და კულტურული წესრიგი ეფუძნება.

შესაბამისად, ამ ტიპის პროპაგანდის სამოქმედო ველი გახვდება არა იმდენად შინ, როგორც გარეთ. მისი მოქმედების არეალია არა რუსეთი, არამედ დასავლეთი და საზოგადოდ პროდასავლური ქვეყნები. მისი პოტენციური მსხვერპლი კი არა რუსი ხალხი, არამედ პირველ რიგში – ყველა სხვა. თანამედროვე რუსული პროპაგანდის უმთავრესი მიზანია, დაარჩნენოს საერთაშორისო საზოგადოებები არა რუსეთის სიკარგეში, არამედ საკუთარი მთავრობების არალეგიტიმურობაში, ისე, როგორც სრულიად დასავლური წესრიგის სისუსტესა და ნეგატიურობაში. ეს სუბკურსიული მიდგომა მიზნად ისახავს ძებერი ევროპის საძორვების შენიდან გამოხვრას, რამაც საბოლოოდ მისი კოლაფსი უნდა გამოიწიოს.

### თუკი უნინ

რუსეთი პროპა-  
განდის უმთავრეს  
ამოცანად საკუ-  
თარი წესრიგის  
სიკარგის მტკი-  
ცებას მიიჩნევდა,  
მომხრეებსაც  
იდეოლოგიურად  
ირჩევდა. შესაბა-  
მისად, რუსეთის  
გავლენის ბუნე-  
ბრივ და ტრადი-  
ციულ აგნტებს  
ნარმალებენდნენ  
ევროპის კომუ-  
ნისტური პარტიე-  
ბი და ზოგიერთი  
სხვა მემარცხენე  
ინტელექტუალი  
თუ გაერთიანება.

ახალი პროპაგანდისტული მისიის ხასიათი რუსული მედიის სტრატეგიებშიც ნათლად ჩანს. რუსულმა საინფორმაციო აპარატმა შექმნა სრულებრივი პროპაგანდისტული პლატფორმა შეთქმულების თეორეტიკოსების, ნეოფაშისტების, ნეონაცისტებისა და ულტრაენსერვატორებისათვის. Russia Today-ს და მსგავსი გამოცემების კომენტატორებად ხშირად გვევლინებიან ოდიოზური ფიგურები, რომელთაც აერთიანებთ ევროპული „ის-თაბლაშმენტის“, „სისტემის“ და ევროპული კავშირის სიძულვილი. ბევრი მათგანი ჩვეულებრივი ფაშისტია, რომელიც პოლოვისტის არსებობას უარყოფს, ბევრიც – ჩამოყალიბებული რასისტი, ზოგი კი სეპარატისტი, როგორიცაა, მაგალითად, იტალიის ჩრდილოეთის ლიგის ლიდერი მატეო სალვინი. სხვათა შორის, სალვინი კვაზიდიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს სამხრეთ კავკასიის სეპარატისტულ ენერგიებთან, მათ შორის ე.

## ნ. „სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლობებთან“ რომში.

სხვადასხვა ჯურის ფაშისტების, რასისტების, შეთქმულების თეორეტიკოსების, ჩვეულებრივი ევროსკეპტიკოსებისა თუ სეპარატისტების მიზიდვით, რუსეთი ცდილობს, გააცოცხლოს და ასპარეზზე დაბრუნოს მივიწყებული, უმეტესად არაპოპულარული და მარგინალიზებული დასავლური პოლიტიკური ჯგუფები. მაგალითად, რუსული მედია „ცნობილ გეოპოლიტიკურ ანალიტიკოსად“ წარმოაჩენს უცნობ პოლონელ ნეონაცისტ მატეუშ პიკორსკის, რომელიც მარადუამ კრემლის გეოპოლიტიკური პოზიციების ადვოკატია. კიდევ ერთ „სახელგანთქმულ ანალიტიკოსად“ გვევლინება აცტრიის თავისუფლების პარტიის ლიდერი ჰაინც-ქრისტიან შტრახე, რომელიც რუსეთმა პირველად 2008 წლის რუსულ-ქართული კონფლიქტის შეფასებისას თავისი პოზიციების დამცველად და საქართველოს ინტერესებისა და პრეზიდენტ სააკემპილის კრიტიკოსად მოიშველია.

ანალიტიკოს ანტონ შეხოცოვის ანალიზის მიხედვით, თუკი უნინ რუსული მედია კმაყოფილდებოდა ევროპის კრიტიკული მომენტების უზრალოდ ფართოდ გაშუქებით, ბოლო წლებში მან დაიწყო იმ ადამიანთა კომენტატორებად მიწვევა, ვინც ამ კრიზისებს კრემლისათვის საბარბილო იდეოლოგიურ შეფასებებს აძლევს. ამის მაგალითია ფრანგი ულტრანაციონალისტი მარინ ლე პენი, რომელიც 2013 წლიდე თვითონ იყო სიახლეების მასალა, მას შემდეგ კი კომენტატორად და ამდენად საჯარო აზრის შემქმნელად მოგველინა. არანაკლებ მნიშვნელოვანია თვითი ის გარემოება, რომ ეს ჯგუფები ევროპული ჯგუფებია. რუსეთი ცდილობს, ევროპელთა პირითვე დააკნინოს ევროპული წესრიგი და იდეალები, ხოლო ეს ევროპული ჯგუფები მნინდლოს, როგორც სიმართლისათვის მებრძოლი, არაკონფორმული ჯგუფები. შეხოცოვის თქმით, „რუსეთის მედიამ ურთიერთობა დაამყარა ძალებთან, რომლებიც ცდილობენ დასავლეთისათვის ძირის გამოთხრას და ცდილობს, აამაღლოს მათი სანდოობა და ხედვადობა“.


თუკი უნინ რუსეთი პროპაგანდის უმთა-

**ბევრ ჩვენგანს ემახსოვრება ხმები იმის თაობაზე, თუ როგორ დაპ-პირდა პუტინი საბერძნეთს ფინანსურ სარგებელსა და მხარდაჭერას, თუკი ის გავი-დოდა ევროპუ-ლი კავშირი-დან. უნგრეთმა, რომელსაც პუტინისა და „არალი-ბერალური დემოკრა-ტიის“ მომხრე ავტორიტატისაგან 10 მილიარდის ოდენობით სესხი მიიღო.**

ვრეს ამოცანად საკუთარი წესრიგის სიკარგის მტკიცებას მიიჩნევდა, მომხრებსაც იდეოლოგიურად ირჩევდა. შესაბამისად, რუსეთის გავლენის ბუნებრივ და ტადიციულ აგენტებს წარმოადგენდნენ ევროპის კომუნისტური პარტიები და ზოგიერთი სხვა მემარცხე-ნე ინტელექტუალი თუ გაერთიანება. ახალი პროპაგანდისტული ბრძოლის კონტექსტში კი კრემლის პოზიციების ერთგულ გულშემატკი-ვრად რადიკალი მემარცხენები ისევე გვხვდებიან, როგორც რადიკალი მემარჯვენები. ახალმა მიდგომამ, რომელიც ცდილობს, თავის სამსახურში ჩააყენოს, თავის მხრივ, ერთმანეთისაგან იდეოლოგიურად განსხვავებული საპროტესტო მოძრაობები, ბუნებრივიად გამოიწვია მომხრეთა არეალის გაფარიორებაც.

რუსეთი დღემდე ინარჩუნებს გავლენას ევროპის მემარცხენე ძალების გარკვეულ ნაწილზე, რომელთა შორის შეხვედრით არა მარტო ძველებური ყაიდის კომუნისტურ პარტიებს, არამედ უფრო ახლებური ტიპის მემარცხენე ძალებსაც – მაგალითად, გერმანულ Die Linke-ს. მსგავსად ამისა, ბერძნული მემარცხენე SYRIZA-ს რამდენიმე წევრს უთანამშრომლია რუს ნაციონალისტ იდეოლოგ, ალექსანდრე დუგინთან, თუმცა ევროპულ პოლიტიკაში რუსეთის კიდევ უფრო სერიოზულ დასაყრდენ ძალებს რადიკალი მემარჯვენები წარმოადგენენ. მათ შორისაა ანტისემიტური Jobbik უნგრეთში, ნეოფაშისტური Golden Dawn საბერძნეთში, ულტრანაციონალისტური Front national საფრანგეთში, ავსტრიის თავისუფლების პარტია, UKIP გაერთიანებულ სამეფოში, ნაციონალისტურ-ფაშისტური Ataka ბულგარეთში და მრავალი სხვა დაჯგუფება.

რადიკალ მემარჯვენე ძალათა უმრავლესობას აერთიანებს ესტრემალური ნაციონალიზმი, ქსენოფობია, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების არალიარება და უგულებელყოფა, ისევე, როგორც ევროპული კავშირის სიძულეები. იმშვა ფშერი, გერმანიის მემარცხენე ლიდერი და წარსულში ვიცე-კანცლერი, სამართლიანად აღნიშვას, რომ „მათთვის, პოლიტიკური ერთიანა არ არის კონსტიტუციური და ლეგალური წესრიგის მიმართ მოქალაქეთა საერთო სწრაფვის პროდუქტი... 1930-იანების



მსგავსად, ისინი ერის წევრობას განსაზღვრავენ საერთო წარმომავლობისა და რელიგიის მიხედვით". მათი პროექტი, ერთად აღეძული, ახალი ფაშისტური ეკრობის პროექტია. შესაბამისად, ისინი ინონებენ პუტინის მიერ ადამიანის უფლებების რეგულარულ უგულებელყოფას ისე, როგორც პუტინის ობოზიციას ევროპული კავშირის იდეისა და პოლიტიკის წინააღმდეგ.

ხოლო რადიკალ მემარცხენეთა ჯგუფებს ამერიკის იმპერიალისტური საგარეო პოლიტიკისა და ჰეგემონიის, ისე როგორც დასავლური კაპიტალიზმის სისულეებით ახასიათებს. რაოდენ ლეგიტიმურიც არ უნდა იყოს მემარცხენეთა სურვილი სისტემის რეფორმისა, სამწესარიდ, სრულიად ამორალური, არაპრინციპული და ანტისოლიდარულია ამის გამო საერთო ენის გამონახვა ვლადმირ პუტინთან, რომელიც არც დემოკრატიას ცნობს, არც სამოქალაქო თავისუფლებას და მემარცხენე აქტივიზმისაც სრულიად რუსეთის მასშტაბით დევნის.

იდეოლოგის მიუხედავად, მარგინალურ ჯგუფებს, აგრეთვე, აერთიანებთ ფინანსებისა და პოპულარულობის ნაკლებობა და სწორედ აქ იჩენს თავს გულუხვი კრემლი, რომელიც ფინანსური და ეკონომიკური ნახალისების პოლიტიკითა და საეთერო დროის მინიჭებით, საკუთარი პოლიტიკის სამსახურში აყენებს მარგინალურ საპროტესტო ენერგიებს. ბევრ ჩვენგანს ემახსოვრება ხმები იმის თაობაზე, თუ როგორ დაპირდა პუტინი საბერძნეთს ფინანსურ სარგებელსა და მხარდაჭერას, თუკი ის გავიდოდა ევროპული კავშირიდან. უნგრეთმა, რომელსაც პუტინისა და „არალბერალური დემოკრატიის“ მომხრე ავტორიტარი ვიქტორ ორბანი მართავს, რუსეთისაგან 10 მილიარდის ოდენობით სესხი მიიღო.

იმავე პუტინის რუსეთმა, რუსი ბიზნესმენების დახმარების სანაცვლოდ, 900 000 ევრო გადასცა ავსტრიის თავისუფლების პარტიის ან უკვე გარდაცვლილ ლიდერს, იორგ პაიდერს. და პირიქით, რუსეთის მომხრე ევროპელი პო-

ლიტიკოსები იღებენ სარფიან ეკონომიკურ შეთავაზებებს რუსეთში. მაგალითად, ფრანგმა ბიზნესმენმა და ევროსკეპტიკური ჯგუფის „მოძრაობა საფრანგეთისათვის“ ლიდერმა, ფილიპ დე ვილიერმა, რომელიც პუტინსაც შეხვდა პირადად, ყირიმში თემატური პარკის აშენების მეტად სარფიანი კონტრაქტი მიიღო. ის პირველი ევროპელი ბიზნესმენია, ვინც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსის შემდეგ იქ საქმიანობა წამოიწყო.

ამის სანაცვლოდ, რადიკალური ჯგუფები პოზიტიურად აფასებენ რუსეთის პოლიტიკას და რიგ შემთხვევაში, ევროპულ პარლამენტში რუსეთის პოზიციების სასარგებლობაც აძლევენ ხმას. მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის რადიკალმა მემარჯვენებმა 2008 წელს მხარი დაუჭირეს რუსეთის აგრესიას საქართველოს სუვერენული ტერიტორიისა და მისი მოქალაქეების მიმართ. საპერმენეთის მთავრობაში მოსვლამდე, SYRIZA-ს წევრებმა ევროპარლამენტში თავი შეიკავეს უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერისაგან, ამასთანავე არ შეუერთდნენ რეზოლუციას, რომელიც გმიბდა რუსეთში ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობოთა მემორიალის დახურვას და არც ყირიმის ანექსის შემდეგ მოსკოვისთვის დამატებითი სანქციების დაწესებას მიემხრნენ. UKIP-ის ლიდერმა, ნაიჯელ ფარაუერა უკრაინა-რუსეთის კრიზისს უწოდა „ევროპული კავშირის მიერ პროვოცირებული“ და მხარი დაუჭირა ყირიმის ანექსის, ავსტრიის თავისუფლების პარტიის პარლამენტარები კი საერთოდაც ყირიმს ეწვივნენ.

ამდენად, რუსეთი თანაბრად იყენებს რადიკალურ მემარჯვენე და რადიკალურ მემარცხენე ენერგიებს თავისი მიზნების განსახორციელებლად, თუმცა მნიშვნელოვანია, გავიაზროთ, რომ წარსული დროებისაგან განსხვავებით, როდესაც საბჭოთა რუსეთის ბრძოლა იდეოლოგიური ხასიათის იყო, თანამედროვე რუსეთის ომი არც იდეოლოგიური ხასიათისა და არც რომელიდაც იდეოლოგიური პრინციპების განხორციელებას ან ერთგულებას გულისხმობს. მეტიც, რუსეთის იდეოლოგიური უპრინციპობა ყველგან ჩანს. რუსეთი, რომელიც თვითონ აფინანსებს

**ძველად თუ იტყოდნენ,**  
**ბარბაროსე-**  
**ბი კარიბჭეს**  
**მოსდგომიანო,**  
**დღეს შეგვი-**  
**ძლია ვთქვათ,**  
**რომ ბარბარო-**  
**სები კარი-**  
**ბჭის შიგნით**  
**შემოპარულან.**  
**ციცერონისა**  
**არ იყოს, ისინი**  
**შეცნობილ**  
**მტერზე უფრო**  
**საშიშნი არიან,**  
**რადგან ისინი**  
**აქ და ახლა,**  
**ჩვენს ირგვლივ**  
**ფარულად**  
**იღწვიან ქალა-**  
**ქის კარიბჭის**  
**დასაცემად.**  
**მათი ძალა**  
**მათივე ფარულ**  
**სუბვერსიუ-**  
**ლობაშია.**

ევროპულ ნეოფაშიზმს, ყირიმის კრიზისის უამს უკრაინის ხელისუფლებას მოიხსენიებდა ფაშისტებად. რუსეთი, რომელიც წარმატებით იყენებს ამერიკის წინააღმდეგ განწყობილ რიგ მემარცხენე ძალებს ევროპაში, მისავაე საზღვრებში დევნის და უსწორდება მემარცხენე აქტივისტებს, მოაზროვნებსა და ურნალისტებს. რუსეთი, აგრეთვე, დევნის ეკოლოგიურ აქტივისტებსაც, მიუხედავად იმისა, რომ NATO-ს ინფორმაციის თანახმად, იგივე რუსეთი წარმატებით იყენებს ევროპის ეკოლოგიურ მოძრაობებს, რომლებიც ენინააღმდეგებიან ბუნებრივი რესურსების ძიების პროცესში ბუნების საქმეებში დამატებით ჩარევას, რაც რუსეთის, როგორც ევროპისათვის გაზის მთავარი მიმწოდებლის, პირდაპირ ინტერესებშია.

წარსულისგან განსხვავებით, როცა რუსეთი იდეოლოგიურ ბრძოლებში იყო ჩართული და გამარჯვებასაც იდეოლოგიური ხასიათისას ექცდა, თანამედროვე რუსული პროპაგანდისტული ფილოსოფია განსხვავებულია. რუსეთი შეგნებულად თანამშრომლობს განსხვავებული იდეოლოგიის ძალებთან, რომელთაც განსხვავებული ტიპის პროტესტი აქვთ. მთავარი რუსეთისათვის არა მათი პროტესტის შინაარსი, არამედ ის არის, რომ ამ ძალებს გარკვეული ფორმის პროტესტი აქვთ და ცდილობენ დასავლეთის იდეისა და პრაქტიკის დაკინობას და უარყოფითად შეცვლას. მთავარი ის არის, რომ მათი მესიჯი ანტიეროპულია: ამა თუ იმ მიზეზის გამო, დასავლეთი განიცდის დაღმასვლას, მისი ბიუროკრატია არაეფექტური და ცუდია. ის ვერ უმკლავდება იმიგრაციას, ის არის მორალურად უფრო ნაკლოვანი, ვიდრე პუტინის რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ არსებობს არც სამოქალაქო თავისუფლება, არც უსაფრთხოება და არც მომავლის იმედი.

ძველად თუ იტყოდნენ, ბარბაროსები კარიბჭეს მოსდგომიანო, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარბაროსები კარიბჭეს შიგნით შემოპარულან. ციცერონისა არ იყოს, ისინი შეცნობილ მტერზე უფრო საშიშნი არიან, რადგან ისინი აქ და ახლა, ჩვენს ირგვლივ ფარულად იღწვიან ქალაქის კარიბჭის დასაცემად. მათი ძალა მათივე ფარულ სუბვერსიულობაშია. თუმცა,



თანამედროვე საქართველოში, პოლიტიკური პროცესის ანალიზისას ხშირად ვხვდებით პოლიტიკურ ძალთა „პროევროპულ“ და „პრორუსულ“ ძალებად დაყოფას, რომელიც ხშირად ჯერონიმად არ აფასებს მტრის ფარულ სუბვერსიულობას. ახალი პროპაგანდისტული დროის კონტექსტში შესაძლოა, ეს უკვე არაფრისმთქმელი დაყოფაც იყოს. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, ფორმალურად და მოჩვენებით ე.წ. „პროქართული“, სინამდვილეში კი ერებოს პოლიტიკის ერთგული ძალების საქმიანობა სწორედ რესეთის ახალი პროპაგანდისტული მისიის ჭრილში განვიხილოთ. სწორედ უახლესი წლების რესული პროპაგანდის მიდგომების გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, თუ ჩვენი ანალიტიკური აქცენტი ღია „პრორუსულობის“ ძებიდან მარგინალურ ულტრამარჯვენ ჯგუფთა პროტესტის შინაარსის ანალიზსა და მასთან პირდაპირ დაპირისპირებაზე გადავა. რადგან სწორედ ამ საპროცესტო ენერგიის მიღმა იმაღება პუტინის რესეთი, რომელიც ცდილობს, მისით დაამხოს ჩვენი პოლიტიკური და კულტურული წესრიგი.

რა თქმა უნდა, შესაძლოა, ამ ჯგუფების პროტესტის შინაარსი დროდადრო სამართლიანიც იყოს, მაგრამ ყველაზე ხშირად ის ცრუ ინფორმაციას და ემოციებით მანიპულირებას ემყარება. სინამდვილესთან კი საერთო არაფერი არ გააჩნია. ამ ჯგუფების პოლიტიკური შინაარსი ჩვენი შემდეგი წერილის საგანი იქნება, ამასობაში კი ერთი რამ ცხადია: სანამ ისინი არსებობენ და ძლიერდებიან, ქართული დემოკრატია საფრთხეშია. განსხვავებით დასავლური დემოკრატიებისგან, ის ჯერ კიდევ სუსტია, მისი ინსტიტუციური წესრიგი კი – კვლავ მყიფე. დასავლურ დემოკრატიებს აქვთ სისტემური იმუნიტეტი, რომელიც ყოველთვის გაუძლებს რესული პროპაგანდის მცდელობას, მოახდინოს სუბვერსიული, ჩუმი რევოლუცია შეგნიდან, მაგრამ, იმავეს ვერ ვიტყვით დემოკრატიებზე, სადაც ძლიერი და თავდაცვისუნარიანი ინსტიტუციური წესრიგი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, მომავალს კი მეტი გაფრთხილება სჭირდება. ■

# მეხუთე ზონა

პატა ქურდაძე  
მწერალი



რატომ ვართულებთ? პოლიტიკოსობა შეუძლია ყველას – ადვოკატიდან დაწყებული მეთევზით დამთავრებული. მხოლოდ მთავარია, თანახმა იყო, სულ ცოტა, ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ პრინციპზე – ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ თანამოქალაქეს აქვს თავისი აზრის ქონისა და გამოხატვის უფლება, შენ კი სხვისი აზრის პატივისცემის თუ არა (ყველა ვოლტერი ვერ იქნება), ატანის ვალდებულება მაინც. არავის აქვს უფლება, განსხვავებული აზრის გამო დაგაშანტაჟოთ...ეს არის აუცილებელი პირობა, მხოლოდ მისი გათვალისწინების შემდეგ შეგვიძლია, დავიწყოთ ამ თუ იმ პოლიტიკოსის ნიჭიერების ხარისხზე მსჯელობა.

ნებისმიერი თავისუფლება იწყება აზრის (თუ კი ის გაქვს) და, შესაბამისად, მისი გამოხატვის თავისუფლებით. მისი აგრესიული მეთოდებით გამოხატვის შეზღუდვა თავად აზროვნების შეზღუდვას ნიშნავს.

აგრესისა და შანტაჟის მტანჯველ შიში ადამიანი იატაკვეშა, ერთგვარ საბჭოთა სამზარეულოს დისიდენტურ მდგომარეობაში გადაჰყავს. მოჩურჩულე დისიდენტების არსებობა კი თავისთავად გამორიცხავს გამოხატვის თავისუფლებას და, შესაბამისად, დემოკრატიას.

ფსიქოლოგიური ზენოლის რამდენიმე ძირითადი მეთოდი არსებობს. მათი მოქმედების ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია: ის, რაც ქართველისთვის მორალური ტანჯვაა, პრიტანელს შესაძლოა, სასაცილოდაც არ ეყოს და პირიქით. (Что русскому хорошо, то немцу – смерть)

საქართველოში ფსიქოლოგიური ზენოლის ყველაზე პრიმიტული მეთოდი, რა თქმა უნდა, არის პატრიოტული გრძნობებითა და

მორალით ადამიანების მანიპულირება, მათში უაპელაციო სასჯელის შიშის ჩანერგვა. ნამების მთავარი ინსტრუმენტი კი სხვადასხვა ზომისა და ტკივილის გამომწვევ ლალატში ბრალდება. ღალატის რამდენიმე ძირითადი ფორმა თითქმის ყოველ ჩვენგანს გამუდმებულ მზადყოფნაში აქვს – „ინკოზიტორის ჯენტლმენური კომპლექტივით“. თუმცა მთავარი ჰიტი, რა თქმა უნდა, სამშობლოს ღალატია.

ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, ისეთივე და შესაძლოა ხანდახან მეტი რანგის დანაშაულიც კი არის, ვიდრე პედოფილია, ტერორიზმი და ის ბევრ ქვეყანაში სასჯელის უმაღლესი ზომით, მათ შორის სიკვდილით ისჯება.

ღალატს დანტე თავისი «ჯოჯოხეთის» ყველაზე ღრმა, უკანასკნელ მეცხრე გარსში ათავსებს. დიას – არა საძაგელ მკვლელებს, მნამებლებს, მრუშებსა და აბარტაჟნებს... არამედ სწორედ მოღალატეებს!

ცრემლების მდინარე კოკიტოსის გაყინული წყლებით დაფარულ ჯოჯოხეთის მეცხრე გარსში, სადაც ლუციფერის რეზიდენციაა, ოთხი ზონაა. პირველ – კაინაში (ძმის აბელის მკვლელი – კაინიდან) იტანჯებიან ისინი, ვინც მშობლებს უღალატა. მეორე – „ანტენორაში“ (ანტენორიდან, რომელმაც ტრიას პალადიუმი ბერძნებს ჩააბარა) – სამშობლოს მოღალატეები, შესამე – ტოლომეაში (ეგვიპტის მეფე პტოლემე XIII, რომელმაც, იულიუს კეისარისთვის რომ ესია-მოვნებინა, მასთან თავშესაფრის საძებნად ჩასული პომპეუსი მოაკვლევინა) იტანჯებიან ისინი, ვინც თავის სტუმარს უღალატა, ხოლო მეოთხე ჯუდეკაში (იუდა, რომელმაც იესო გაყიდა) ისჯებიან თავიანთ კეთილის-მყოფელთა მოღალატენი.

აგრესისა  
და შანტაჟის  
მტანჯველ  
შიშს ადამიანი  
იატაკვეშა, ერ-  
თგვარ საბჭოთა  
სამზარეულოს  
დისიდენტურ  
მდგომარეობა-  
ში გადაჰყავს.  
მოჩურჩულე  
დისიდენტების  
არსებობა კი  
თავისთავად  
გამორიცხავს  
გამოხატვის  
თავისუფლებას  
და, შესაბამი-  
სად, დემოკრა-  
ტიას.

ფაქტობრივად, ეს მეცხრე გარსი ჩვენი საზოგადოების მოდელია. რომლის ერთი ნახევარი მეორეს ღალატის ამ ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთში მაინც აუცილებლად ადანაშაულებს ყოველდღიურად, ხშირად კი – ორში, ან სულაც ოთხივეში. ანალოგიურად ექცევა მეორე ნახევარი პირველს.

ისინი, ყველანი უდიდესი სიამოვნებით გაგზავნიდნენ ერთმანეთს კოკიტოსის ყინულებში მარადიული ტანჯვისათვის და აგზავნიან კიდეც, მხოლოდ ვირტუალურად.

ჩვენ უკვე 25 წელინადია, ჯოჯოხეთის ამ ყველაზე ღრმა გარსში ვისტუმრებთ ერთმანეთს ყოველდღიურად და ერთი წუთითაც არ გვახსენდება ჩვენივე ისტორიის ყველაზე ტრაგიული წლები, როდესაც სწორედ საბჭოთა სამშობლოს ღალატის აბსურდული ბრალდებით ჩვენი წინაპრების ერთი ნაწილი მეორეზე „დანოსებს“ წერდა, ხვრეტდა, გულაგში აგზავნიდა.

მოგვიანებით, ეროვნული მოძრაობის „რენესანსის“ ეპოქაში ესეც სამშობლოს მოღალატებს დავაბრალეთ, მხოლოდ სხვა ტიპის,

კომუნისტი, სუკის აგნტ მოღალატებს... სწორედ მაშინ ჩაეყრა საფუძველი ჯოჯოხეთში უფასო საგზურების დარიგების დაუნდობელ ტრადიციას. აგნტები ხომ ყოველთვის სხვები იყვნენ და არიან... აჲ!.. რას ბრძანებთ! ჩვენ ხომ ყველანი 9 აპრილის გმირები ვიყავით! ჩვენი წინაპრები კი მხოლოდ და მხოლოდ რეპრესიების მსხვერპლი დისიდენტები და არა ჯალატები!... მაგრამ ჯალატები ნამდვილად არსებობდნენ, თანაც ბევრნი – ეს ფაქტია. მათ მშვიდად იცხოვრეს თავიანთი დამპალი ცხოვრება და თავიანთი სიკვდილით მოკვდნენ, აცრემლებული შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში... ჩვენ ყველანი მათ პანაშვიდებზე, გასვენებებში დავდიოდით. უსამიმრებდით, თანავუგრძნობდით... ერთმანეთთან ვმეგობრობდით, გვიყვარდა, ვქორნინდებოდით, გვიჩიდებოდა შვილები, რომლებსაც ძარღვებში ხშირად მსხვერპლისა და ჯალათის სისხლი ერთად უჩქეფდათ..

ზღვარი მსხვერპლსა და ჯალათის შთამომავლებს შო-

რის თანდათან წაიშალა. ასე აღმოვჩნდით ყველანი მხოლოდ მსხვერპლი.

და ეს მახსოვრობის ერთგვარი გაკეთილშობილება ძალიან ადამიანური პროცესია – ამაში მე პირადად ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ტრაგიკული არის ის, რომ ეს ადამიანები, ჯალატებისა და მსხვერპლების შვილები და შვილიშვილები ამდენა წლის შემდეგ ისევ მოღალატებს უწოდებენ ერთმანეთს, მეზობლებს, თანამშრომლებს... ოჯახის წევრებსაც კი, ისევ ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა მეცხრე გაყინული გარსისთვის სწირავენ... – რატომ? თითქოს რეპრესიების შიში აღარავის აქეს... მხოლოდ და მხოლოდ განსხვავებული აზრის გამო!

თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ ნორმალურ ქვეყანას, სიტყვა ღალატს ადამიანების ყოველდღიურ ლექსიკაში ამხელა ადგილი რომ ეჭიროს. მით უმეტეს, აზრის გამოხატვის კონტექსტში. განსაკუთრებით ვერ იპოვით დასავლურ სამყაროში, სადაც აზრის ქონის უფლების პატივისცემა ერთგვარი სამოქალაქო რელიგია, ისევე, როგორც მისი თავისუფალი გამოხატვისას სიფრთხილის დაცვა,

თუნდაც ეს ყველაზე საჭულველი პოლიტიკური ოპონენტის წინააღმდეგ იყოს მიმართული. ხშირად ამას ვერ ახერხებენ, მაგრამ ცდილობენ გამუდმებით და როდესაც წერვები კონტროლიდან ეპარებათ, როდესაც სიტყვა, ემოცია გაუსხლებებათ, არ მოსწონთ, არ ამაყობენ ამით, როგორც ჩვენთან.

ეს ვერბალური დამუნათება სულაც არ არის ხელნამოსაკრავი საკითხი. ის პირდაპირ კავშირშია არჩევნებთან, რომლის ცხელი ჯოჯოხეთური სუნთქვა სულ უფრო და უფრო გვიასლოვდება. მით უმეტეს კოალიციის დაგვიანებული დაშლის შემდეგ. არჩევნებში დამოკიდებულად მონაწილე პარტიების მატებასთან ერთად, საკარაუდოდ, „მოღალატეთა“ რაოდენობის მკვეთრ მატებას უნდა ველოდეთ.

დღეს ქართველი ამომრჩევლის თითქმის 100%-ს მოუნევს, ძლიერი შანგაუის პირობებში მისცეს ხმა მას, ვინც საუკეთესოდ მიაჩინა. შანტაჟს კი ენევა აბსოლუტურად



დანტე და ვერგილიუსი მეცხრე გარსზე. გუსტავ დორე. 1861 წ.

ყველა – მმართველი პარტიიდან და მათი მომხრეებიდან დაწყებული ორკაციანი, მინი და მონოპარტიიებით, მათი ლიდერების ოჯახის წევრებით დამთავრებული. პირველ რიგში ისინი, ჯერ კიდევ გუშინ რომ იყვნენ მმართველ კოალიციაში, ან „ნაციონალურ მოძრაობაში“, ან ნინო ბურჯანაძესთან... პირველი, რაც თავში მოსდით, როგორც კი ძალაუფლებიდან მიღიან, პოლიტიკური ოპონენტების პრორუსულობის ბრალდებაა. ამას აკეთებს უკლებლივ ყველა პოლიტიკური ძალა. ხოლო თუ გაბედე და შეეციხე: „ეი, მაგრამ, როგორ ხდება, რომ მაინცა და მაინც მაშინ გადაიქცევა ხოლმე ყველა სამშობლოს მოდალატედ, როდესაც კონკრეტული შიდა პოლიტიკური პრობლემა ჩნდება, რომელიც უშუალოდ მათ ეხება და არა საგარეო?“ ადეკვატური პასუხი არავის აქვს, შენც არ „ანვები“, რადგან გეშინია... ოღონდ, თვითონაც არ იცი, რისი... ალბათ, შანტაჟის. სწორედ შანტაჟია დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსის მთავარი ბრძოლის იარაღი, ხოლო დევიზი – «ჩვენ კი არა ვართ კარგები, თქვენ ხართ ცუდები, ბოროტები და პრორუსები. ჩვენ მხოლოდ ნაკლებად ბოროტები ვართ, ხალხს კი ჩვენს გარდა არჩევანი არ გააჩნია, ამიტომ ჩვენ აგვირჩევენ!»

ერთადერთი, რითაც ქართველ პოლიტიკოსებს შეუძლიათ, ამომრჩეველს თავი მოაწონონ, მათი პოლიტიკური კაპიტალი, მოწინააღმდეგებზე დაგროვილი სრულიად ასურდული კომპრომატებია და არა საკუთარი იდეები და პროგრამა. ამ კომპრომატების ჰიტი კი რუსულ სპეციამსახურებთან თანამშრომლობაა. უკვე ოცდახუთ წელიწადზე მეტია, სრულიად ერი ამ საგარაუდო აგენტების გამოვლენით არის დაკავებული. არა და, ეს სულაც არ არის ჩვენი – მოქალაქეების საქმე. ამისათვის სპეციამსახურები არსებობენ. ჩვენ მხოლოდ მოხალისე პავლიკა მოროზოვები ვართ – სხვის ღალატზე ერიენტირებული ქართველი მგზნებარე პატრიოტები! რომელთა ბოლო თავშესაფარი... რუსეთია, ხოლო ღალატი ჩვენი სიბრიუების უკანასკნელი არგუმენტი.

არჩევნებამდე, სავარაუდოდ, რუსეთისა და ღალატის თემა სრულიად კოსმიურ მასშტაბს მიიღებს. მით უმეტეს, სულ ახლახან კავკასიაში გაჩენილი ძალიან სერიოზული საფრთხის, სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის ფონზე, რომელსაც კიდევ უფრო ფართოდ შეუძლია გაშალოს «მოდალატე» პოლიტიკოსთა და ექსპერტთა სპეცტრი. ოქტომბრამდე ჩვენ ყველანი მოდალატეები აღმოვჩნდებით. ერთმანეთს მორალურად დავხვრეტთ, საბოლოოდ გაგრძნადგურებთ.

ყოველივე ამას მიაქვს მთელი ის დრო, ენერგია, ნერვები და, შესაბამისად, ჯანმრთელობა.. რომელსაც საქ-

მეზე ფიქრსა და მის კეთებას უნდა ვახმარდეთ. ქართული პოლიტიკური დისკურსის 90%-ზე მეტი სრულიად ფუჭი, უსარგებლო და ძალიან არასერიოზულია როგორც პოლიტიკოსების, ასევე ეგრეთ წოდებული მესამე სექტორის სუპერექსპერტების, უურნალისტების...

ჩვენ ქართველები ბრუტი ხალხი ვართ – ნოუანსების გარეშე. შესაძლოა, ოდესალაც არ ვიყავით ასეთები, მაგრამ გავხდით. ამიტომ ხანდახან ვფიქრობ, იქნება აჯობებს, მივიჩინოთ, რომ კრემლის აგენტობა, თავისი ბანალობის წყალობით, საქართველოში უბრალოდ მოცემულობაა – ჩვენ ყველანი აგენტები და მოღალატეები ვართ და მორჩა! ბასტა! გადავიდეთ შემდეგ თემაზე, თორემ ერთმანეთის თვალოთვალსა და დევნაში ისევ გვეპარება თვალსა და ხელს შეა ოცდამერთე საუკუნე, როგორც მეოცე გავვეპარა.

საქართველოში უნდა დამთავრდეს ეს რაღაც სულელური ბრძოლა მოქალაქეებრივი ზნეობის მონოპოლიზაციაზე, რომელსაც ბრესტის ცარცის წრეში ჩაყენებული ბავშვივით ექაჩებიან თავისეკნ სახელისუფლებო და მთავარი ოპოზიციური ძალები, დანარჩენები კი მათ გარშემო დარბიან ყიუინით, ხან ერთს ჩაებდაუჭებიან უკან დასახმარებლად ხან – მეორეს. ეს მოსაწყნი მასკარადი უკვე იმდენი ხანია, გრძელდება, რომ თითქოს გაქვადა და ბარათაშვილის ხიდთან, კონკის გვერდით – ბერიკაობის ძველ სკულპტურას დაემსგავსა.

ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ამ პარაზიტი თემებისგან და ადგილი დავუთმოთ ნამდვილ პოლიტიკურ დისკურსს.

პირადად მე გაქვავებულ პოლიტიკურ ძალათა იერარქიის ერთგვარი დარბილების მიზნით, შემიძლია, ეგრეთ წოდებული „სასარგებლო არჩევანი“ გავაკეთო და ხმა მიუცე პოლიტიკურ ძალას, რომელიც სულაც არ ენერება ჩემს პოლიტიკურ გემოვნებაში... მაგრამ ღმერთო! ჩემი კანის თითოეული ფორით წინასწარ ვგრძნობ, როგორ შემოდის ჩემში შხამიანი სიძულვილი იმ ადამიანებისგან, ვისთვისაც ჩემი „პოლიტიკური პოროსეკოპი“ მიუღებელი აღმოჩნდება! და რა მნიშვნელობა აქვს, როგორია ის!

ზოგს „რესპები“ სხულს, ზოგს „არაფორმალური მმართველის მონები“, ზოგს „მოღალატე“ აღასანია, ზოგსაც „ნაციონალები“, ყველას ერთად კი – ერთმანეთი! მათ ყველას ყოველ დღე რაღაც ხმა ცრუ სულიშმინდასავით ჩასახის „რუსთავი 2-დან“: „გძულდეს მოყვარე შენი, ვითარცა მტერი შენი!...“

უნდა ვაღიაროთ ყოველი ჩვენგანის უფლება, გვქონდეს ერთმანეთისთვის თუნდაც სრულიად მიუღებელი ჩვენი პირადი აზრი და ეს უნდა ვაღიაროთ ინდივიდუ-

ალურად, საკუთარი სინდისის, საკუთარი ცივილიზებულობის წინაშე! პირველ რიგში უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის ატანა, შემდეგი ეტაპი კი პატივისცემა იქნება! ნახავთ, რა ადვილი გახდება პრობლემების გადაჭრა თუ არა, მათ შესახებ საუბარი მანც. რა ლამაზი მოგეჩვენებათ სახლში მისულს თქვენი მეუღლე, ზუსტად ისეთი, როგორიც პირველ პარმანზე და მასაც, როგორ ნაკლებად ხუპრედ მოეჩვენებით... ისეთივე ელეგანტური, როგორც მეორე პარმანზე!

მაგრამ რა უნდა ვქნათ იმისათვის, რომ მოქალაქეობრივი კულტურის ანბანის ეს პირველი ასო ბოლოს და ბოლოს დავიმახსოვროთ? ვისწავლოთ სხვისი პრინციპების ატანა?

ხელისუფლება შევცვალოთ? ნულოვანი ტოლერანტობა გამოვაცხადოთ? ყველა დავიჭიროთ? მოგამოსი განსხვავებული აზრი და ამით მოვსპონთ პრობლემაც? ანუ დაბრუნდეთ ისევ იქ! 30-იან წლების საბჭოთა კავშირში?

მოკლე დროით ნებისმიერი რეპრესიული მეთოდი იმუშავებს, მხოლოდ ექვს თვეში სიბინძურე ახალი ძალით დაინყებს ბუყბუყს და ამის მაგალითი სულ ახლახან გვქონდა ფსევდოლიბერტარიანული რეჟიმის დროს.

საქართველოს პოლიტიკას ძალიან აკლია კულტურა და ეს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთი დიდი მარცხია დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად. ამ მარცხში თანაბარი წელილი მოუძღვის არა მხოლოდ დღემდე არსებულ ყველა ხელისუფლებას, არამედ მათ გარშემო მყოფ მხარდაჭერებას თუ მონინალმდებებს. განსაკუთრებით საზოგადოების ინტელექტუალურ ელიტად წოდებულ ნაწილს – ვისაც ხმა მოუწვდებოდა მოსახლეობასა და ხელისუფლებაზე.

ხელისუფლებებსა და სხვადასხვა მოწვევის პარლამენტარებს არ შეეძლოთ, პოლიტიკური კულტურული პროგრესის გარანტები გამხდარიყვნენ, რადგან თავად განიცდიდნენ კულტურის მწვავე დეფიციტს. ინტელექტუალებმა კი თავიანთი პატარა მერკანტილური მოსაზრებებითა და კონფორმიზმით შეუწყვეს ხელი, მიესულიყვავით იქ, სადაც დღეს ვართ.

**უკე 25**  
**ნელინადია,**  
**ჯოვალების**  
**ამ ყველაზე**  
**ღრმა გარსში**  
**ვისტუმრებით**  
**ერთმანეთს**  
**ყოველდღიურად** და ერთი  
**წუთითაც არ**  
**გვახსენდება**  
**ჩვენივე ისტო-**  
**რის ყველაზე**  
**ტრაგიკული**  
**ნლები, როდე-**  
**საც სწორედ**  
**საბჭოთა**  
**სამშობლოს**  
**ლალატის**  
**ასურდული**  
**ბრალდებით**  
**ჩვენი წინა-**  
**პრების ერთი**  
**ნანილი მერკე-**  
**ზე „დანოსებს“**  
**წერდა, ხვრე-**  
**ტდა, გულაგში**  
**აგზავნიდა.**

ნებისმიერი კამათი იმის შესახებ, თუ ვინ არის პროვოკოპული და ვინ პრორუსული, ყოველგვარ აზრს კარგავს მანამ, სანამ არ ვისწავლით ერთმანეთის მოსმენას და არ შევეშვებით შანტაჟს განსხვავებული აზრის გამო. სანამ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტის სანინააღმდეგოდ ყველა არგუმენტი მხოლოდ და მხოლოდ ოკუპანტი რუსეთთან თანამშრომლობასთან იქნება დაკავშირებული, რაც უპირობოდ კლავს ნებისმიერ საქმიან დისკურსს, რადგან შეუძლებელია ელაპარაკო ადამიანს, რომელიც ისეთი რანგის დანაშაულში გდებს ბრალს, როგორიც სახელმწიფო ლალატია.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანმა, რომელიც თაგვისი ოჯახის წევრზე, ყველაზე ახლობელ ადამიანზე ამბობს უარს, მისი მოსაზრებების გამო – შეძლოს, სამშობლოს გამოადგეს რამეში.

პირიქით, სწორედ ასეთი დაწყვეტილი ურთიერთობები ხდება ყველაზე დიდი მოკავშირე იმ მტრის, რომლის სახელითაც ურთიერთობებს ვიფუქებთ ერთმანეთთან.

ესეც რაღაცნარი, ჩვენი – ქართველების ექსკულუზიური ჯოვალებთანა, დანტეს მეცხრე გარსის მეტათე ზონა: მხოლოდ ქართველებისთვის, რომლებსაც ღმერთი ჩაუდენელი ღალატისთვის ერთმანეთის, მოყვასის სიძულვილით სჯის.

P. S. სულ ორი თვის წინ, ჩემთვის სწორლიად გაუგებარი მიზეზით, ოცი წლის წინ ჩამორთმეული საქართველოს მოქალაქეობა აღმიდგინეს. წელს, ოქტომბერში პირველად ჩემს სიცოცხლეში ვაპირებ ქართულ არჩევნები მონანილებას. არ მინდა, შანტაჟისა და შიშის ქვეშ შევასრულო ჩემი ძლივს აღდგენილი მოქალაქეობრივი ვალდებულება და საამორჩევლო ურნაში კონვერტი შიშისგან აკანკალებული ხელით ჩავაცურო. არ მინდა, არჩევანი იმ ადამიანების სიყვარულის ხარჯზე გავაკეთო, ვინც ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მიუხედავად მათი პოლიტიკური გემოვნებისა და რომელთა დაკარგვას ვერასდროს შევეგუები, რადგან ჩემთვის სამშობლო პირველ რიგში ცოცხალი ადამიანები არიან და არა მკვდრები. ■

# „რესპუბლიკელები“ 5%-იანი ბარიერის პირისპირ

დათო გამისონია

გასული წლის დეკემბერში „რესპუბლიკელების“ ყრილობაზე პარტიის ყოფილმა თავმჯდომარემ, ივლიანე ხაინდრავამ „ქართულ ოცნებასთან“ ალიანსში ყოფნას გაურკვევლობის 3 წელიწადი უწოდა.

„ყურადღება! საარჩევნო რეჟიმში ჩვენ შევდივართ იმ პირობებში, როცა გაურკვეველი კოალიციის გარკვეული ნაწილი თანაუგრძნობს არა თამარ ხიდაშელს [საგარევოს არჩევნებში], არამედ ირმა ინაშვილს. თანაც, არა პარტიული ეჭვიანობის ნიადაგზე, არიქა, „რესპუბლიკელები“ ძლიერდებიანო, არამედ მსოფლმხედველობრივად. თუკი ჩვენი ვაიპატრიოტების პოპულისტურ ბოდვას შეიძლება, მსოფლმხედველობა ვუწოდოთ“, – დაახლოებით ოთხი თვის ნინათ ამ სიტყვებით მიმართა ივლიანე ხაინდრავამ თანაპარტიულებს.

ყრილობამ იქვე განსაზღვრა, რომ საპარლამენტო არჩევნებში „რესპუბლიკელების“ მონაწილეობის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას პარტიის 35-წევრიანი ეროვნული კომიტეტი მოგვიანებით მიიღებდა. თუმცა „რესპუბლიკელთა“ ძირითად ბირთვს სულაც არ სურდა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა.

„ჩვენ ნამდვილად არ ვიყავით ნინაალმდეგნი, საარჩევნო კოალიციაში ვყოფილიყავით. პირიქით, ვფიქრობდით, რომ საქმე აქამდე მივიღოდა. კოალიციის ბოლომდე მიტანა იყო და რჩება ჩვენს იდეად. ახლა კოალიციიდან რომ არ გავდივართ, ესეც ამის ნიშანია“, – უთხრა „რესპუბლიკელმა“ ლევან ბერძენიშვილმა „ლიბერალს“.

პარლამენტარი იმ პროცესებს იხსენებს, რამაც არჩევნებში „რესპუბლიკელების“ დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება განაპირობა და დააჩქარა. ამავე დროს მათი მინისტრები მთავრობაში თანამდებობებს ინარჩუნებენ. მისი თქმით, ბევრი ფაქტორი იყო: პოლიტიკური თავდასხმა თინა ხიდაშელზე, არა მხოლოდ „მრეწველების“ ლიდერის, გოგი თოფაძის მხრიდან, არამედ ბევრი მიმართულებიდან – ეს იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინისა და ეუთოში რუსეთის წარმომადგენლის განცხადებები.

„დარწმუნებული ვარ, ეს უბრალოდ დაემთხვა, ერთი ნამით არ ვფიქრობ, რომ რუსეთს ისე გაუჭირდა, თოფაძე აგენტად ჰყავს. ეს რომ ვთქვა, ექსპერტები დამცინებენ; როგორც წესი, აგენტები ასე არ იშიფრებიან. მე თოფაძე აგენტი არ მგონია. გოგი თოფაძეს ეწყინა თინა ხიდაშელის ერთი ნათქვამი („ეგ ისევ პარლამენტშია?“) თოფაძემ შეურაცხყოფა მეც მომაყენა, მაგრამ ძირითადი დარტყმის ბიუქტი ხიდაშელი აღმოჩნდა, მრავალი კუთხიდან. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა არასამთავრობო სექტორიდან იყო, რომლის მიმართაც „რესპუბლიკელებს“ განსაკუთრებული მგრძნობელობა და პატივისცემა გვაქვს. იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი წარმომბით იქიდან ვართ. ამიტომ, ქალბატონ ეკა გიგაურის დამოკიდებულება გავიკირდა, მან ოთხი სასამართლო პროცესისა და სხვადასხვა ინსტანციის საარჩევნო

კომისიების გადაწყვეტილების მიუხედავად, პროკურატურას მიმართა – ხომ არ დაირღვა კანონი საგარეჯოს არჩევნებზე? ასეთი ეჭვი მილიონი შეიძლება, გამოითქვას, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმავე დღეს პროკურატურამ ამ მიმართულებით გამოძიება დაიწყო. ეს ისტორიაში არ მომხდარა. ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ორკესტრირებული არ არის. გიგაურმა მაშინ თქვა, რომ ან ხიდაშელმა დააშავა, ან თოფაძეა ცილისმნამებელი. გამოძიება როდესაც დამთავრდა, გიგაურმა ალარ გაიმეორა, რომ თოფაძე ცილისმნამებელი ყოფილა. გიგაურმა ეს საკითხი მიაფურჩია. ეს ნიშნავს იმას, რომ სხვა რამ იყო დაგეგმილი", – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

ბერძენიშვილის თქმით, ბევრი რამ დაგროვდა – ამავე დროს, „რესპუბლიკური პარტიის“ კოალიციელი პარტიიორები დალაგდნენ და „რესპუბლიკებს“ დაარტყეს. მისი აზრით, „ქართული ოცნების“ გუნდის ნაწილს ბოლოს და ბოლოს მიეცა საშუალება, ეთქვათ, რას ფიქრობდნენ.

„ვითარება აიძულებდა, ეძახათ: ევროპა და NATO. სინამდვილეში მათ რად უნდათ ევროპა?! მაგრამ, ამ ხალხს არაურს დავაპრალებ, ისინი უპატიონსნესი, გულწრფელი ხალხია, უბრალოდ აქამდე საშუალება არ ჰქონდათ, ეთქვათ სიმართლე, როგორ ვერ იტანენ „რესპუბლიკებს“ და როგორ ოცნებობენ, რომ კონსტიტუციაში ასეთი ტექსტი ენეროს: „ადამიანი არის კაცი. ქალიც ადამიანია. ქორწინება არის კავშირი ქალსა და კაცს შორის, სადაც კაცი დირექტორია. ისინი ასეთი პრიმიტიული აზროვნების ხალხია, საიდანაც გამომდინარეობს ის, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო, პატიებას მოითხოვენ, არ უნდოდათ, მაგრამ აიძულეს. აქ სოსო ჯაჭვლიანი იქნება, მეტიაური თუ სხვები, ესენი გულწრფელი ხალხია. კარასინთან ურთიერთობა რომ ჰქონდეთ, ბოლოს და ბოლოს ცოტა რუსული მაინც ხო უნდა იცოდნენ“.



ლევან ბერძენიშვილის მტკუცებით, ამ ვითარებაში ყველაზე უმნიშვნელო როლი შეასრულა გოგი თოფაძემ. „თოფაძე გულწრფელად ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. მას მართლა გულწრფელად უყვარს სტალინი, ღმერთმა ყველას მოახმაროს თავისი სიყვარული. უბრალოდ, კოალიციაში რადგან არავის არ გაუჩნდა აზრი, რომ ეს პრობლემაა, იფიქროს, რომ NATO-ს, ევროპის გინება კარგია და სტალინის ქება კიდევ უკეთესი“, – ამბობს ბერძენიშვილი.

როგორც „რესპუბლიკების“ აცხადებენ, მყარი შეგრძნება გაუჩნდათ, რომ მათზე მასირებული, მომზადებული შეტევა მიმდინარეობდა. „ალარაურს ვამბობ, ამ დროს რას აკეთებს „ალია, „ქრონიკა პლუსი“, „ასავალდასავალი“ და სხვ. მაგრამ მათი ვის უკვირს, როდესაც მეგობარმა არასამთავრობო ორგანიზაციამ (და იქ უამრავი სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია იყო) არ თქვა, რომ გიგაური მართალი არ არის“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

ორკესტრირებული კამპანიის შესახებ საუბრობს ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკების“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილი, თუმცა მის უკან კოალიციის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის კვალს ვერ ხედავს. „ეს ბიძინა

■ „ჩვენ ნამდვილად არ ვყავით წინააღმდეგნი, საარჩევნო კოალიციაში ვყოფილყავთ. პიროქით, ვფიქრობდით, რომ საქმე აქამდე მივიღოდა. კოალიციის ბოლომდე მიტანა იყო და რჩება ჩვენს იდეად. ახლა კოალიციიდან რომ არ გავდივართ, ესეც ამის ნიშანია“, – უთხრა „რესპუბლიკების“ ბერძენიშვილმა „ლიბერალს“.

„ლიბერალთან“ საუბარში საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს GIPA-ს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი ორონიკე შარაშვილიძე.

შარაშენიძის თქმით, კოალიციაში „რესპუბლიკელების“ ყოფნა მათი მადისა და ეგოს გამო გახდა ივანიშვილისთვის მიუღებელი. გარდა ამისა, როგორც შარაშენიძე ვარაუდობს, ივანიშვილმა მიიჩნია, რომ უკიდურესი ნაციონალისტებისა და კონსერვატორების ხმების მოსაგროვებლად „რესპუბლიკელები“ მას ხელს უშლიდნენ. „ამიტომ თავისი გუნდის წევრებს „რესპუბლიკელების“ ნინაალმდეგ შეტევა დაავალა. ვერ დამიკერებია, რომ, მაგალითად, მეჭიაურმა მეოთხე წელს გაიღვიძა და თვითხებურად დაიწყო ასეთი განცხადებებით გამოსალა“. — ამპობს შარაშენიძე.

პროგრამის და  
მოვლენების შემთხვევაში

ვითარების გამწვავების შემდეგ „რეს-პუბლიკელებმა“ განმუხტვა პროცესში პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ჩართვით სცადეს. „რას გრეгорებით?“ – მივმართეთ კვირიკაშვილს“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი, – „ჩვენ სასაუბროდ მექაურსა და ორითებული იყვნიდეთ?! ისინი თავის პარტიაში თფიციალურად პოსტებს არ ფლობენ. ცნობილია, რომ კვირიკაშვილი, ჯერვერობით, არაფორმალურად და მომავალში ფორმალურად ამ პარტიის ლიდერი იქნება (იგი, რა თქმაუნდა, კოალიციის ლიდერია) და ამიტომ მასთან მივიდით სასაუბრო“.

„რესუბლიკელებმა“ კვირიკაშვილს „ქართულ ოცნებასთან“ ორპარტიული შეთანხმების გაფორმება შესთავაზეს. „პრემიერმა თქვა, რომ მას ესმის ორპარტიული შეთანხმების საკითხი და ორპარტიული მოლაპარაკება იქნება. ჩვენ

კოალიციაში მეორე პარტია ვართ და ეს  
საწყენი არ უნდა ყოფილიყო კოალიციის  
დანარჩენი პარტიებისთვის", - თქვა  
ბერძნენიშვილმა.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, პრემიერი ორპარტიული დოკუმენტის საკითხს დასთანხმდა.

„პრემიერი პირველ რიგში ალაგებს  
მთავრობას და ამას თავი კარგად გაარ-  
თვა, ხოლო იმისთვის, რომ პოლიტიკა  
დააღალოს, კიდევ დრო არის საჭირო.  
მის ადგილზე ჯერ პოლიტიკას დაგალა-  
გებდი, მაგრამ ასე მოხდა. კომუნიკაციის  
პროცესში იყო; პრემიერს იმის გამო  
ნუ გავიცხავთ, რომ თანამშრომლობის  
სურვილი ჰქონდა, მაგრამ საქმე ბოლომ-  
დე ვერ მიიყვანა“, — ამბობს ლევან ბერ-  
ძენიშვილი.

პრემიერისგან განსხვავებით, ორპარ-  
ტიული შეთანხმების საკითხზე გაცილე-  
ბით თავდაჯერებულია ფრაქცია „ქართუ-  
ლი ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი.  
„თავიდანვე ცხადი იყო, რომ რომელიმე  
სუბიექტთან ასეთი შეთანხმება ვერ შედ-  
გებოდა“, – უთხრა მან „ლიბერალს“.

### „ରେପ୍ରେସନ୍ ପାଇସିଲ୍ ଏବଂ କାମିକ୍ ପାଇସିଲ୍“ ଶାଖାତମ

„ერსპუბლიკურმა პარტიამ“ არსებობის  
38 წლის განმავლობაში საპარლამენტო  
არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე-  
ობა ერთხელ, 2008 წელს მიიღო, როდე-  
საც ქვეყნის მასშტაბით ამომრჩევლის  
3.78%-ის მხარდაჭერა მოიპოვა. ასეთა,  
სახელისუფლებო კოალიციაში 4-წლიანი  
მონაწილეობის მიწოდებულს, ჯერ არ არის

არც ერთი კვლევა, რომელიც მათი შესაძლებლობების სურათს წარმოადგენს.

როდესაც არჩევნებზე დამოუკიდებლად მონაწილეობის გადაწყვეტილება მიღება, „რესპუბლიკული სტილის“ უკვე ცნობილი იყო „ქართული ოცნების“ პოზიცია, რომელიც საარჩევნო ბლოკის შექმნას აღარ გეგმავდა. პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის თქმით, მას პარტიის ეროვნული კომიტეტის 26-27 მარტის სხდომამდე კონსულტაციები ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან. „წინა დღეებში ჩევნ გვქონდა მჭიდრო კონსულტაციები და ჩევნ პარტნიორების განწყობა ვიცოდით“, – აცხადებს უსუფაშვილი.

„არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა რთული გადაწყვეტილებაა. პარტიას ისეთი რეიტინგი არ აქვს, რომ არჩევნებს მშვიდად უყურებდეს. მაგრამ პარტიის ეროვნული კომიტეტის სხდომაზე ჩემი გამოსვლის პათოსი ნათელი იყო: ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგო, რას წარმოადგენ და რამდენი მხარდამჭერი გყავს. როყიო, სულელური ლაპარაკი ამოვიდა ყელში. გამუდმებით იმის მოსმენა, რა უყვარს და რა არ უყვარს ქართველ ხალხს. ამავე დროს იმ ადამიანებისგან დამადლება, რომელსაც პოლიტიკაში ერთი კენჭიც არ გადაუბრუნებიათ და ბიძინა ივანიშვილმა პარლამენტში ორთქმავლით შეაგრიალა; დამადლება, თითქოს მათ შეგვიყანეს პარლამენტში. რომელი ლორთქიფანიდის, ნიშნიანიდისა და მეჭიაურის შესაყვანი ტვირთი იყო „რესპუბლიკური პარტია“. ახლა მაგათი სიის პრობლემები იქნება და რამდენს ვიცინებ, ეს აუტსაიდერები იქნებიან თუ არა იქ, სადაც საჭიროა“, – ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

თორნიკე შარაშენიძე მიიჩნევს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე „რესპუბლიკულებს“, პრაქტიკულად, არანაირი შანსი არ აქვთ. მისი თქმით, პროდასავლური განწყობის ამომრჩეველი ხმას მისცემს „ნაციონალურ მოძრაობას“, ან ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებს“. „პროდასავლური ამომრჩევლის დიდ ნაწილს

„ოცნება“ არ მოსწონს, „რესპუბლიკულები“ კი „ქართული ოცნების“ კოალიციაში დიდ ხანს იყვნენ“, – თქვა შარაშენიძემ.

ლევან ბერძენიშვილი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დეპუტატის სიტყვებს იხსენება, რომელიც ამტკიცებს, რომ საპარლამენტო არჩევნებზე სამი ძალა იქნება წარმოდგენილი: „პროევროპული, ოლონდ უსამშობლო (მივხვდი, ვინ იგულისხმება, თავი უსამშობლოდ ვიგრძენი. აქ „რესპუბლიკულები“, „თავისუფალი დემოკრატები და ნაციონალური მოძრაობა“ ერთად ვართ შეყრილები), ქართველი პატრიოტები, რომლებსაც ევროპაში უნდათ (იგულისხმება „ქართული ოცნება“) და საბჭოთა კავშირის მომზრები. ეს თუ „ქართული ოცნების“ პოზიციაა, ჩვენს შორის კოლოსალური ზღვარი ყოფილა. ისინიც კი, რომლებიც რუსეთისკენ იხრებიან, უფრო ქართველები ყოფილან“, – აცხადებს ბერძენიშვილი.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, საკვლევ-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლის, ზურაბ ბიგვაგას პროგნოზით, პარლამენტში მხოლოდ ორი, მაქსიმუმ სამი პარტია იქნება, ის ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ გარდა პარიერს კოალიციის ვერც ერთი სუბიექტი ვერ გადალახავს.

„ჩემი პროგნოზით, მომავალ პარლამენტში იქნება არანაკლებ შვიდი პარტიისა“, – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი. [

■ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ არსებობის

38 წლის განმავლობაში საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა ერთხელ, 2008 წელს მიიღო, როდესაც ქვეყნის მასშტაბით ამომრჩევლის 3.78%-ის მხარდაჭერა მოიპოვა. ახლა, სახელი-სუფლებო კოალიციაში 4-წლიანი მონაწილეობის მიწურულს, ვერ არ არის არც ერთი კვლევა, რომელიც მათი შესაძლებლობების სურათს წარმოადგენს.



## ଓৰুলি 15 ବ୍ୟତମି

## სოფუმ გოგიშვილი

რეგისტრაციის ფორმა მარტივია. ვე-  
ბფეიჯის პირველივე გვერდზე სანიშნია.  
რაც უფრო მარჯვნივ გასწევს მას მომხ-  
მარებელი, მით უფრო იზრდება იმ თან-  
ხის რაოდენობა, რომელიც მცირე პრო-  
ცედურის გავლის შემდეგ ანგარიშზე  
რამდენიმე წამში გაჩნდება. სესხის გა-  
მცემ კომპანიას სახელი, დაბადების  
თარიღი, საცხოვრებელი ადგილისა და  
ელ-ფონსტრის მისამართი, პირადი ნომერი  
და ყოველთვიური შემოსავლის ოდენობა  
აინტერესებს. ამ ცელების შეესქის შე-  
მდეგ, ავტომატურად გადავდივართ რე-  
გისტრაციის შემდეგ ეტაპზე და თანხა  
ბალანსზე ირიცხება.

დიმიტრი ხესკივაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტი, 200-ლარიანი ონლაინსესხი სწავლის გადასახადის დასაფარად 1 წლის ნინაიღო. დღეს გადასახდელი თანხის რაოდენობა 3.5-ჯერ აღემატება პირვანდელი სესხის ძირს და დაახლოებით 700 ლარს შეადგინს:

„8-9 თვეის განმავლობაში პერმანენტულად მირეკავდნენ და ყოველ დარეკვაზე პირგასამტებლო (ჯარიმა ყოველ ვადა-გადაცილებულ დღეზე) იზრდებოდა. პირველი 3 თვეის შემდეგ ჩემი ვალი უკვი 500 ლარი იყო. დღეს დამირეკეს და მოთხრეს, თუ დღესვე თანხის ნანილს არ შემოიტან, სასამართლო პროცესი ჩაინიშნება. ამ თანხას მე პრინციპულად არ ვიხდი, მაგრამ თან მართლა არ მაქტებ“.

დიმიტრი ხუსკივაძე დარწმუნებულია, რომ მისი პირადი მონაცემები გამ-

სესხებელ კომპანიას არ გადაუმოწმებია, რადგან სესხის აღების მომენტში მას არანაირი შემოსავალი არ ჰქონდა და გა-დახდისუნარიანი არ იყო:

სოციალური მდგრამარეობიდან გა-  
მომდინარე, სესხის აღებას დღეს დღეს  
ვერ გაექცევი. საარსებოდ და ელემენ-  
ტარული მოთხოვნილებების დასაკ-  
მაყოფილებლად ერთადერთი გამოსა-  
ვალია".


მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობაზე ეროვნული ბანკს გავლენა არ აქვს. როგორც ამ უწყებაში აცხადებენ, რა მოხდება სამორმავლოდ და მოექცევა, თუ არა ონლაინშესხების სისტემა მათი რეგულირების ქვეშ, საკანონმდებლო ორგანოზეა დამოკიდებული.

ამ ეტაპზე არ რეგულირდება უშუალოდ სესხის გაცემის პროცესი; კანონმდებლობა არ იძლევა საპროცენტო განაკვეთისა და ჯარიმების ზედა ზღვარს, არსადაა განერილი, თუ რა ფორმით უნდა დაიდოს ხელშეკრულება, ვინ შეიძლება იყოს სესხის გამცემი, რა პირობებს ანთა აკმაყოფილობდეს.

დღიმიტრი ხუსკივაძის შემთხვევაში გა-  
მსესხებელ კომპანიასა და მსესხებლის  
მხარეს შორის გაფორმებულ ხელშეკრუ-  
ლებაში ხელმოწერა არ არსებობს, რად-  
გან მან სესხზე მოთხოვნა ონლაინგა-  
ნაცხადის ფორმით შეიტანა და თანხა  
პირდაპირ კარტაზზე დაერიცხა.

დავით კიკვიძის, ონლაინსესხების ასო-  
ციაციის თავმჯდომარის თქმით, მნიშვ-  
ნელობა არ აქვს, რეგულირებული იქნება  
თუ არა ეს სფერო, რადგან მათი საქმია-  
ნობა აგებულია როგორც მომხმარებლის

ონლაინსესხის გამცემი კომპანიების  
ნლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი



უფლებების დაცვაზე, ისე საერთაშორისო სტანდარტებზე და შესაბამისად, სარეგულაციო პაკეტის არსებობა მათ საქმიანობაზე გავლენას ვერ იქონიებს:

„ჩვენი ასოციაციის წევრები, ხაზს ვუსვამ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, მაქსიმალურად სრულფასოვნად სწავლობენ მომხმარებლის

■ „სესხის ამომლები კომპანიები მესამე პირზე გასცემენ ინფორმაციას. ძალიან ხშირად ისინი ურეკავენ მსესხებლის მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ემუქრებიან, რომ აიძულებენ, სამსახურიდან გააგდონ. ამ შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ, სასამართლოში შეიტანონ სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ასეთი მეთოდოლოგიით მუშაობს“.

გადახდისუნარიანობას და მონაცემებს. რისკი მინიმუმადე დაგვყავს, რომ სესხი არასათანადო პირმა არ აიღოს“.

ზურა კუკულაძე ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფპა-ს) ნარმომადგენელი საუბრობს მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის შესახებ, რომლის თანახმადაც, ამ სფეროს ეროვნული ბანკი არეგულირებს. ის დავით კიკვიძის არგუმენტებს უსუსურს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ონლაინსესხის გამცემი კომპანიები არ ასაჯაროებენ, თუ რა ეფექტური საპროცენტო განაკვეთით გასცემენ სესხს, მომხმარებელს კი ამ ინფორმაციის მიღების საშუალება უნდა ჰქონდეს:

„ჩვენთან იყო მოსული ერთი ქალი, რომელსაც პენსიაც არ აქვს. ცხოვრობს მარტო, მეზობლების იმედად. ამ ადამიანს აქვს 450-ლარიანი სესხი აღებული. ამის რეგულირებაზეა ლაპარაკი, რომ არ დაჩაგრონ მოქალაქეები, არ შეიყვანონ შეცდომაში“.

„ლიბერალმა“ ონლაინსესხების ასოციაციის თავმჯდომარეს მიმართა თხოვნით, რათა მოეწოდებინათ ინფორმაცია კომპანიების ნლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ, თუმცა დავით კიკვიძის თქმით, ისინი ასეთ სტატის-

ტიკას არ ანარმოებენ. მოცემული ინფორმაცია „ბანკები და ფინანსების“ მონაცემებზე დაყრდნობითაა შედგენილი.

ზურა კუკულაძის თქმით, უნდა რეგულირდებოდეს სესხის ამოღბის მეთოდოლოგია, რადგან აღსრულების კომპანიები უმრავლეს შემთხვევაში იყენებენ უკანონო მეთოდებს, შანტაჟს, მუქარას და მსგავსი ტიპის კრიმინალურ ქმედებებს:

„სესხის ამომლები კომპანიები მესამე პირზე გასცემენ ინფორმაციას. ძალიან ხშირად ისინი ურეკავენ მსესხებლის მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ემუქრებიან, რომ აიძულებენ, სამსახურიდან გააგდონ. ამ შემთხვევაში მოქალაქეებს შეუძლიათ, სასამართლოში შეიტანონ სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ასეთი მეთოდოლოგიით მუშაობს“.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ადვოკატი, ნიკა სიმონიშვილი მიიჩნევს, რომ საკანონმდებლო რეგულაციები აუცილებელია. მისი თქმით, საპროცენტო განაკვეთი და ჯარიმები არის სარგებელი, რომელიც მხარეთა შეთანხმებითაა გათვალისწინებული და ისინი თავადვე განსაზღვრავენ ოდენობას, მაგრამ პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები,

როდესაც სასამართლომ გადაწყვიტა, რომ პროცენტზე შეთანხმება ზედმეტად მაღალი იყო, ამირალურ გარიგებად მიიჩნია და ბათილად ცნო:

„სასამართლოს შეუძლია, შეამციროს კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე შეუსაბამოდ მაღალი ჯარიმა. გარდა ამისა, სესხი შეიძლება გაიცეს ისე, რომ საერთოდ არ პქონდეს ამა თუ იმ პირს შემოსავალი. მსესხებლების დიდი ნანილი არაგადამხდელუნარიანია. ასევე გარკვეულ შემთხვევებში პრობლემას ქმნის ონლაინხელშეკრულების დადების პროცესი, რომელიც რეგულირების გარეთაა. წერილობითი ხელშეკრულების შემთხვევაში საჭიროა პირების ხელმოწერა. ონლაინხელშეკრულების შემთხვევაში ხელმოწერა არ არსებობს“.

ფინანსისტ რომან გოცირიძის თქმით, ონლაინსესხის გამცემი კომპანიების რეგულირების მოთხოვნა არის ანტისაბანკო ისტერიის ნანილი, რომელიც მხოლოდ ამ კომპანიებთან მტრულ დამოკიდებულებაში არ გამოიხატება. მისი თქმით, გარკვეული ტიპის რეგულირება შეიძლება, თუმცა ეს არ უნდა ეხებოდეს პროცენტს, რადგან პროცენტი პირადი შეთანხმების შედეგად დგინდება. რომან გოცირიძისთვის მხოლოდ ფორმალური და ზედაპირული რეგულირება მისაღებია, მაგრამ ის მიჩნევს, რომ კომპანიებს ამ პროცესში ბარიერები არ უნდა შეუქმნას:

„მიდის გააფთრებული ბრძოლა, ვიღაც მოსოციალისტურო ტიპის ადამიანებისგან, რომლებიც, როგორც წესი, მთავრობას ემსახურებიან. თითქოს ადამიანებზე ზრუნვის მოტივი აქვთ, სინამდებილეში საფინანსო სისტემას ანგრევენ ასეთი გადაწყვეტილებებით. ამოიჩემეს ეს ონლაინსესხის გამცემი კომპა-

ნიები იმის გამო, რომ ვითომ მა-  
ლალი პროცენტით იძლევანან სესხს.  
სინამდვილეში მთელი აქტივები და  
გაცემული კრედიტების რაოდენობა  
არის იმაზე მაღალი, ვიდრე შევარდ-  
ნაძის დროს იყო მთელი საბანკო  
სისტემა. უზარმაზარ როლს თამა-  
შობენ ბაზარზე. ეს არის ქვეყანა-  
ში ნდობაზე და კანონმდებლობით  
გამყარებული სისტემის დანგრევის  
მცდელობა. იმ სისტემის, რომელ-  
მაც საქართველოში კონკურენტუ-  
ლი სტაბილური, ჯანსაღი ბაზარი  
შექმნა".

არასამთავრობმ თრგანიზაცია  
„საზოგადოება და ბანკების“ და-  
მფუძნებელი, გიორგი კეპულაძეც  
მიიჩნევს, რომ რეგულაციებით ვი-  
თარება არ გამოსწორდება, რადგან  
ეს შავი ბაზრის რისკს აჩენს, რაც  
კიდევ უფრო დაზარალებს მოქა-  
ლაქებს და ხელისუფლებამ ფინან-  
სური განათლების დონის ამაღლე-  
ბაზე უნდა იფიქროს.

ის აღნიშვნას, რომ ონლაინგა-  
მსესხებლები მომხმარებლებისა  
ფინანსურ შესაძლებლობებს არ  
სწავლობენ და განმარტავს, რომ  
კომპანიებს მაღლი მარჯის ხარჯზე  
აქვთ მოგება:

„პასუხისმგებლობა ორმხრივია ეს არის საბაზო ეკონომიკა, ეს არის ორი მხარის არჩევანი. ერთი მხარე იღებს გადაწყვეტილებას, რომ გაასესოს, რა ფორმით უნდა და როგორ უნდა, მეორე მხარე ამას სთანხმდება. თუ არ დასთანხმდა, კომპანია ვერაფერსაც ვერ გაასესებს. ერთია, რომ ადამიანმა არ უნდა აიღოს ეს ვალდებულება, როცა არ აქვს შესაძლებლობა, მაგრამ გამსესხებლის ვალიცაა, დეტალურად შეისნავლოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა. ონლაინსესხების გამცემ კომპანიებს ულირთ, რაც შეიძლება მეტი სესხი გასცენ და თურნავ 20% უკან არ

დაბრუნდეს. ისინი მაინც მოგეპაში  
რჩებიან, ტაქტიკური ნაბიჯია“.

სოციალური პროგრამებისა  
და განვითარების ცენტრის თა-  
ვმჯდომარე, სოფიო ბერძოშვილი  
კი მიიჩნევს, რომ დღევანდელი  
მდგომარეობის გათვალისწინებით,  
ონლაინესების ფინანსური მომ-  
სახურება იწვევს მოსახლეობის გა-  
ლარიბებას და რჩება განცდა, რომ  
თვითონ ამ ბიზნესის ნარმობადებენ-  
ლები ორიენტირებულები არიან,  
მოსახლეობიდან ამოილონ მთელი  
კაპიტალი, რაზეც კი მიუწვდებათ  
ხელი:

„მომხმარებელმა ხშირ შემთხვევაში არ იცის, თუ რა ძვირი პრო-დუქტით სარგებლობს, ამიტომ ადამიანებს აღებული სესხის ორ-მაგი და სამმაგი ოდენობის გა-დახდა უწევთ. სამოქალაქო კო-დექსის თანახმად, არ შეიძლება, ბიზნესმა ისარგებლოს ადამია-ნის სპეციფიკური მდგომარეობი-დან გამომდინარე, ანუ შექმნილი ფორსმაჟორული მდგომარეობით და ამით აკეთონ ფული. გაზრ-დილ ჯარიმებსა და საპროცენტო განაკვეთებს მოჰყვება მევალეთა რეესტრში მოხვედრა და კერძო აღმასრულებლების ჩართვა, რაც უძრავ-მოძრავი ქონების რეალი-ზაჯით მთავრდება“.

სოციალური პროგრამებისა და  
განვითარების ცენტრი საქართვე-  
ლოში შექმნილი მძიმე მდგომარე-  
ობიდან გამომდინარე, ფიქრობს,  
რომ ონლაინსესხის გამცემი კომ-  
პანიკის საქმიანობა უნდა დაე-  
ქვემდებაროს გარკვეული სახის  
რეგულაციებს ეროვნული ბანკის  
მხრიდან ისე, როგორც ბევრ ევრო-  
პულ სახელმწიფოშია. სოფთო ბე-  
როშვილის თქმით, საქართველოს  
სახელისუფლებო სტრუქტურების  
ნარმომადგენლებმა უნდა იმუშაონ  
მომხმარებლის უფლებების რეალი-

ზაციაზე, რადგან ეს სფერო კიდევ  
ერთი კაბალური მახეა მოსახლეო-  
ბის ფინანსური მდგომარეობის და-  
სამძიმებლად:

„ყველა გაცემული სესხი უნდა  
იყოს უზრუნველყოფილი და-  
ბრუნებადობით, მაგრამ ხშირ შე-  
მთხვევაში ონლაინსესხები არ სწა-  
ვლობენ მსესხებლის ფინანსურ  
შესაძლებლობებს. შესაბამისად, ონ-  
ლაინკრედიტები არ უზრუნველყო-  
ფენ პასუხისმგებლიან დაკრედიტე-  
ბას და ხშირად სესხს უმტკიცებენ  
უმუშევარ ან/და სოციალურად  
დაუცველ პირს, რაც დაუშვებელია.  
პასუხისმგებლიანი დაკრედიტება  
გულისხმობს კლიენტის ფინანსუ-  
რი მდგრამარეობის გაანალიზებას,  
კრედიტის რეალური საჭიროების  
დადგენას და თანხის მი ოდენობის  
განსაზღვრას, რომლის გადახდის  
საშუალებაც აქვს მას. ასე ონლაინ-  
სესხების შემთხვევაში არ ხდება“.

ამერიკის 27 შტატში მსგავსი კომ-  
პანიების არსებობა აკრძალულია  
სამი ფაქტორის გამო – იმ ადამია-  
ნებს შორის, რომლებიც სარგებლო-  
ბდნენ თნლაინსესხებით, აღინიშნა  
გაკოტრების შემთხვევების საგრძ-  
ნობლად დიდი რაოდენობა (საშუ-  
ალოდ, 1000%-იანი საპროცენტო  
განაკვეთის გამო), ვალის ამოღების  
მეთოდები იყო უსამართლო, არა-  
ლეგალური და სესხები ავტომატუ-  
რი გადავადებით ზრდიდა მსესხე-  
ბოის ვალის რაოდენობას.

၉ ပြောဖို့ လျော့လျှော့၊ အနောက်-  
သေခါနောင်၊ စျေမြား၊ စျေမြား၊  
မြား၊ ရွှေ့လျော့လျော့၊ ရာမ-  
ဒေါ်၊ မာတာနံပါတ်၊ ဂန္ဓားလွှေ့လျော့၊  
ရောမ၊ မျှော်လား၊ မြောက်လွှေ့၊ ဤတော်-  
ရာနှင့် အော် အသေခါနောင်၊ သေခါ-  
နောင်၊ မြား၊ ရွှေ့လျော့လျော့၊

ევროპის ქვეყნებში ონლაინგამ-  
სესხებელი კომპანიების საქმიანობა  
აკრძალულია, ან მკაფრად რეგუ-  
ლირდება. **ც**



## ბავშვები ქუჩებიდან

ქუჩაში ხელგაწვდილი მოზარდის ან ზენრებში გახვეული ახალშობილის დანახვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხშირ შემთხვევაში ამ ბავშვებს არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ და შესაბამისად, არც განათლებასა და ჯანდაცვაზე მიუწვდებათ ხელი. ეს კი მათ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. სხვადასხვა უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შექმნილი კანონპროექტი, რომელმაც ეს და სხვა პრობლემები უნდა მოაგვაროს, სპეციალისტთა დადებით შეფასებას იმსახურებს. თუმცა მისი აღსრულებისთვის საჭირო რესურსი, ჯერჯერობით, არასაკმარისია.

---

ქეთევან ლვედაშვილი

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ არსებული სტიგმის გამო, მათ ხშირად ჩვეულებრივ ბავშვებად არ აღიქვამენ, რომელთაც ასაკის შესაბამისი მოთხოვნილებები შეიძლება პქონდეთ, დოკუმენტების არარსებობის გამო კი, სახელმწიფო საერთოდ ვერ ხედავს მათ. ისინი სტატისტიკად ქვეულ კვლევებშიც კი არ ხვდებიან. ქუჩაში სხვადასხვა მიზეზით გამოსული ბავშვები ბავშვობანართმეული ადამიანები არიან. მაშინ, როცა დროს წიგნების ფერადი გვერდების ფურცელაში, მეცადინეობასა და ეზოში თანატოლებთან „წრეში ბურთის“ თამაშში უნდა ატარებდნენ, სადილად კი მშობლის გამომცხვარ დვეჭელს შეექცეოდნენ, ისინი მთელ დღეს ქუჩაში ელემენტარული საჭიროების დაკმაყოფილებაზე ზრუნვაში ატარებენ.

ყინვასა და გვალვაში, წვიმასა და მზეში გარეთ ყოფნა, არასრულფასოვანი კვება, მიუწვდომელი ჯანდაცვა, გასაპრუებლად მიღებული სხვადასხვა საშუალება მათ ჯანმრთელობას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ანგრევს. მათ სიცოცხლეს არანაკლებ საფრთხეს ქუჩაში, მანქანებით გადატვირთულ გზებზე სიარული უქმნის.

ხშირ შემთხვევაში ბავშვები ქუჩაში ცხოვრებისთვის დაბადებიდან არიან განწირული – ქუჩებსა თუ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხშირად შეხვდებით მოზარდებს ან უფროსებს, ხელში თოთო ბავშვით. წამოიზრდებიან და უკვე თავიანთი ფეხით მოუწევთ უფროსი დაძმების მსგავსად ქუჩაში გამოსვლა.

ბავშვები ქუჩაში სხვადასხვა მიზეზით გამოდიან და ეს მიზეზი ყველა შემთხვევაში ინდივი-

დუალურია, თუმცა ერთი რამ ყველა მათგანისთვის საერთოა – ეკონომიკური სიდუხეჭირე, არსებობისთვის აუცილებელზე ხელმიუნვდომლობა. ზოგიერთი ოჯახისთვის ქუჩაში მოწყალების თხოვნა შემოსავლის ტრადიციული წყაროა და ბავშვიც ხშირად მშობლის მოთხოვნით გამოდის გარეთ, დღის განმავლობაში მოგროვებულ ფულსაც სწორედ მათ აძლევს. არიან ისეთებიც, სახლიდან ძალადობას რომ გაურბიან და

**■ ყინვასა და გვალვაში, წვიმასა და მზეში გარეთ ყოფნა, არასრულფასოვანი კვება, მიუწვდომელი ჯანდაცვა, გასაპრუებლად მიღებული სხვადასხვა საშუალება მათ ქანმრთელობას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ანგრევს. მათ სიცოცხლეს არანაკლებ საფრთხეს ქუჩაში, მანქანებით გადატვირთულ გზებზე სიარული უქმნის.**

ქუჩაში ცხოვრებას ამჯობინებენ. სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნავს, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე არასრულნლოვნების საჭიროებებზე ორიენტირებული სახელმწიფო სერვისებს განხორციელება და ძალადობისგან მათი დაცვა კვლავ პრობლემურია.

„კვლავაც საგანგაში და შემშოოთებელია ბავშვთა უფლებების

დაცვის მდგომარეობა: ბავშვთა სიკვდილიანობა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, არასრულნლოვანთა ცხოვრების არასათანადო დონე, მიუწვდომელი სახელმწიფო ჯანდაცვის მომსახურება, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების ტოლერანტული დამოკიდებულება“, – წერს ობჟადესმენი 2015 წლის ანგარიშში.

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, რომელიც 1989 წლის 20 ნოემბრიდან ამოქმედდა, ბავშვების სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება დაბადებისთანავე აქვს. მისი მონაწილე სახელმწიფოები კი ვალდებულები არიან, ბავშვისთვის ჯანდაცვა და როგორც ზოგადი, ისე პროფესიული განათლება ხელმისაწვდომი გახადონ.

კონვენციის 29, 32 და 36 მუხლები სახელმწიფოს ავალდებულებს, დაიცვას ბავშვები ძალადობისგან და ნებისმიერი ტიპის ექსპლუატაციისგან, რაც შეიძლება საშიში იყოს მათი ჯანმრთელობისთვის ან ზიანს აყენებდეს მათ ფიზიკურ, სულიერ და გონიერი განვითარებას.

„მონაწილე სახელმწიფოები ყველა საჭირო საკირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანგანათლებლო ღონისძიებებს მიმართავენ, რათა ბავშვი დაცვან მშობლების, კანონიერი მურვების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხოფისა თუ ბოროტმოქმედებისგან, იმისაგან, რომ ბავშვი მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე, სექსუალურ ძალადობას იჩნევდნენ“, – აღნიშნულია კონვენციის 19-ე მუხლში.

## ახალი ცხოვრების შესი

2013 წელს გაეროს ბავშვთა ფონდისა და ეკონომიკურის დახმარებით ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო მექანიზმი შეიქმნა. ბავშვთა იდენტიფიცირებისა და მათვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზების მიზნით მობილური ჯგუფები ჩამოყალიბდა, 24-საათიანი განთავსებისთვის ტრანზიტული და კრიზისული ინტერვენციის ცენტრები შეიქმნა, დღის განმავლობაში სხვადასხვა სერვისით სარგებლობისთვის კი – დღის ცენტრები. მაგრამ მათი რაოდენობა საკმაოდ მნირია. საქართველოში სულ 4 მობილური ჯგუფი არსებობს: 3 – თბილისში და 1 – ქუთაისში. რაც შეეხება ცენტრებს, თბილისში 1 ტრანზიტული და 3 დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრია, ქუთაისში 1 დღის ცენტრი, ხოლო რუსთავში – 1 ტრანზიტული ცენტრი.

მობილურ ჯგუფში არიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და თანასწორ-განმანათლებელი. ეს ის პირია, ვისაც წარსულში ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა და იმის გათვალისწინებით, რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან კომუნიკაცია არც ისე ადვილია, მობილურ ჯგუფს მათთან ურთიერთობის დამყარებაში სწორედ ის ეხმარება.

ერთ-ერთი მობილური ჯგუფის ფსიქოლოგი „ლიბერალთან“ იმპრობლემბზე საუბრობს, რასაც ქუჩაში მყოფ ბავშვებთან ურთიერთობისას აწყდებიან. მისი თქმით, უნდობლობის გამო, მათთან კომუნიკაციის დამყარებას ზოგჯერ თვეები სჭირდება. ვითარებას კიდევ უფრო ართულებენ

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, რომლებისთვისაც ბავშვი შემოსავლის წყაროა და მისი დაკარგვის შიშით ბავშვებს მობილური ჯგუფის წარმომადგენლებთან ურთიერთობას უკრძალავენ. ამიტომ მობილური ჯგუფი ბავშვის ნდობის მოპოვებას გაცნობით, ჰიგიენური საშუალებების ჩუქებით, თამაშის ან დღის ცენტრში წაყვანის შეთავაზებით იწყებს.

„ბავშვი მათთვის შემოსავლის წყაროა. როცა ქუჩაში მოწყალებას ბავშვი ან მშობელი ითხოვს ბავშვის თანხლებით, მოქალაქეები მათ უფრო მეტ თანხას აძლევენ. როცა ვეუბნებით, იქნებ ბავშვი სახლში დატოვოთო, ისინი გვპასუხობენ, აბა ვინ მოგვცემს ფულსო“.

სწორედ ამიტომ, ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ საზოგადოება მათ ფულის მიცემის ნაცვლად სხვანაირად, თუნდაც საჭმლით და ტანსაცმლით დაეხმარება და არ აფიქრებინებს, რომ ქუჩაში ბავშვის დგომა მომგებიანია.

თბილისის კრიზისული ინტერვენციის ერთ-ერთ ცენტრს 10 ბენეფიციარი ჰყავს, დღის ცენტრს კი 15-20, ზოგჯერ 25 ბავშვიც სტუმრობს.

14 წლის ლევანი 6 თვეა, კრიზისული ინტერვენციის ცენტრში ცხოვრობს. ცენტრის შესახებ მისი უმცროსი ძმისგან გაიგო და აქაც სწორედ მან მოიყვანა. ამბობს, რომ აქ წამოსვლისას ოჯახს წინააღმდეგობა არ გაუწევია და მათთან კომუნიკაცია დღესაც აქვს. ცენტრში მოხვედრამდე ლევანი დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა და მოწყალებას ითხოვდა. ამბობს, რომ ეს მისთვის არავის დაუძალებია, ეკონომიკური გაჭირვებისა და სახლიდან გარი-

დების გამო, ქუჩაში თავისი სურვილით გავიდა.

„მაშინდელის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ვხედავ, რაც ადრე იყო, იმას ასეთი ცხოვრება სჯობია. შეიძლება მაშინ ასაკის გამო ვიქცეოდი ასე. ქუჩაში აღარ დავბრუნდები. სკოლაში დავდივარ. თუმცა სწავლა არ მიყვარს და კარგი მოსწავლეც არ ვარ“.

ლევანთან ერთად მისი კლასელი 16 წლის გოგა ცხოვრობს. ის ცენტრში თავისი სურვილით მოვიდა და უკვე 9 თვეა, ცენტრის ბინადარია. აქ მოსვლამდე ისიც ქუჩაში ცხოვრობდა. ახლა სკოლაში დადის და სწავლის გაგრძელებას ცენტრის დატოვების შემდეგაც აპირებს.

3 თვეა, მათთან ერთად კიდევ ერთი ბიჭი, 16 წლის საშა ცხოვრობს. ცენტრის შესახებ ბიჭებისგან გაიგო და თავისით მოვიდა. ამბობს, რომ ქუჩაშიც თავისი სურვილით გავიდა, რადგან ასე ცხოვრება მოსწონდა, თუმცა ახლა სკოლაში დადის და ცენტრში ყოფნას ამჯობინებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ წამოსვლისას მშობლებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, აქ მოსვლის შემდეგ მათთან ურთიერთობა აღარ აქვს.

„გეგმები ჯერ არ მაქვს, არ მიფიქრია, აქედან რომ გავალ, რას გავაკეთებ, მაგრამ ვიცი, რომ ახალ ცხოვრებას დაგინყებ და ქუჩას აღარ დავუბრუნდები“.

დღისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრში ბავშვი სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით ხდება. მობილური ჯგუფის წარმომადგენლები ბავშვის იდენტიფიცირებას ახდენენ და როცა მის თანხმობას მიიღებენ, ცენტრში მიჰყავთ. დღის ცენტრის ბენეფიციარები სხვადასხვა აქტივობაში არიან ჩართულები, ღამით კი ისევ

სახლს ან ქუჩას უბრუნდებიან. კრიზისული ინტერვენციის ცენტრში ის ბავშვები ხვდებიან, ვისაც ან თავშესაფარი არ აქვს, ან, მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მშობელს განარიდეს. აქ ბავშვი მაქსიმუმ 1 წელი რჩება. შემდეგ ის ან მინდობით აღზრდაში გადავა, ან მცირე საოჯახო ტიპის სახლში. თუკი მათთვის საზიანო არ იქნება, შესაძლოა, ოჯახშიც დაბრუნდეს.

პროგრამის ერთ-ერთი პროვიდერის, „ვორლდ ვიუენ საქართველოს“, ბავშვთა დაცვის მომსახურებისა და ადვოკატირების მენეჯერის, მაია მგელიაშვილის ინფორმაციით, არის შემთხვევები, განსაკუთრებით დღის ცენტრის ბენეფიციარებში, როდესაც ბავშვები ქუჩაში ბრუნდებიან. ის მათთვის შემოსავლის წყაროა და ამას თუ მშობლის მხრიდან ზენოლაც ემატება, მაშინ ბავშვის დღის ცენტრით დაინტერესება კიდევ უფრო რთულია.

„არის შემთხვევები, როცა სამედიცინო სერვისის მისაღებად მოდიან და მერე 2 კვირა აღარ ჩანან. მაგრამ ეს ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ დავაინტერესებთ მათ და რას შევთავაზებთ. თუმცა მხოლოდ ეს არ არის, ბავშვი მიჩვეულია, რომ ქუჩაში მატერიალური სარგებელი უნდა ნახოს. ზოგისთვის მოწყვალების თხოვნა წლების განმავლობაში ფესვგადგმული პროცესია“.

მაია მგელიაშვილის თქმით, ხშირად ბავშვი მშობლის მიერ შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლია, მაგრამ ამის დადასტურება და სისხლისამართლებრივი პროცედურების დაწყება ძალიან როულია. მშობელი, ხშირ შემთხვევაში, სხვა ქვეყნის მოქალაქეა და დოკუმენტები აქვს. მგელიაშვი-

ლის თქმით, სამართალდამცველებიც ძალიან მსუბუქად უდგებიან ამ საკითხს, რადგან ძალადობის გამო მოწყალების თხოვნას კრიმინალურად არ მიიჩნევენ.

მაია მგელიაშვილი მიიჩნევს, რომ დოკუმენტების მოწყერიგებისა და სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების თვალსაზრისით, კანონმდებლები ეფუძნებიან იქნება. მიუხედავად მნირი ადამიანური რესურსისა, მგელიაშვილისთვის

გამოყვანაა მიზანი. ამიტომ ასეთ დროს ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს და სერვისი უკვე მზად უნდა დახვდეს“.

თუმცა მაია მგელიაშვილი მიიჩნევს, რომ უფრო მეტი დრო და რესურსი ოჯახის გაძლიერებისკენ უნდა იყოს მიმართული, რადგან ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა უკიდურესი ზომაა.

„თუ ეს ყველაფერი სინქრონულად არ მოხდა, მაშინ ჩვენ ყოველთვის გვექნება შემთხვევები, როცა რეაბილიტაცია აუცილებელი იქნება. ის კი ფინანსური და ადამიანური თვალსაზრისით უფრო ცუდია, რადგან უფრო ხარჯიანიცაა და თან ზიანი უკვე დამდგარია. ამ ზიანთან ბრძოლა კი საქმაოდ გრძელვადიანია და ხშირ შემთხვევაში – უშედეგოც“.

## კანონის ცვლილებათა პროექტი

**■ მობილურ ჯგუფში**  
**არიან: სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი და თანასწორ-განმანათლებელი. ეს ის პირია, ვისაც წარსულში ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება ჰქონდა და იმის გათვალისწინებით, რომ ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებთან კომუნიკაცია არც ისე აღვილია,**  
**მობილურ ჯგუფს მათთან ურთიერთობის დამყარებაში სწორედ ის ესმარება.**

მთავარი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობაა, რადგან სოციალურ მუშაკს კანონის აღსრულებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. რაც შეეხება დღის და კრიზისული ინტერვენციის ცენტრებს, მათი რაოდენობა კანონის ამოქმედების შემდეგ უნდა განისაზღვროს.

„ოჯახისგან განცალკევება კი არა, ძალადობრივი სიტუაციიდან

ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემების მოსაგარებლად სახელმწიფოს მიერ 2013 წელს გადადგმული ნაბიჯი ბევრი მიზეზის გამო არასაკმარისია. კვლავ პრობლემად რჩება დოკუმენტების უქონლობა, მიუწვდომელი განათლება, ჯანდაცვა; კვლავ უკიდურეს სიღარიბეში უწევთ ცხოვრება; არ არსებობს ცნება „მიუსაფარი ბავშვი“; არ არსებობს ბავშვის მოძალადისგან მყისიერი განრიცების მექანიზმი და სხვა.

ზემოხსენებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2014 წლის ბოლოდან მზადდება. ამ პროცესში სახელმწიფო უწყებებთან ერთად არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები იყვნენ ჩართულები.

ნანა ჩაფიძე, UNICEF-ის კონსულტანტი სამართლებრივ საკითხებში, „ლაბერალთან“ საუბრისს განმარტავს, რომ კანონპროექტი საერთაშორისო კანონმდებლობის, პირველ რიგში, ბავშვის უფლებათა კონვენციის გათვალისწინებით შეიქმნა.

კანონპროექტით, ერთ-ერთი მთავარი სიახლე სოციალური მუშავის გაზრდილი უფლებამოსილებაა. თუკი ბავშვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს მხოლოდ ბავშვის მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი მიმართავდა, ახლა იგივე უფლება სოციალურ მუშავს აქვს. დოკუმენტების მოწესრიგება კი მისთვის განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას ნიშნავს. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობისას, როცა ბავშვზე ძალადობა აშკარაა, სოციალურ მუშავს ბავშვის მოძალადისგან განრიცება და მშობლისთვის უფლების შეჩრება შეეძლება. მის მიერ გამოცემულ აქტს იგივე ძალა ექნება, რაც შემაკავებელ ორდერს. პოლიციას კი, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშავის დახმარება ევალება. ამ დრომდე კანონი ბავშვს მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისგან იცავდა. კანონპროექტში კი ჩნდება ცნება – „უცხო პირი“.

ნანა ჩაფიძის ინფორმაციით, სოციალურ მუშავს ასეთი ფართო უფლებამოსილება ეცრობის ბევრ ქვეყანაში აქვს. ამას საერთაშორისო სტანდარტიც მოითხოვს, რათა ბავშვი ძალადობისგან დროულად დაიცვან. მისი განმარტებით, სოციალური მუშავის მიერ გამოცემული აქტის დაუმორჩილებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სა-

მართლის კოდექსებით დაისჯება.

თუმცა ნანა ჩაფიძე მიიჩნევს, რომ მხოლოდ საკანონდებლო ცვლილებებით მიზანი ვერ მიიღწევა. ამისთვის კანონის აღმსრულებლები კვალიფიკირებითა და რესურსებით სათანადოდ მომზადებულები უნდა იყვნენ.

UNICEF-ის ბავშვთა დაცვისა სოციალური კეთილდღეობის სპეციალისტი ჯაბა ნაჭყებია კანონპროექტს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ ამით ბევრი

**„ოჯახისგან განცალკევება კი არა, ძალადობრივი სიტუაციიდან გამოყვანაა მიზანი. ამიტომ ასეთ დროს ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილი უნდა იყოს და სერვისი უკვე მზად უნდა დახვდეს“.**

პრობლემის მოგვარება შეიძლება. თუმცა ის კანონის ალსრულებაში ხარვეზად სოციალური მუშავებისა და მობილური ჯგუფების სიმცირეს ასახელებს. მისი თქმით, თუ ამ კუთხით არაფერი შეიცვლება, შედეგის მიღწევა გართულდება. ამასთან, საჭიროა იმ სირთულეების ძირეული შესწავლა, რასაც ბავშვი ქუჩაში გამოჰყავს.

„ბავშვების პოპულაცია არაერთგვაროვანია და ინდივიდუალური შესწავლა დაგვანახებს, რა სირთულესთან გვაქვს საქმე“.

გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი მაია ქურციკიძე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმას, რომ რამდენიმე

სახელმწიფო უწყება კოორდინირებულად იმუშავებს ქუჩის ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ ის კანონპროექტს დადებითად აფასებს, ამბობს, რომ ქუჩაში მცხოვრები ბავშვების პრობლემების მოსაგვარებლად უფრო სიღრმისეული რეფორმებია გასატარებელი.

„აქ უფრო სერიოზული პრობლემაა. თუ ბავშვი არის ქუჩაში, ეს იგი, ის თავის დროზე ვერ დაინახა სოციალური დახმარების სისტემამ, ძალადობისგან დაცვის სისტემამ. ეს ბავშვი ვერ დაინახა განათლების სისტემამ, როცა ის სკოლას აცდენდა. სისტემური პრობლემებია მოსაგვარებელი, რათა დღეს ერთ ბავშვს რომ ნავიყვანი, ხვალ მეორე ბავშვი არ გამოიიდეს ქუჩაში. თორემ გამოიის, რომ არაფერი იცვლება“.

მიუხედავად იმ ცვლილებებისა, რომელიც 10-მდე კანონში შედის და მიზნად მიუსაფარი ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს, ვითარება მანამდე ვერ შეიცვლება, ვიდრე კანონის აღსრულებისთვის საკმარის ადამიანური და მატერიალური რესურსი არ გამოიყოფა. ცხადია, ოთხი მობილური ჯგუფი მთელ საქართველოს ვერ მოიცავს და არც დღის/კრიზისული ინტერვენციის ცენტრების რაოდენობაა საკმარისი. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მათგანი ბავშვთა კონკრეტულ რაოდენობაზეა გათვლილი. აქედან გამომდინარე, არსებობს საშიშროება, რომ კანონის დადებითი ეფექტი მხოლოდ ბავშვთა მცირე ნაწილზე აისახოს, ბევრისთვის კი აქამდე არსებული პრობლემები უცვლელი დარჩეს. ■

სტატიაში გამოყენებული ბავშვების  
სახელები შეცვლილია.



## ვისთვის რა „სარგებლობა“ მოაქვს ფარულ ჩანაწერებს

საქართველოს მოქალაქეებს, ალბათ, უკვე წლებია, პირადი ცხოვრების დაცულობის განცდა არ ჰქონიათ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნისას რომ ადამიანთა პირადი ცხოვრების უფლება იღახებოდა, ათასობით ფარულმა ჩანაწერმა დაადასტურა, თუმცა დაცულობის შეგრძნება არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩენილა. მით უფრო, რომ დღემდე ბუნდოვანია, როდის ახორციელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოქალაქეების მიყურადება-თვალთვალს და რაში იყენებს მოპოვებულ მასალებს. როგორც ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა, მხოლოდ საკანონმდებლო ნორმები პირადი ცხოვრების დასაცავად საკმარისი არ არის.

**ქეთევან ლვედაშვილი**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე ე.წ. ციხის კადრები გავრცელდა. საზოგადოება აღშეფუთბდა ციხეებში ადამიანთა წმინდის გამო. სისტემური დანაშაული გამოაშეარავდა. „ქართულ ოცნებას“ ამით თუ არ მოემატა, არც დაკლებია ამომრჩევლთა რაოდენობა, რასაც „ნაციონალურ მოძრაობაზე“ ვერ ვიტყვით. მაშინ ყველაზე კარგად გამოჩნდა, რა „სარგებლობა“ მოაქვს ფარული ჩანაწერების გავრცელებას.

2013 წელს ინტერნეტში უურნალისტები ფორმით დარღვესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაზერი გავრცელდა. შეს-ს გენერალურმა ინსპექციამ ამაში მაშინდელი შე მინისტრის, ორაკლი ღარიბაშვილის მოადგილე გელა ხვედელიძე დაადანშაულა და დააკავა ღარიბაშვილმა მოადგილის საქციელი პირადი შურისძიებით ახსნა და აღნიშნა, რომ ხვედელიძემ კადრების გავრცელების გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო. მან ისიც დაამატა, რომ ეს კადრები წინა ხელისუფლების დროს კუდის თანამშრომლებმა გადაიღეს და დალუქული იყო. მას სასამართლომ 1-ნლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა. მაშინ, როცა ამგვარი დანაშაულის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენა 4-7-ნლიანი თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

მსგავსი შინაარსის კადრები 2015 წლის 17 ოქტომბერს ჯერ უკრაინულ ვებგვერ-დზე გავრცელდა. იმის მიუხედავად, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყეს, ნამებისა და გაუპატიურების კადრები იმავე წლის 18 ნოემბერს თბილისა და ზუგდიდში პროე-ტორებით აჩვენეს. ორგანიზატორებს მისი საჯაროდ ჩვენების მიზეზი არ დაუმალავთ და ღიად აღნიშნეს, რომ საზოგადოებას წინა ხელისუფლების დანაშაულები უნდა ახსოვ-დეს. ეს კადრები 2013 წლს სამეცნიეროში აღმოაჩინეს და მასში იდენტიფიცირებულ 11 პირს განაჩენი გამოუტანეს. შესაძლოა, უკრაინულ ვებგვერდზე მათ განთავსებას-თან ხელისუფლებას არანაირი კავშირი არ აქვს, მაგრამ საჯარო ჩვენებასთან დაკა-

შირებით იმავეს ნამდვილად ვერ ვიტყვით.

ფარულ ჩანაწერებზე „ქართულ ოცნებას“ ერთი პასუხი ჰქონდა – კადრები „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნისას ჩაწერა და ახლა გაავრცელა. ამ ბრალდებას განამტკიცებდა ყოფილი შე მინისტრის, ალექსანდრე ჭიკვაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ შსს-ს ახალი ხელმძღვანელობის აღმოჩენით, ფარული ხარჯით შექნილი ტექნიკა სამინისტროდან დარიბაშვილის მოსკლამდე გაიტანეს.

ახალი სელისუფლების პერიოდში გაკეთებულ ჩანაცერებზე საუბრობდა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია და ამბობდა, რომ მის დასაშანტაჟებლად გამოყენებული აუდიო-ვიდეო მასალა 2014-15 წლებშია ჩაწერილი. ბოლო წლებში სატელეფონო მიმოწერის კონტროლსა და თვალთვალზე საუბრობს უურნალისტი ეკა მიმველაძეც.

სამი ფარული ვიდეოჩანანერი ცოტა ხნის  
წინაც გავრცელდა, საიდანაც ორი ნამდვი-  
ლად პოლიტიკოსებს ეხება. სამივე მათგანი  
მუქარას შეიცავს და კონკრეტული პოლი-  
ტიკოსებისა და უურნალისტების თავიანთ  
პოზიციაზე დარჩენის შემთხვევაში მათი  
ჩანანერების გამოქვეყნებასაც აანონსებს.

საცელმოვნო პასუხი გამოცემაზე

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული  
ჩანაწერების პრობლემა ახალი არც ქართუ-  
ლი საზოგადოებისთვისაა და არც ქვეყნის  
ხელისუფლებისთვის. „ქართული ოცნება“  
ამაში ყოფილ ხელისუფლებას ადანაშაუ-  
ლებს, „ნაციონალური მოძრაობა“ მსგავსი  
საქმეების გამოიხებასა და დამაშავეთა  
დასჯას მოითხოვს, პასუხისმგებლობას კი  
ჩაწერაზეც და გავრცელებაზეც ამჟამინ-  
ოვო ხელისუფლებას კისრიბს.

ამ ოქმით მანისულირების ფონზე ყველას  
ავინწყდება, რომ ეს საკითხი პოლიტიკურ  
პაექრძობას სცდება და ადგმანის პირადი  
ცხოვრების უფლებას, მის ღირსებას ეხება.  
სახელმწიფოს კი დამნაშავეთა დროული და  
სათანადო დასჯვა ევალება.

მნიშვნელოვანია, როგორ იცავს ქვეყ-

ნის კანონმდებლობა ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას და რა სასჯელს ითვალისწინებს ის. უპირველესი საკანონმდებლო დოკუმენტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის მეოცე თავი ადამიანის პირადი ცხოვრების, სატელეფონო საუბრისა და ნებისმიერი სახის კომუნიკაციის უფლებას იცავს.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემის ხელყოფა სისხლის სამართლის 157-ე მუხლით ისჯება და ამ დანაშაულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური სასჯელი მასალის მოპოვებისთვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა; გამოყენება-გავრცელების შემთხვევაში სასჯელი 1 წლით იზრდება; დანაშაულის

კანონით პირადი მიმოწერისა და სატელეფონო საუბრის მოპოვება-გავრცელებაც ისჯება. სანქციები კი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით თითქმის ისეთივეა, როგორიც 158-ე მუხლის შემთხვევაში.

მარტში გავრცელებული კადრების შემდეგ ხელისუფლებისა და არასამთავრობოების წარმომადგენლები ამ დანაშაულისთვის სასჯელის გამკაცრებაზე საუბრობენ. თუ-მცა მთავარი გამომიების სწორად და ეფექტუანად წარმართვა, კანონის აღსრულება და დამაშავეთა დასჯაა.

ფონდ „ლია საზოგადოება – საქართველოს“ იურისტი გიორგი ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ამგვარ დანაშაულებზე სასჯელი ძალიან სუსტია, მაგრამ კანონის გამკაცრება ერთ-ერთი მცირე ნაბიჯია და არა

**■ მნიშვნელოვანია, როგორ იცავს ქვეყნის კანონმდებლობა ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას და რა სასჯელს ითვალისწინებს ის. უპირველესი საკანონმდებლო დოკუმენტი საქართველოს კონსტიტუციაა, რომლის მეოცე თავი ადამიანის პირადი ცხოვრების, სატელეფონო საუბრისა და ნებისმიერი სახის კომუნიკაციის უფლებას იცავს.**

მრავალჯერ და ანგარებით ჩადენა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამ მასალების სამსახურებრივი მდგრამარეობის გამოყენებით მოპოვებისთვის კი მაქსიმალური სასჯელი 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება კერძო კომუნიკაციის საიდუმლოს დარღვევას, ის სისხლის სამართლის 158-ე მუხლით ისჯება. კერძო საუბრის უზებართვოდ ჩანერის ან კომპიტერული მონაცემების მოპოვებისთვის მაქსიმალური სასჯელი 2-4 წლით თავისუფლების აღკვეთა; ამ მასალის გავრცელების შემთხვევაში სასჯელი 5 წლამდე იზრდება; არაერთგზის და ანგარებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში კი მაქსიმალური სასჯელი 3-6 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუკი პირმა ამ ტიპის მასალა სამსახურებრივი მდგრამარეობის გამოყენებით მოიპოვა, მისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი 3-7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კომპლექსური პასუხი. მისი თქმით, ხელისუფლებას მსგავსი დანაშაულების მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა რომ ჰქონდეს და ყველა დამნაშავე ისჯებოდეს, პრევენციისთვის საუკეთესო გზა სწორედ ეს იქნებოდა.

გიორგი ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ყველაზე ცუდი, რაც ამ მიმართულებით მოხდა, 2012 წელს სსკ-ის იმ მუხლების ამნისტირება იყო, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ეხებოდა.

„ამ დროს მესივი მიიღეს ადრესატებმა, რომ სახელმწიფომ ასეთი დანაშაულის ჩამდენითა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება გამოაცხადა“.

პრევენციის ერთ-ერთ საშუალებად გიორგი ბურჯანაძე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას ასახელებს, რომელიც სამართლდამცველების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულს გამოიიქნებს. მისი შეფასებით, არსებობს ბევრი მაგალითი, რომ მათ დანაშაულზე პასუხს არავინ სთხოვს.



სახელმწიფოსა და სამართალდამცავი უწყებების პასუხი ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე ასეთია – სსკის 157-ე მუხლით პრალდებულია 5 პირი. მათ შორის არიან: ადვოკატი ირაკლი ფხალაძე და კუდის ყოფილი მაღალჩინოსანი ზურაბ ჯამალბეგილი. ბრალდებულთა შორისაა გელა ლურნეაიაც, რომელიც „ქონივა +“-ის მთავარ რედაქტორს, ელისო კილაძეს ფარული ჩანაწერების გადაცემას სთავაზობდა. ყველა მათგანს გამოიჩინა ფარული ჩანაწერების შენახვა-გავრცელებას ედავება და არა მათ გადაღებას ან ინტერნეტში ატვირთვას. თუმცა ამ დრომდე უცნობია, ვის დავალებას ასრულებდნენ ისინი ან ვინ და რა მიზნით ჩანერა თავდაპრველად ეს კადრები.

რაც შეეხება მარტში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს, პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამავრცელებელი პირების დადგენა-დაკავების მიზნით გამოიძიება გრძელდება და აშშ-ის კომპეტენტური ორგანოების დახმარებით, IP მისამართებასაც მიაკვლიეს, საიდანაც ეს კადრები ინტენტში აიტვირთა.

ერთ-ერთი კერძო კომისარის უფროსი პროგრამისტი „ლიბერალთან“ საუბრისას იმ ტექნიკურ დეტალებზე საუბრობს, რაც IP მისამართის დადგენას ეხება. მისი განმარტებით, არსებობს სპეციალური სერვერები, რომელთა გამოყენებითაც ნებისმიერი ქვეყნის ან ქალაქის IP მისამართით მასალის ატვირთვა სახლიდან გაუსვლელადაა შესაძლებელი. ის IP მისამართები კი მეორე დღეს შეიძლება საერთოდ აღარ არსებობდეს ან არსებოდეს, მაგრამ ვერ მიაკვლიო.

პროგრამისტის თქმით, ამისთვის განსაკუთრებული და სპეციალური ცოდნა საჭირო არაა. ამის გაკეთება ყველა იმ ადამიანს შეუძლია, ვინც ამ სერვერების შესახებ იცის და ინტერნეტში ოდნავ მაინც ერკვევა.

რაც შეეხება IP მისამართით იმ ადამიანის პოვნას, ვინც მასალა ატვირთა, პროგრამისტის განმარტებით, ამის შანსები 50/50-ია, რადგან IP მისამართის გაგების შემდეგ უნდა დადგინდეს, რომელ სერვერს ეკუთვნოდა ის. შემდეგ უნდა გაიგონ, ვინ

გამოიყენა სერვერი, მაგრამ ის შეიძლება ამ ინფორმაციას არ ინახვდეს.

გიორგი ბურჯანაძეს შეფასებით, სახელმწიფოს ისეთი ჩარჩოს შექმნა ევალება, რომელიც ფარული ვიდეოჩანანერების შექმნას ან მათი არსებობის შემთხვევაში გავრცელებას გამორიცხავს. მისი თქმით, კერძო პირის შემთხვევაში მსგავსი დანაშაულის პრევენცია როგორი იქნებოდა, მაგრამ, როცა ამას საჯარო მოხელე აკეთებს, მისი კონტროლი სწორედ სახელმწიფოს ევალება.

ბურჯანაძის თქმით, ე.წ. ორი გასაღების არსებობასაც, საიდანაც ერთი მობილური მოერატორის ექნებოდა და შსს-ს თვითნებურ ქმედებას გამორიცხავდა, სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ.

დღეს კონტრდაზვერვითი ფუნქცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აქვს და მისი ძირითადი მიზანი საფრთხის პრევენცისთვის ინფორმაციის მოპოვებაა. ამ ამოცანის შესასრულებლად კი მას ისეთი მოერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების უფლება აქვს, როგორიცაა: აუდიო-ვიდეო ჩანერა, ფარული კინო-ფოტოგადაღება, სატელევიზიო კამერებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენება, ასევე, ელექტრონული კონტროლი.

თუკი შსს-დან მის გამოყოფამდე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს სასამართლოსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა სჭირდებოდა, კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ამის კეთება ყოველგვარი კონტროლის გარეშე შეუძლია. რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის მოქალაქეთა პირადი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების პროცესს.

### პოლიტიკური შეზარდება

ნარსულში გავრცელებული ჩანაწერების, სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ამაზე რეაგირების, ივანიშვილისა და ხელისუფლების ნარმომადგენელთა განცადებების გათვალისწინებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს, გიგაბოკერიას ეჭვი არ ეპარება, რომ ხელისუ-

ფლებამ რიგ შემთხვევებში თვითონ გაავრცელა ჩანაწერები, როგ შემთხვევებში კი, იყენებს მათ და ეფექტურან გამოძიებისთვის არაფერს აკეთებს. ბოკერიას შეფასებით, მმართველი გუნდის ინტერესებზე მეტყველებს ისიც, რომ ჩანაწერების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ხელისუფლებასთან დაახლოებული მედიასაშუალებები უწყობენ ხელს.

გიგა ბოკერია გელა ხვედელიდის შემთხვევას იხსენებს, როცა ის ხელისუფლების ოპონენტს მის წინააღმდეგ არსებული ჩანაწერის გამოქვეყნებით ემუქრებოდა. მისი შეფასებით, ამ საქმის მტკიცებულებები ზედაპირზე იყო, მაგრამ ხვედელიდე მაინც არ დაისჯა. ბოკერია მიჩნევს, რომ დამნაშავის დასჯა მომავალში მსგავსი და-

მიზანი ოპონიციის ერთი ნაწილის მორალურად გატეხა და მეორე ნაწილისთვის დანაშაულის დაბრალებაა, რათა საზოგადოება ქვეყანაში არსებულ რეალურ პრობლემებზე არ ფოკუსირდეს. ბოკერია ამბობს, რომ ივანიშვილი ამას გადარჩენის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერის შეფასებით, გამოსავალი საზოგადოების მტკიცე რეაქცია და ყველა იმ მედიასაშუალების, ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის გან გამიჯვნაა, ვინც ფარული ჩანაწერების გზავნილების ტირაჟირებას შეუწყობს ხელს, რათა არ შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ამით ეფექტს აღწევენ.“

რაც შეეხება არჩევნების შემდგომ ფუნდამენტურ ცვლილებებს, გიგა ბოკერიას

**■ რაც შეეხება მარტში გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებს, პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამავრცელებელი პირების დადგენა-დაკავების მიზნით გამოძიება გრძელდება და აშშ-ის კომპეტენტური ორგანოების დახმარებით, IP მისამართებსაც მიაკვლიერს, საიდანაც ეს კადრები ინტერნეტში აიტვირთა.**

ნაშაულის შემაკავებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ხვედელიდის შემთხვევა კი სიგნალი იყო, რომ ასეთი დანაშაულები უტყუარი მტკიცებულებების შემთხვევაშიც დაუსჯელი რჩება.

გიგა ბოკერია დამნაშავეთა დაუსჯელობას სამართალდამცველების უუნარობითა და დანაშაულის დაფარვის მცდელობით ხსნის.

„არის შემთხვევები, როცა მეჩვენება, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული, რადგან თვითონ პოლიტიკური თანამდებობის პირები არიან თანამონაწილეები. არის შემთხვევები, სადაც უკონტროლოდ ხდება კადრების გავრცელება და სამართალდამცველებს არც კომპეტენციი ჰყოფნით და თან დემორალიზებულები არიან“. „

ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ოპოზიციისკენ ხელის გაშვერას გიგა ბოკერია ივანიშვილის რეჟიმის სამარკო ნიშანს უწოდებს. მისი თქმით, ყოფილი პრემიერის

შეფასებით, უნდა გაჩნდეს განცდა, რომ ვინც ამ დანაშაულს ჩაიდენს, პოლიტიკურადაც და სამართლებრივადაც მკაცრად დაისჯება. ამასთან, მსგავსი ჩანაწერების უკონტროლო ჩაწერისა და შემდგომში გავრცელების პრევენციისთვის სუს-ი საერთოდ უნდა გაუქმდეს, მის დეპარტამენტებზე კი საზოგადოებრივი და საპარლამენტო კონტროლი დაწესდეს, რადგან სპეცსამსახურების მუშაობა დანაშაულის ნიშნების არსებობისას ფარული ინფორმაციის მოპოვებასთანაა დაკავშირებული; მაგრამ ყოველობის არის საფრთხე, რომ ეს პროცესი უკანონო ქმდებაში გადავიდეს და ისეთი ადამიანების ხელში მოხვდეს, ვისაც ამ მასალებზე წვდომის უფლება არ აქვს.“

ბოკერიას შეფასებით, სახელმწიფო უსაფრთხოების ახალი სამსახური, ძირითადად, ხელისუფლების პროდასავლური ოპონენტების ნინააღმდეგ შეიქმნა და ის ლიად პოლიტიკური პოლიციაა. ■





მთაში ესაბინებდა - სი მიმი

ავტორი: თამა ხალიანი, ფოტო: სოფო აჭარაშვილი

მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობა, ცხოვრების დონის ამაღლება, მიგრაციის შეჩერება, დასაქმების ხელშეწყობა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება – მთის განვითარების სამთავრობო გეგმაზე მუშაობის პირველი ეტაპი დასრულდა. კანონი ძალაშია. 1600-ამდე დასახლებას სტატუსი უკვე მიენიჭა. თუ რომელი სოფელი ისარგებლებს კიდევ მაღალმთიანის სტატუსით, ამის შესახებ მთის განვითარების საბჭო მსჯელობს. აპრილის ბოლოსთვის ზუსტი სიაც გახდება ცნობილი. კანონით გათვალისწინებული ძირითადი სოციალური შეღავათები სექტემბრიდან გაიცემა. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ნინასნარი მონაცემები აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობა 2002 წლის აღწერასთან შედარებით 23,8%-ით შემცირდა. მიგრაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთის (37,4 %) და სამეგრელო-ზე-მო სვანეთის (29%) რეგიონშია.

მიტოვებული მინები, სახლები და ეზოები. მიზეზი ბევრია – მძიმე კლიმატური პირობები, უნიკლობა, უგ ზომის, უმუშევრობა, საკომუნიკაციო საშუალებების ნაკლებობა, ადმინისტრაციული ცენტრისგან სიშორე, ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

როგორ ცხოვრობენ მთაში? რამდენად პასუხობს სახელმწიფოს ახალი გეგმა მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს?

სოფელი ჩუბინიანთკარი დუშეთიდან რამდენიმე კილომეტრის სავალზეა. გზიდან მოშორებით კანტი-კუნტად მიმოვანტულ სახლის სახურავებს თუ შეავლებ თვალს, ადამიანები არ ჩანან. სოფელში ჯერ კიდევ ზამთარი დგას.

ვახტანგ ჩიური 58 წლისაა. შვილები ქალაქში ჰყავს. მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა, მინასთან ჭიდილში. ბევრი არაფერი მოჰყავს, ლობით და სიმინდი. მთავარია, ამინდმა არ უმტყუნოს. ხშირად უეცარი სეტყვა მოსავალს უნადგურებს.

სოფელი ბაზალეთის თემს ეკუთვნის. ორმოცამდე ოჯახი ცხოვრობს. სკოლა გვერდით სოფელშია. ტრანსპორტი არ მოძრაობს. გზაზე გამვლელს თუ გაჰყვებან ბაზალეთამდე, სადაც სამედიცინო პუნქტია. იქიდან მიმართვის გამოწერის შემდეგ დუშეთის საავადმყოფოში მიდიან. სოფელში იხსენებენ, რომ ადრე ავტობუსი იყო დანიშნული,

ჩამოივლიდა ყოველდღე სოფელს და დუშეთში ხალხი მიჰყავდა. მაშინ მოსახლეობაც ბევრი იყო. წლებია, სოფელში ავტობუსი არ გამოჩენილა. ყველაზე მეტად უმუშევრობაზე ჩივიან – ახალგაზრდებმა აქ რა უნდა აკეთონო.

სასმელ წყალს საერთო წყაროდან ეზიდებიან. ბორის ბიძიკაშვილი პენსიონერია. პატარა „ტაჩი“ ჰყავს და დილა-სალამოს სახლში წყალი მიაჰვს. მისი შვილებიც სამუშაოდ ქალაქში წავიდნენ.

სოფელში უცხო ადამიანების გამოჩენა ისეთი იშვიათობაა, გადაძილებულ-გადმოძახილის შემდეგ ჩვენს ირგვლივ რამდენიმე კაცი იქრიბება. ალმაცერად გვიყურებენ, რატომ მოხვედით, რა გაინტერესებთო.

ჩუბინიანთკარს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი არ აქვს, იმ სოფელებს შერისაა, რომლებიც სტატუსის მიღებას ითხოვენ. გაუგიათ, გვერდით რამდენიმე სოფელს აქვთ, კარგად არ იციან. მათთან არავინ

მისულა. ითვლიან, ზომავენ, კამათობენ, ვისი სახლი ზღვის დონიდან რამდენ მეტრზეა, ეს ყოფილა მთავარიო. ნოდარი ამბობს, ჩემი სახლი 842 მეტრზეა.

არჩევნები მოდის და ახლა, ალბათ, ვინმე გამოწინდება ჩვენს სოფელშიო, ამბობენ სევდანარევი სიცილით.

ჭილურტელებთან გადადითო, გვთხოვენ. ისინი გამეობაშიც ჩავიდნენ, სტატუსის მოთხოვნით. თუ ჭილურტს მისცემენ, ეგებ ჩვენც გვეშველოს, ისე არ დაგვტოვებენ. პენსია მაინც მოგვემატება და ზამთარში საჭმელს ვიყიდით.

ჭილურტის გზას გვასნავლიან, თან მანქანის საბურავებს უყურებენ, შეიძლება ვერც ახვიდეთო.

გზაჯვერედნზე, ხეზე მიმაგრებულ რკინის ნაჭერზე ძლიერ ვარჩევთ სოფლის სახელს. ქვიან გზაზე უნდა გადავიდეთ და მაღლა ავუყვეთ. სიჩუმეში ჩაფლულ რამდენიმე სახლს გვერდს ვუვლით.

სოსო ფეიქრიშვილი პენსიონერია. ამბობს, რომ სოფლიდან ხალხი განძის, ოგვილივ სახლებს გვაჩვენებს, სადაც არავინ ცხოვრობს. ზაფხულობითაც არ ჩამოდიანონ, ნყალი აქ არ არის და გზა, ვერც გაამტყუნებო.

სოსოს სამი შვილი ჰყავს. დარღობს, ბიჭი 36 წლისაა, ვერც მუშაობს, წასასვლელიც არსადაა, ქალაქში სად იცხოვროს, აქ ჭერი მაინც აქვსო. ამბობს, რომ წამალი ან ექიმი თუ სჭირდებათ, ფეხით ჩადიან მჭადიჯვარში და მერე მანქანას დუშეთში მიჰყებიან.

„ვაი-ვაგლახით მივდივართ წლიდან წლამდე. სანამ ავიღებთ მოსავალს, ღმერთს ვეხვენებით, სეტყვა არ მოვიდეს, სულ გაგვინადურებს ხოლმე. ვინც დარჩენილები ვართ სოფელში, გამოვალთ და ერთმანეთს ორ სიტყვას თუ ვეტყვით. ჩვენ კიდევ პენსია გვაქვს, 30 წლისამ რა უნდა ქნას. ჩემს პენსიაზე არიან ჩემი შვილები“ – ამბობს სოსო.

მაღალმთიანი სოფლის სტატუსი არც ჭილურტს აქვს. რამდენიმე კაცმა სოფლიდან გამგებელთან განცხადება დატოვა. იმედი აქვთ, მაღალმთიანი სოფელების ნუსხაში მათ სოფელსაც დაამატებენ.

ორსართულიანი შენობის ფანჯრებიდან კვამლი გამოდის. ძელი შენობის დერეფანი დაჩხილი შეშითაა საკასე, რამდენიმე ოთახის კარზე წარნერაა გაკრული – „II-IV კლასი“, „V-VII კლასი“. ჭილურტის სკოლაში სულ ოცი ბავშვი სწავლობს. სამასწავლებლოში, ღუმელთან ორი მასწავლებელი თბება.

მარინა ილურიძე დაწყებითი კლასის მასწავლებელია. ამბობს, რომ სკოლაში მხოლოდ მასწავლებლები და მათი შვილები დადიან. სკოლა არასრულია. ადრე თუ გვიან, შვილების გამო, თვითონაც მოუწევთ სოფლის დატოვება. ნუხს, რომ

## ■ ვახტანგ ჩიური 58 წლისაა. შვილები ქალაქში ჰყავს.

მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა, მიწასთან ჭიდოლში. ბევრი არაფერი მოჰყავს, ლობიო და სიმინდი. მთავარია, ამინდმა არ უმტყუნოს. ხშირად უეცარი სეტყვა მოსავალს უნადგურებს.

სახლები უმეტესად გამოკეტილია. ტრანსპორტიც არ არის, რომ სოფელში მოსვლა გაადვილდეს. ამბობენ, რომ ადრე „მარშუტკა“ დადიოდა, მაგრამ იმის გამო, რომ მგზავრები ცოტანი იყვნენ, მძღოლმა სოფელში ამოსვლაზე უარი თქვა.

გვერდით სოფელს, ებნის მაღალმთიანის სტატუსი აქვს. ჭილურტში უკვირთ, სოფელებში ერთნაირი სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობაა, მხოლოდ რამდენიმე მეტრით მაღალზე მდებარეობს ებნისი და, ალბათ, ეს აღმოჩნდა გადამწყვეტილი. ებნისი იმ სოფელს მიეკუთვნება, რომელიც ზღვის დონიდან 800-დან 1500 მეტრამდე, მაგრამ მთის განვითარების საბჭომ სოფლის მდგომარეობის გათვალისწინებით სიაში ჩასვა. ჭილურტი სტატუსის გარეშე დარჩა.

ებნისის სკოლა ჭილურტის სკოლას ეკუთვნის. იმის გამო, რომ ამ ორ სოფელს შორის ხევია და ზამთარში ბავშვებს ჭილურტის სკოლაში გადასვლა უჭირდათ, ებნისში სკოლის შენობა შეინარჩუნეს და ადგილობრივი ბავშვები იმ სკოლაში დადიან. მიუხედავად იმისა, რომ ებნისის სტატუსი აქვს, იქაური სკოლის პედაგოგები შედავათებს ვერ მიიღებენ, რადგან სკოლა ჭილურტის სკოლის ნაწილია.

სოფელში ამბობენ, რომ მწირი მიწებია, საძოვრები – ნაკლები, რომ მესაქონლეობას მიჰყოს ადამიანმა ხელი; თუ მიწას დაამუშავებ, სარწყავი არ არის.

„ეს პრობლემები რომ არ გვქონდეს, სულ არ გვინდა ეს მთის ზონა. უბრალოდ, ვინც დავრჩით, მათთვის ცოტა შეღავათია, პენსიონერებისთვის, მასწავლებლებისთვის რომ სკოლა შევინარჩუნოთ, მაგის-თვის ვიბრძიოთ. ცოტა ხანს მეცველოდები, თუ უკეთესი პირობები იქნება, შეიძლება დავრჩით, თუ არა სხვა გზა არ გვაქვს, მოგვიწევს სოფლის დატოვებაა“ – ამბობს მარინა.

მასწავლებლებს ახლომახლო მდებარე იმ სოფლების შესახებ ვეკითხებით, რომელთაც მაღალმთიანის სტატუსი აქვთ, მაგალითად, სოფელი ჭონტილი. სმენიათ, რომ ამ სოფელში თითქმის აღარავინ ცხოვრობს, შეიძლება ერთი ოჯახი დაგხვდეთო. გვაფრთხილებენ, არ ღირს ამ სოფელში ასვლა, გზა არ არის. ინტერესით გვეკითხებიან, კიდევ რომელი სოფელი წერია, რამდენიმეს ვერც ისხსებენ. უკვირთ, იმ სოფლებს სტატუსი რად უნდათ, სადაც არავინ ცხოვრობონ.

ჭონტილში წასვლა მაინც გადავწყიტეთ. კითხვა-კითხვით, სოფელ ბაზალეთამდე ავედით. ადამიანების შეცტუნებულ სახეებზე ვხვდებოდით, ამ ადგილებში ბოლონლების განმავლობაში ერთადერთი და ყველაზე უცნაური მგზავრები ვიყავით, რომლებიც სოფელ ჭონტილისკენ მიმავალ გზას კითხულობდნენ. რამდენიმემ შეგვეძა, იქ მგონი არავინ ცხოვრობს, საბურავებზეც ჯაჭვები არ გაქვთ და მაინც

## მუკოვიდისი

ერთ-ერთი უძველესი და გავრცელებული დაზიანების მიმართ



ეკრ შეძლებოთ, ეკრ შევეძლოთ. წერის სიყველს გაა სი ჩამოგრუ-  
ცხა, ახლის მისვლად გაგრიჭოდა.

გზის გამო ეკრ ავტომა სიყველ  
ქარჩუაშამიცა, რისტლასა ასევე  
მაღალმიმანი სიყველის სტატუსი  
აქვთ.

გვთხრეს, სიყველი ახალი ბურ-  
ლელი შედეგისთვის ახლის არის.  
გვიპირ გზის მოწერდავდ, ავევით.

ქლიფ კომიტეტ ერთი სახლი, სადაც  
შეუ ერთი და კაშაძე მიმოიფლე-  
რის სახურავისან ქრის სახლის პ-  
ტანა და ჯერ მიმოიფლერი არა-  
და არ ჩერ მიმოიფლერი არა-  
და მისამართი ამოვა, გომიერება-  
და და მისამართი ამოვა, გომიერება-  
და სახლის თორი სიყველ კომიტეტი.  
სპრინტსა და დადლენისტებან ჩადა-  
სდებ და დაგრძელებან ჩადა-  
სდებ და დაგრძელებან ჩადა-  
სდებ და დაგრძელებან გამო-  
მდალმიმანისას გამო-  
მდალმიმანისას გამო-

ცენტრისად, მაღალმიმანის სტატუ-  
სი მექანიკა, არ ეკრო, მურნილების  
გვითხროს, სოფია, მარია, იოანე  
ივერია კერძორის, არ არავინ მი-  
მოი და არ ჩერ მიმოიფლერი არა-  
და ერთ შეველ სკოლის დასას-  
ტი გრუმისხვილის, მურა, აღამა, ისიდ  
სადებ და დაგრძელებან გამო-  
მდალმიმანისას გამო-

მიმოიტონის შეუმდგომობების  
ნაბეჭდის მთის განვითარების სა-  
ხელშის 1 არისლად დე იყ შე-  
უძველესის მაღალმიმანი სი-  
საბალერის განმარტების უშემცე-  
ვებრივის ხარის 100 კუტის  
დაზიანებისას, (2016 წლის 1 აგვისი)

მაღალმიმანი რეგიონის მდგრადი მცი-  
რების 1 სტატუსის განვითარების მიმინი შესა-  
ბამისი ღირსისტების გამორცელებისას (2016 წლის 1 სტატუსის განვითარების)  
• საკონლერი პაკტის მიმღებ პრინციპის (სოფიარი პაკტის  
20-წლიურის დამატები) (2016 წლის 1 სტატუსის)

• მაღალმიმან დასახურავის მდგრადი სკოლისა და სახუ-  
რავო მურა დაუკარგებელ მომენტების საგანმარტენოს მართვის  
სტატუსის მომენტების მანევრებების (სამამა საჯარი სკოლის  
მსამართებელის საბაზო ხელფასის არას კურს 35 პრიურიტის, მოლო  
პრიურიტული დანერგებულების მანევრებების სამამას მარ-  
ზლურის 35 პრიურიტის) (2016 წლის 1 სტატუსის)

• მაღალმიმან დასახურავის მდგრადი სახურავის მურა დაუკა-  
რგებელ მომენტის ასამაღალ მაღალმიმან დასახურავის  
გენერი - სახურავის კურსის ერთობლივ 50 პრიურიტის იღე-  
ბისთვის (2016 წლის 1 სტატუსის)

• მაღალმიმან დასახურავის მდგრადი სახურავის მურა დაუკა-  
რგებელ მომენტის ასამაღალ ასამაღალ მაღალმიმან დასახურავის  
გენერი - სახურავის კურსის ერთობლივ 50 პრიურიტის იღე-  
ბისთვის (2016 წლის 1 სტატუსის)

• მაღალმიმან დასახურავის მურა დაუკარგების სტატუსის  
მურა პრი პრი ასამაღალ დასახურავის მურა და მურა  
ბარები 100 ლიკ კუკულიურის ერთ ნილის გამომცემის ხილი  
მესამე და მარდინა ბარების 100 ლიკ კუკულიურის ერთ ნილის  
გამომცემის (2016 წლის 1 აგვისი)

• ასაკო პრიორიტეტის დასახურავის კურსის 20 პრი-  
ორიტის (2016 წლის 1 სტატუსის)

• მაღალმიმან დასახურავის მომარტულ გენერიტორიზაციის  
საფუძვლის მორჩილებისთვის ასადალურის დასახურავის გენერიტო-  
რიზაციის ხარის 50%-ის ღირსის (მარამ, ასურებელ 100 კუტის  
დაზიანებისას), (2017 წლის 1 აგვისი)

• მაღალმიმან დასახურავის მურა დაუკარგების მცირების  
გრძელ პრიორიტეტის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნის შესა-  
ბამისი ღირსისტების გამორცელებისას (2016 წლის 1 სტატუსის)

• საჯარი სკოლებისა და პრიურიტული სამამას გაუტენის  
გაზრდილი ღირსის გაუტენის. (2016 წლის 1 აგვისი)



გამომცემის მურა დაუკარგების საუკუნის  
მდგრადი დაგრძელების მიზნის შესა-  
ბამისი ღირსისტების გამორცელებისას



სოსო პეტრიშვილია. სამი შეიღლი ჰყავს.  
ამბობს, ბაზი 36 წლისაა, კურც  
მუშაობს, წასასვლელიც არსადაა,  
ქალაქში სად იცხოვროს, აქ ჭერი მაინც  
აქვს.

ნისაზღვრა. როგორც სამინისტროში ამბობენ, სამუშაო პროცესი აქტიურ ფაზაში შარშან, გაზაფხულზე შევიდა, მოქმედ გაფართოებული შეხვედრა, სადაც უშუალოდ მოიან რეგონებში არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. შეხვედრას სხვადასხვა უწყებასთან ერთად ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები, ასევე აკადემიური წრეების ნარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სწორედ მათ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნო სამინისტრო მაღალმთან რეგიონებში არსებული მდგომარეობის სურათის შესაქმნელად. სპეციალური, მაღალმთან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების კვლევა არ უნარმობიათ.

თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგი-

ლე და მთის განვითარების საბჭოს მდგვანი ოთარ კონჯარია ამბობს, რომ სწორედ ამ გაფართოებულ შეხვედრაზე გამოიკვეთა ძირითადი საკითხები, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს მთავრობამ იმისათვის, რომ მთაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობა, მძიმე სოციალური პირობები, ჯანდაცვასა თუ განათლებაზე ხელმისაწვდომობა – ამ საკითხების გადაჭრისთვის მთავრობამ კანონპროექტი მოამზადა.

„მაღალმთან რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონი პარამეტრებით დაამტკიცა და ძალაში 1 იანვრიდან შევიდა. სხვადასხვა სოციალურ თუ საგადასახად შედავათთან ერთად კანონით მთის განვითარების ეროვნული საბჭოს

სტატუსი და შემადგენლობა განისაზღვრა.

ოთარ კონჯარია ამბობს, რომ უმთავრესი, რასაც კანონი განსაზღვრავს, არის მკაფიოდ განერილი კრიტერიუმები, როს საფუძველზე უნდა მიენიჭოთ დასახლებებს მაღალმთანის სტატუსი.

კანონით განსაზღვრულია, რომ პიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთან დასახლებად მიიჩნევა დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. შესაბამისად, ასეთ დასახლებას სტატუსი ავტომატურად მიენიჭა. ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, სტატუსი მიენიჭათ ასევე, ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს, როგო-

რიცაა: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავე-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, მაღალმთიანის სტატუსი მიანიჭის დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანალებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სხვადასხვა კრიტერიუმში მთის განვითარების საბჭომ სამი ძირითადი კრიტერიუმი გამოყო, ესაა დემოგრაფიული მდგომარეობა – თუკი დასახლებაში მოსახლეობის კლება 25%-ს აღემატება, ასევე, მოსახლეობის საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია. მეორეა სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა, როცა დასახლებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების 50%-ზე მეტის დამუშავება შეუძლებელია სტანდარტული ტექნიკით. მესამე კრიტერიუმია, სიშორე ადმინისტრაციული ცენტრიდან, როდესაც დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს ხელი არ მიუწვდებათ საჯარო მომსახურებაზე, განათლებასა თუ ჯანდაცვაზე.

საბჭომ დაადგინა, რომ სოფელს, რომელიც ზღვის დონიდან 1000-დან 1500 მეტრამდე მდებარეობს და ერთ კრიტერიუმს მაინც აკმაყოფილებს, უნდა მიენიჭოს სტატუსი. ხოლო დასახლება, რომელიც 800-დან 1500 მეტრამდეა, ორ კრიტერიუმს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს.

რაც შეეხება კანონით განსაზღვრულ შედავათებს. ძირითადი სოციალური შედავათები მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირებისთვის 1 სექტემბრიდან შევა ძალაში. მაგალითად: საპენსიონო ასაკს მიღწეულ პირზე პენსიაზე არანალებ 20% დანამატის გაცემა. ასევე, ყოველთვიური დანამატი მაღალმთიან დასახლებაში

## შელავათები საბაზესახალო სფეროში

საშემოსავლო გადასახადი:

ა) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მრავალშვილიანი პირის (რომლის კამიუნიტეტი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციიდან მიღებული ხელფასი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო, თუ აღნიშნული სტატუსის მქონე პირი (რომლის კამიუნიტეტი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი), ხელფასის სახით 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავლს იღებს, საშემოსავლო გადასახადი უნახევრდება;

ბ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული 6000 ლარამდე შემოსავლი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან მიღებული ხელფასისა, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან;

გ) მაღალმთიანი დასახლების სანარმოს სტატუსის მქონე მენარმე ფიზიკური პირები საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან 10 წლით.

მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების სანარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით მიღებული მოგება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში.

ქონების გადასახადისაგან თავისუფლდება:

ა) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოსახლის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი;

ბ) მაღალმთიანი დასახლების სანარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში.

მდებარე სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებები დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის. მასწავლებელზე დანამატისა და მრავალსექტორიანი საჯარო სკოლებისათვის მოსწავლეებზე ვაუჩერის გაზრდილი ოდენობით დაფინანსება. ზამთრის პერიოდში აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ით ანაზღაურება.

პირველი იანვრიდან შევიდა ძა-

ლაში დახმარების პროგრამა მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ოჯახებისთვის: პირველ და მეორე ბავშვზე ერთი წლის განმავლობაში 100 ლარი გაიცემა, მესამე და ყოველ შემდგომ ბავშვზე – 200 ლარი ორი წლის განმავლობაში.

მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო და ქონების გადასახადებისგან. ასევე, პირი, რომელსაც, საქართველოს კანონმ-

დებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვს „მაღალმთიანი დასახლების საწარმოს“ სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისად. საგადასახადო შედავათები 10 წლის განმავლობაში იმოქმედდებს.

კანონით გათვალისწინებული შედავათების გაცემაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებაა, მაგალითად, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროები. საჭირო თანხაც ამ უწყების ბიუჯეტებში უნდა იყოს განსაზღვრული.

\*\*\*

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ მიმართული რეფორმა საქართველოში მთის დახმარების მეორე მცდელობაა. ძველი კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულ-

ტურული განვითარების შესახებ“ პარლამენტმა 1999 წელს დაამტკიცა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ კანონი უფუნქციო გახდა და საბოლოოდ, 2009 წელს მისი მოქმედება შეწერდა.

ძველი კანონის ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთის პრობლემატიკაზე მომუშავე ჯგუფის წევრი, აკადემიკოსი ბერდო გომიშვილი ამბობს, რომ კანონი პარლამენტარებმა გააფუჭეს. იხსენებს, რომ კანონის მიღებიდან მაღლევე არჩევნები მოდიოდა, დეპუტატებს კი უნდოდათ, თავიანთ რაიონები შეეყვანათ, საბოლოოდ კი ზღვისპირა სოფლებიც მაღალმთიანი დასახლების სიაში აღმოჩნდა.

„ფაქტობრივად, კანონი გაფუჭდა. როცა დაფინანსებაზე მიდგა საქმე, აღმოჩნდა, რომ სამყოფი ფული აღარ იყო, სტატუსი იმდენს ჰქონ-

და მინიჭებული. მაშინ კიდევ უფრო მეტად უჭირდა ქვეყანას, ამიტომ გადაწყვიტეს, კანონის მცირე, რამდენიმე პუნქტი მაინც შეესრულებინათ. ეს ვერ იქნებოდა რეალური დახმარება და შედეგის მომცემი“, – ამბობს ბერდო გომიშვილი.

ძველი კანონის მიხედვით, 9 პუნქტი იყო განსაზღვრული, რომლის გათვალისწინებითაც, მაღალმთიანის სტატუსი უნდა მინიჭებოდა დასახლებას – სიმაღლე, ფერდობთა დახრილობა, მცირებინანობა, ტყის რაოდენობა, საზღვართან სიახლოვე, დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვა.

მეცნიერებათა აკადემიაში მთის პრობლემატიკაზე მომუშავე კომისია 1969 წლიდან არსებობს. ბერდო გომიშვილი ამბობს, რომ შეუძლებელია მთაში არსებული მდგომარეობის შესწავლა მთაში ასელის გარეშე. მისი თქმით, ყველა რაიონის თავისი დამასახიათებელი საჭიროები აქვს. თუკი რეალური მიზანია მათი განვითარება, თავდაპირველად სწორედ ამის განსაზღვრა და დაგენა საჭირო, შემდეგ კი პრატიკული დახმარების განევა. აკადემიკოსი ამბობს, რომ როგორი წარმოსადგენია, კანონმა სრულყოფილად იმუშაოს, როცა მინის რეესტრი ჯერ კიდევ არ არსებობს და მთაში ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ფიქრობს, რომ მთა კარგად არ არის შესწავლილი. მაგალითად, ხევსურეთში სოფლები განახევრდა, მიზეზი კი ადგილზეა საკვლევი.

„მთავრობის მიერ განაწილებული თანხა უფრო მიზნობრივი უნდა იყოს, რომელ სოფელს მეტად სჭირდება და რისთვის. მაგალითად, ოროვანიან სოფელს სხვანაირი დახმარება და გაძლიერება უნდა. საზღვრისპირა სოფლებში განსხვავებული მიღვმა საჭირო. ან როცა ბიზნესია და მენარმეობაზე საუბრობენ, ხომ უნდა იცოდეს

## მაღალმთიან ღასაცავაში მუხლის მსხვევები ჰითის სტატუსის მიღება

იმისათვის, რომ ისარგებლოთ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონით განსაზღვრული შედავათებით, აუცილებელია, გქონდეთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. სტატუსის მინიჭებისთვის პირი მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს განცხადებას უნდა დაერთოს:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

- მაღალმთიან დასახლებაში წლის განმავლობაში, ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ფიზიკური პირის მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სხვა პირის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში – უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების პირის სტატუსის მისაღბად მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაცია აუცილებელია, სხვა შემთხვევაში პირი ვერ მიღებს სტატუსს.



ქალას ყელმ მასპინძელი აიტულა,  
გამოიხედა. სახლში ოთხ სული  
ვცხოვრობთ. ერთი შეიღლ სკოლიში  
დაღის, გრემისხვევით. მერე, უბათ,  
ისიც სადმე ნავათ.

სახელმწიფომ, რომელ რეგიონში მენარმეობის რა პოტენციალია", – ამბობს ბერდი გომიშვილი.

საქართველოს ტერიტორიის 79% მთას უჭირავს. აკადემიკოსი ამბობს, რომ საქართველო მთის ქვეყანაა, მაგრამ დღეს მთა კრიზისშია.

\*\*\*

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მთის განვითარების კანონის სრულად ამოქმედებით, მთის განვითარების საბჭოს მუშაობისა და ყველა უწყების ჩართულობით, მნიშვნელოვან შედეგს იმედოვნებენ, სოფლების დაცლა შემცირდება და მთაში მცხოვრები ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება.

მაღალმთიანი დასახლებების გან-

ვითარების ფონდისთვის ბიუჯეტიდან 2016 წელს 20 მლნ ლარია გამოყოფილი. მთის განვითარების საბჭოს მდივნის ოთარ კონჯარიას თქმით, ფონდი არ ნარმოადგენს ცალკე სტრუქტურულ ერთეულს: „როდესაც მთის განვითარების საბჭო შეიმუშავებს კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამას და მისცემს რეკომენდაციას მთავრობას, რომ ეს პროექტი უნდა განხორციელდეს, მთავრობა იმსჯელებს ამაზე. საბოლოოდ, ის იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საბჭო შესაძლებელია, მისცეს რეკომენდაცია, კონკრეტულ მაღალმთიან რაიონში ამბულატორიის მშენებლობისთვის, კანდიდატების მდგომარეობის გამოსახულების მიზანით. ასეთ შემთხვევაში,

მთავრობა ფონდიდან გამოყოფს საჭირო რესურსს და შესაბამის უწყებას დაავალებს მშენებლობას", – ამბობს ოთარ კონჯარია.

მთის განვითარების საბჭო კოლეგიური სათათბირო ორგანოა, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების, შესაბამისი აღმინისტრაციული ორგანოების ნარმომადგენლები, პარლამენტის წევრები, ექსპერტები და მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტების ნარმომადგენლები შედიან. საბჭოს პასუხისმგებლობაა, მოამზადოს კონკრეტული წინადადებები გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელიც მთის მოსახლეობას დაეხმარება. ასევე, მოამზადოს მთის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს და როგორც ამბობენ, სექტემბრამდე დასრულდება. □

# რევოლუცია აუდიტორიებიდან

ინტერვიუ ფილოსოფოს გიორგი მაისურაძესთან

କୁଣ୍ଡଳ ରାଜ୍ୟ ମନେ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ତା ଯୁଗମନ୍ଦ୍ରିୟରୁ ଏକ ଯୁଗମନ୍ଦ୍ରିୟ ଗ୍ରାହକଙ୍କୁରୁଣ୍ଡା, ଯେତାମନ୍ଦ୍ରିୟରୁ କାନ୍ତିକାନ୍ତିକାମଳରୁଷାମଳ ମୁହୂର୍ତ୍ତରୁ ପାଇଲାମଣି ନାରୀ, ଶରୀରର ପରିଧିରୁ, ଶ୍ରୀମତୀରୁଷାମଳ - ପାଦପରିଧିରୁ ରାନ୍ଧା ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ଏବଂ ଉପରୁକ୍ତରୁଷାମଳ ରାଜ୍ୟରୁ ପାଇଲାମଣି ନାରୀ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ ଏବଂ ଉପରୁକ୍ତରୁଷାମଳ ରାଜ୍ୟରୁ ପାଇଲାମଣି ନାରୀ ଦେଖିଲୁଛାମୁଁ

స్వయంగ్రహక శస్త్రానికి తాగి మించుటకుపోతిస్తాడు కాబిన్‌లోనుండి వెళుస్తాడు, ప్రయోగానికి సమయంలోనుండి తాగి ప్రయోగానికి వెళుస్తాడు, రిసార్చు లేకపోతాడు.



ସ୍ଵର ଦ୍ୱାରା କୁ ଶବ୍ଦରୂପଙ୍କୁ ମୁହଁରୁତ୍ତିରୁ  
ସ୍ଵର ଗୁଣିତା ରୂପରୂପରୁ ଅଭିନନ୍ଦିତା  
ଶ୍ଵରରୁତ୍ତିରୁ ରତ୍ନମଳିରୁ ରୂପରୂପରୁ  
ରତ୍ନମଳି ମୁହଁରୁତ୍ତିରୁ କରିବାରେ  
ତୁଳିଲୁଣ୍ଡରିକା, ଅଛୁଟ ମିଳିଗୁରୁ ରତ୍ନରୁ  
ରତ୍ନମଳିରୁ, ଲୀଲା ଅବ୍ରଦ୍ଧ ଏବଂ  
ରୂପରୂପ କ୍ଷେତ୍ର ରତ୍ନମଳିରୁରୁ  
ଶବ୍ଦରୂପରୁ ମୁହଁରୁତ୍ତିରୁ ଶବ୍ଦରୂପରୁ

ଲ୍ୟାନ୍‌ଡୋମ୍‌ବୁଦ୍ଧି, ଏବଂ ରାଜ୍‌ପାତ୍ରଙ୍କ ଶ୍ରୀମତୀ ହିନ୍ଦୁ  
ନେତ୍ରିରୁଷ୍ମୁଖରୁଷ ରୁଷଭ୍ୟାଳୁଗ୍ରାହୀ, ଅନ୍ତର୍ଭାବ  
ମାତ୍ରା କ୍ଷମିତ୍ରରାଜନୀଲ୍ଲା ରୀତ କ୍ଷମିତ୍ରପ୍ରତ୍ୟେ  
ମେଲ୍‌କ୍ଷମିତ୍ରପ୍ରତ୍ୟେ ଦେଖିବାରେ ନେତ୍ରିରୁଷ୍ମୁଖ-  
ରୁଷଭ୍ୟାଳୁଗ୍ରାହୀ ସ୍ଵାମୀ କ୍ଷମିତ୍ରରାଜନୀଲ୍ଲା  
ପ୍ରେସରୁ ପାଇଥାଏଇବା କାହାରେବେଳେ କାହାରେବେଳେ  
ପ୍ରେସରୁ ପାଇଥାଏଇବା

ପ୍ରକାଶିତିବେଳେ, ଉନ୍ନତିରୁଦ୍ଧରଣ କାହାରୁ  
କୁଣ୍ଡଳ ନାମରେ ସାମାଜିକ କ୍ଷମିତା, ଏଣୁ  
ମେଂ ମିଳ ମିଳ ତାତୀଖିଲ ଦ୍ୟାଗରୁଲୁଣ୍ଡ ଅଛୁ  
ଅନ୍ତରୁ ବ୍ୟାଙ୍ଗିକାଲୁଗୁରୁରୁ ରୋଗିନୀଙ୍କ  
ଦେ ଥିଲୁଣ୍ଡ କାହାରୁରୁ ଦ୍ୟାଗରୁଲୁଣ୍ଡ  
ପ୍ରକାଶିତିବେଳେ, ମାନ୍ଦିନୀ, ରାଜରୁକୁ ମରିଯାଇଲୁ  
କ୍ଷୁଦ୍ରାନ୍ତିକୁ ପ୍ରକାଶିତିବେଳେ କିମ୍ବାଲୁଣ୍ଡ ଦେ  
ପ୍ରକାଶିତିବେଳେ କିମ୍ବାଲୁଣ୍ଡ କ୍ଷୁଦ୍ରାନ୍ତିକୁ



შეცვლა სცადოს. ცვლილებები კი  
ძირეულია საჭირო. რადიკალური და  
უკომპრომისო რეფორმების გარეშე  
თსუ-ს სრული განადგურება ემუ-  
ქრება.

അഥ സ്ത്രീയുദ്ധത്തിൽ നിന്നും പരാജയാക്കിയ മഹാത്മാവായ ശ്രീ മഹാത്മാ ഗാന്ധി അനുസരിച്ച് ആര്യൻ എന്ന പേരിൽ അറിയപ്പെടുന്നു. അദ്ദേഹം മഹാത്മാ ഗാന്ധി എന്ന പേരിൽ അറിയപ്പെടുന്നു.

გვიხსენოთ თავად სიტყვა უნი-  
ვერსიტეტის პირვანდლელი მნიშვნე-  
ლობა – *universitas magistrorum et  
scholarium* – „ლექტორთა და სტუ-  
დენტთა ერთობა“ (სიტყვასიტყვით,  
„სატატითა და შეგირდთა ერთობა“).  
ერთობაში ერთ აზრზე ყოფნა, რა  
თქმა უნდა, არ იგულისხმება. უნი-  
ვერსიტეტი განსხვავებულ აზრთა,  
თეორიათა თუ პოზიციათა თავისუ-  
ფალი სადისკუსიო სივრცეა, თავისი  
აკადემიური სტანდარტებითა და არ-  
გუმენტაციით. ამ ერთობის რღვევა  
ყველა სახის მანკიურიბის სათავეა.

ის, რაც თსუ-ში კანცლერის  
არჩევნებზე გამოჩნდა, პოლიტიკურ  
კრიმინალს უფრო ჰეგავს, ვიდრე  
აკადემიურ პროცესს: უნივერსიტეტი,  
მისი რექტორატი, ადმინისტრაცია,  
აკადემიური საბჭო, სტუდენტური  
თვითმმართველობა – ძალაუფლე-  
ბის სფერის ბრძოლისა და ინტრიგების  
არენად მოვცველონა. ასეთ დროს  
პროფესიურის ნაწილი რექტორის  
სახელზე დებდა ერთგულების ფიცს,  
მეორე ნაწილი კი მისი მონინაალ-  
მდეგების ბანაკში იდგა. მხოლოდ  
ერთეულებმა დაიკავეს სტუდენტების  
მხარე, იმ ერთადერთი ძალის, რო-  
მელმაც გაბედა და ამ სამარცხვინო  
ფარსს საბურველი მოხადა.

ზოგადად თვალს თუ გადავავ-  
ლებთ საქართველოში არსებულ  
აკადემიურ გარემოს, ტრაგიზმის  
განცდა შეიძლება დაგვეუფლოს. ის

თითქოს თავისთვისაა, სამყაროსგან  
და მასში მიმდინარე პროცესებიდან  
ამოვარდნილი. მეცნიერება ამორტი-  
ზებულ ქარხნას ჰგავს, რომელსაც  
ფასადს უფერადებენ და მერე მის  
სურვიაგატულ ან დიდი ხნის ყადა-  
ღაბასულ პროდუქციას ურიცხვე  
უნივერსიტეტებში არაადეკვატურად  
მაღალ ფასებში ასაღებენ. უმაღლესი  
განათლება თანამედროვე საქართვე-  
ლოში ბიზნესია, რომელსაც „აზრის  
უხილავი ხელი“ არეგულირებს და  
უხარისხმო პროდუქტით კვებავს  
სტუდენტებს. თუ რომელიმე უნივერ-  
სიტეტი ახერხებს და ამ წუნდებულ  
ნანარმს ლამაზ ქაღალდში ფუთა-  
ვს, უკვე დიდ მიღწევად ითვლება.  
მაგრამ ამ მხრივაც გარღვევა მგონია  
სტუდენტური მოძრაობა, რომელიც  
იქით ჰკარნახობს პროფესურას იმ  
თემატიკას, რაც მათთვისაა საინტე-  
რესო და აქტუალური. ამდენად, ამ  
სტუდენტებისგან პროფესორებმაც  
უნდა იჩნავლონ.

თვითმმართველობები - რეალურად  
რა ფუნქცია აქვს სტუდენტთა ორგანი-  
ზების ამ ჯორმას?

თავისთავად სტუდენტურ თვითმ-  
მართველობაში, თუკი მას წარ-  
მომადგენლობითი და ერთგვარი  
პროფესიული ფუნქცია ექნება  
სტუდენტებისათვის, ცუდი არა-  
ფერია, მაგრამ საქართველოში  
თვითმმართველობა რეალურად  
პრივილეგირებულ ნომენკლატუ-  
რად ჩამოყალიბდა, ან შეიძლება  
ასეთადაც იყო ჩაფიქრებული მისი  
შემომტანი ხელისუფლების მხრიდან.  
„ნაციონალური მოძრაობის“ მმარ-  
თველობის დროს თვითმმართველობა  
პარტიულ-პოლიტიკური კარიერის  
ტრამპლინი იყო, ანუ, ფაქტორივად,  
მას იგივე და უარესი ფუნქციე-  
ბიც კი ჰქონდა, რაც კომკავშირს,  
– მხედველობაში მაქს 2011 წელს  
თსუ-ში თვითმმართველობის ფი-

სტუდენტები ანგარიშს წორებები „ლაპო-  
რატორია 1918“ წევრებისა თუ სხვა  
არაპროსამთავრობოდ განწყობილი  
სტუდენტების მიმართ. როგორც  
ახლანდელი აქციების დროს გამოჩნ-  
და, არც „ქართულ ოცნებას“ უთქვა-  
მს უარი სტუდენტური თვითმმარ-  
თველობებით მანიპულაციის მანეირ  
პრაქტიკაზე. ფორმა, რომლითაც  
დღეს სტუდენტური თვითმმარ-  
თველობები არსებობს, მანეირი  
წარსულის გადმონაშთია. ილიას  
უნივერსიტეტში, სადაც მე ვმუშაობ,  
იმ სტუდენტური თვითმმართველო-  
ბისგან, რომელიც თავის თსუ-ელ  
კოლეგებს ედგა მხარში, არც ერთი  
სალი აზრი და ინიციატივა არ მიახა-  
ვს. სამაგიეროდ, ისინი არ ერთდებიან  
ინტრიგანობას და შანტაჟს. სწორედ  
მათი აგორებულია ის სამარცხვინო  
და სრულიად პროფესიული  
აჯილტაყი, რომელიც ოქტომბრის  
ბოლოს ილიას უნივერსიტეტში ერთი  
სამეცნიერო კონფერენციის დროს  
მხატვარ ლია უკლებას ნახატის  
გამოიყენას მოჰყვა. სამწევაროა,  
რომ ახალგაზრდა ადამიანები ასეთი  
უსუფთაო გზებით ცდილობენ ყუ-  
რადლების მიპყრობას და არ ეთაკი-  
ლებათ ცხოვრების ობსკურანტობით  
დაწყება. თანაც იმ საოცრად ბევრი  
გონებაგახსნილ მათივე თანატოლის  
ფონზე, რომელიც თანაც ლექციის წა-  
საკითხად თუ უბრალოდ სასაკროდ  
მისვლა მიხაროა. მაგრამ მთავარი  
დამასავე ამაში ძალაუფლების ის  
ორგანოებას, რომელიც ახალგა-  
ზრდებს ძალაუფლების იღუზით  
აკლენებენ და რყებიან.

ვახსენეთ სხვა სტუდენტური მოძრა-  
ობები. უმეტესად მათგანმა აფაშირე-  
ბულ მიზნებსა ან ვერ მიაღწია, ან მათმა  
იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა.  
ბევრმა აქტივისტმა თავისი აქტივობა  
საშუალო ან საშუალოზე დაბალი რგო-  
ლის ჩინოვინიკობით დასრულდა და ა.შ.

■ **სტუდენტური მოძრაობები, მათ შორის ისიც, რომელსაც მეც მივეკუთვნებოდი, იმ მიზეზით ვერ აღწევდნენ მიზანს, რომ ისინი ძალიან ბუნდოვანი და ხშირად სრულიად გაუაზრებელი იყო.**  
**ჩვენ გვამოძრავებდა პროტესტი, პროტესტი არსებული მყაყე რეალობის მიმართ. ეს უფრო ინსტინქტური პროტესტი იყო.**  
**რაღაც გვაწუხებდა, რომლისთვისაც სახელი ვერ დაგვერქმია.**

თუ მეტისმეტად წინასწარმეტყველურ პასუხს არ გთხოვთ, თქვენი აზრით, რა პერსპექტივა ელის „აუდიტორია „115-ს“ და მის წევრებს?

სტუდენტური მოძრაობები, მათ შორის ისიც, რომელსაც მეც მივეკუთვნებოდი, იმ მიზეზით ვერ აღწევდნენ მიზანს, რომ ისინი ძალიან ბუნდოვანი და ხშირად სრულიად გაუაზრებელი იყო. ჩვენ გვამოძრავებდა პროტესტი, პროტესტი არსებული მყაყე რეალობის მიმართ. ეს უფრო ინსტინქტური პროტესტი იყო. რაღაც გვაწუხებდა, რომლისთვისაც სახელი ვერ დაგვერქმია. ამისათვის არც ინტელექტი გვერნდა საკმარისი, არც გამოცდილება, არც შორსმჭვრტლობა. გვიხსდავადა ამბობის იდეა, მაგრამ ბოლომდე არ ვიცოდით, რას ვუჯანყდებოდით და რა გვსურდა მის სანაცვლოდ. ამიტომაც ვიქეცით საზარბაზნე ხორცად „მამათა“ თაობის ხელში, რომელმაც ჩვენი თაობის გვამებზე დადგა ძალაუფლების სპექტაკლები. ხელისუფლებაში მოსულმა ჩემთა თაობამ ეს მანკიერება გადაიღო საკუთარი მამებისგან და თამშეც ასე გაგრძელდა. სწორედ ჩემი თაობის შექმნილია „პატრიოტთა ბანაკება“ და თვითმმართველობები, რომელიც ფასადური სიყალბისა და ინდოქტრინაციის პოლიტიკის ნაწილი იყო.

რაც შეეხება „აუდიტორია 115-ს“, ჩემი დაკავირვებით, მთავარი ნიშანი, რაც მათივე წინამორბედი სტუდენტური მოძრაობებისგან განასხვავებთ, არის მენტალური წყვეტა: ისინი

სხვა ენაზე, სხვა თემებზე ლაპარაკობენ, გაცნობიერებული და გააზრებული აქვთ, საითენ მისისწერისა, რას უპრისისპირდებიან და როგორ წარმოუდგენიათ უკეთესი გარემო. მათი ენა არაა უაზრი შორისდებულებით დახუნდული და თავისუფალია იმ ყალბი ფრაზებისა და იდიომებისაგან, რომლებიც ბოლო 28 წელია, უსასრულოდ გაისმის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. მათ ფონზე კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობა ხრნის სუნი, რომლითაც მთელი ქართული საზოგადოება გაუდინოთილი, თავისი ყალბი და თვალთმაქცური ღირებულებებით, მკვდარი სიტყვებითა და არაფრისმთემელი შეძახილებით.

**ნარმოვილებინოთ პერსპექტივა – ამგვარი აქტივობების პოლიტიკურ სიბრტყეში გადატანა, უფრო გამოკვეთოლ პოლიტიკურ სსულად ქცევა, დააზიანებს თუ პირიქით, არგებს ამ მოძრაობებს?**

„აუდიტორია 115-ის“ თაობა საპროტესტო ბრძოლებში, სოლიდარობისა და თანადგომის გრძნობით იზრდება. ესაა პირველი თაობა, რომელსაც სოციალური ცნობიერება და მკეთრად გამოკვეთილი სოციალური აქცენტები აქვს. თითოეული მათგანი ჩამოყალიბებული პიროვნებაა, თავისი მკაფიოდ ინდივიდუალური ნიშნებით. მოუხდავად ამისა, არაჩვეულებრივად ახერხებენ კოლექტურ მუშაობას, ინდივიდუალური და არა ჯოგური ერთსულოვნებით, როდესაც

საქმე პრინციპულ გადაწყვეტილებებს ეხება.

ეს ადამიინები თანაბარი უანგარობით მხარში უდგანან მაღაროელებსა და ქარხნების მუშებს, მომსახურე პერსონალს და სოციალურად დაუცველებს. სოლიდარობა მათ არც წიგნებიდან უსწავლიათ და არც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ტრენინგებიდან, არამედ მათი პირადი გამოცდილებაა. ისინი ბუნებრივად თავისუფლები არიან სექსიზმისა და ჰიმოფობისაგან, რასიზმისა და შეუწყნარებლობის იდეოლოგიებისგან. მათში გასაოცრად მაღალია ეკოლოგიური ცნობიერება, არდანაგვიანება და ბუნებრივი გარემოს დაცვა მათში ინსტინქტის დონეზეა მოცემული. ისინი იბრძებან სამართლიანი და ჯანსაღი სოციალური გარემოსათვის, არაიერარქიული და მრავალხმიანი საზოგადოებისათვის, რომელშიც დემოკრატია უმრავლესობის დიტატურას არ ნიშნავს. ჩემი შთაბეჭდილებით, საქართველოში, ერთსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ, ახალი და ანგარიშგასაწევი, რეალურად მემარცხენე ძალა იძალება.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობა ამჟამად მხოლოდ ფეხს იდგამს, მასში უკვე შესამჩნევია რევოლუციური პოტენციალი, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური და მენტალური თვალსაზრისით. თუ ისინი ამ პოტენციალს გაზრდიან და სწორად გამოიყენებენ, საქართველოში „აუდიტორიის“ რევოლუცია გარდაუვალი იქნება და ეს პირველი რეალური რევოლუციური ცვლილება იქნება საქართველოს უსხლეს ისტორიაში, რომელიც საქართველოს პოსტისაბჭოურობის მოჯადოებული წრიდან გამოიყვანს. ■

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი

# რა სურთ სტუდენტებს

სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მარტში ჩამოყალიბდა. მოძრაობაში გაერთიანებულმა სტუდენტებმა მიზნად სისტემური ცვლილებები დაისახეს.

## სალომე გორგოძე



„აუდიტორია 115-ის“ სამუშაო შეხვედრა თსუ-ში, მარტი 2016 წ.

თსუ-ის პირველი კორპუსის  
115-ე აუდიტორიაში სტუდენტე-  
ბი ნელ-ნელა იკრიბებიან. აუდი-  
ტორია თანდათან იგსება. ზოგი  
სკამზე ზის, ზოგიც – იატაკზე.  
სტუდენტური მოძრაობა „აუდი-  
ტორია 115“ მორიგ სამუშაო შე-  
ხვედრას მართავს. დღევანდე-  
ლი შეხვედრის „მოძრაობის“  
მოძრაობის ერთ-ერთი წევრი

თორნიკე შევარდნაძეა. თორნიკე მაგიდასთან ზის. მის უკან დაფაა. დაფაზე ცარცით წერია „ავტონომია უნივერსიტეტს!“, – ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად სკანდირებდნენ სტუდენტები მარტში გამართული საპროტესტო აქციების დროს. დღევანდელ შესვედრაზე სტუდენტები უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და

რექტორის არჩევის ნებსზე მსჯელობენ. თორნიკე ფურცელზე იმ სტუდენტების გვარებს ინიშნავს, რომლებსაც სიტყვით გამოსვლა და აზრის გამოხატვა სურთ. „რეგლამენტი 2-3 წუთი“, – ეცნება ტრიბუნასთან გამოსულ სტუდენტს. ხანგრძლივი საუბარი და მსჯელობა მათი შეხვედრების-თვის უცხო არ არის.

„აუდიტორია 115“ გადაწყვეტილების მიღებისას პირდაპირი დემოკრატიის პრინციპით ხელმძღვანელობს. „როცა ამ აუდიტორიაში პირველად შემოვედით, ასზე მეტი სტუდენტი ვიყავით, ყველას თავისი აზრი ჰქონდა. გადაწყვეტით, თითო სტუდენტს თითო ხმა ჰქონდა, ვისაც სურვილი ჰქონდა, აზრი გამოითქვა, მიღებული გადაწყვეტილებისთვის კი კენჭი გვეყარა. ამან გაამართლა. მას შემდეგ ყველა საეკითხის გადაწყვეტისას ამ პრინციპით ვხელმძღვანელობთ“, – ამბობს თორნიერ შევარდნაძე.

იგი გადაწყვეტილების მიღების ამ მეთოდს მოძრაობის სუსტ და იმავდროულად ძლიერ მხარედ განიხილავს. მთავარ პრობლემად დროის ფაქტორს ასახელებს. თუმ-

ცა, მისი თქმით, მეორე მხრივ, გადაწყვეტილების მიღების ეს ფორმა სტუდენტებში თანამონანილეობის განცდას ბადებს, თითოეული წევრი თანაბარ პასუხისმგებლობას გრძნობს, რაც ერთმანეთის მიმართ ნდობასა და ურთიერთპატივისცემას განაპირობებს.

სანამ აქ შეკრებილი სტუდენტები თავიანთ თავს „აუდიტორია 115-ს“ წევრებად მოიხსენიებდნენ და უნივერსიტეტის 115-ე აუდიტორიაში სამუშაო შეხვედრებს რეგულარულად გამართავდნენ, იყო 7 მარტის საპროტესტო აქცია.

#### სტუდენტური პროტესტი თსუ-ში

„არა სტუდენტური თვითმმართველობის პრივილეგიებსა!“, – ამ მოთხოვნით, 7 მარტს თსუ-ის პირ-

ველი კორპუსის ეზოში სტუდენტებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

სტუდენტების პროტესტი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისთვის ბაჟურიანში ტრენინგების დასაფინანსებლად უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილმა 24 600 ლარმა გამოიწვია. სტუდენტები მიიჩნევდნენ, რომ უნივერსიტეტის მცირებიულების პირობებში, ტრენინგისთვის გამოყოფილი თანხა არამიზნობრივი იყო. გარდა ამისა, აქციაზე შეკრებილი სტუდენტები უნივერსიტეტის კანცლერის (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის) თანამდებობაზე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენას აპროტესტებდნენ. მიზეზად

## ლაპორატორია 1918

სტუდენტური მოძრაობა „ლაპორატორია 1918“ 2011 წლის აპრილში ჩამოყალიბდა. მოძრაობა უნივერსიტეტიში შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო სტუდენტებს აერთიანებდა, რომლებიც „სისტემური ცვლილებებისთვის“ იძრძნებინ. სოციალ-დემოკრატები, ანარქისტები, ნეომარქესტები, ფემინისტები, – მოძრაობაში სხვადასხვა იდეისა და შეხედულების მქონე სტუდენტები იყვნენ გაერთიანებულები. არ ჰყავდათ ლიდერები, როგორც თავად ამბობდნენ, მოძრაობაში „პორიზონტალური პრინციპი იყო, რაც ჯგუფის ყველა წევრის თანაბარ პასუხისმგებლობას გულისხმობდა“.

მოძრაობის ჩამოყალიბებას თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შექმნილმა დაძაბულმა მდგომარეობამ შეუწყო ხელი. აპრილში სტუდენტური გაერთიანება „თარგმნება-ციაზე“, რომელიც სასწავლო მასალის ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემას შექებოდა, გაერთიანების მხარდაჭმულებასა და თვითმმართველობის წევრებს შორის ფიზიკური დაპირისპირებას მოხდა. რამდენიმე დღეშივე უნივერსიტეტის მეორე კორპუსის წინ სტუდენტებმა ძალადღინის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს.

2012 წლის სექტემბერში ციხის კადრების სკანდალის

დროს, „ლაპორატორია 1918“ სტუდენტური აქციების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაციონური იყო.

„ლაპორატორიის მიზანი სტუდენტებში მასობრივი კონფორმიზმის დაძლევა იყო. ვფიქრობ, ეს მიზანი დღეს მიღწეულია, სულ მცირე, სუნივერსიტეტო დონეზე მაინც. როდესაც ჩვენ ვიწყებდით ბრძოლას, მაშინ სრულად სხვა საზოგადოებრივ განხყობებთან, პოლიტიკურ სისტემასთან, ძალაუფლებრივ ჯგუფებთან გვერდა საქმე, დღეს ვითარება ამ მხრივ ძალიან შეცვლილია. აზრის გამოხატვა და პროტესტი ქვეყანაში დღეს პროგრესის წანილად მიიჩნევა“, – ამბობს „ლაპორატორია 1918-ის“ წევრი ალექსანდრა აროშვილი.

მისი აზრით, მოძრაობის ძლიერი მხარე პრობლემის საფუძვლიანი გააზრება იყო, რაც მოძრაობის წევრებს ეხმარებოდა ისეთი მასშტაბის პრობლემები დაენახათ, როგორებიცაა: სოციალური უთანასწორობა, ნეოლიტ-რალიზმი, პოსტსაბჭოთა კაპიტალიზმი.

ალექსანდრა აროშვილის თქმით, მოქედავად იმისა, რომ ჯგუფი სტრუქტურული პრობლემების გამო დაძალა, მან არაფორმალურად განაგრძო არსებობა, იმ მოძრაობების სახით, რომლებიც „ლაპორატორიის“ შემდეგ ჩამოყალიბდნენ.

კი განმარტავდნენ, რომ გაფრინდაშვილი 2011-2012 წლებში, როცა სტუდენტებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები მოხდა, ადმინისტრაციის თანამშრომელი იყო და თვითმმართველობის სასარგებლოდ მოძალადე სტუდენტებს ხელს აფარებდა. სტუდენტები ეჭვობდნენ, რომ მისი კანცლერად არჩევის შემთხვევაში, თვითმმართველობის პრივილეგია შენარჩუნდებოდა და უნივერსიტეტის თანხის არამიზნობრივი ხარჯვაც გაგრძელდებოდა.

აქციის შემდგომ რექტორსა და აკადემიური საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე სტუდენტების კითხვის პასუხად, იყვნენ თუ არა უნივერსიტეტში სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლები, ე.წ. „ოდევერები“, რექტორმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა დაადასტურა. მომდევნო აქციებზე სტუდენტების მოთხოვნებს, გაფრინდშვილის კანდიდატურის მოხსნისა და თვითმმართველობის რეფორმის საკითხს, ე.წ. „ოდევერების“ შესახებ გამოძიების დაწყების მოთხოვნაც დაემატა.

16 მარტს „აუდიტორია 115-ის“ სტუდენტებმა მანიფესტი გამოაქვეყნეს და სასანავლო პროცესის აღდგენის მიზნით, აუდიტორია დატოვეს, სადაც ექვსი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ. სწორედ ამ მანიფესტით ამცნეს მათ საზოგადოებას, მოძრაობა „აუდიტორია 115-ის“ დაარსების შესახებ, რომელიც, მათი თქმით, განათლების სისტემის რეფორმის ფუნდამენტური ნაწილი უნდა გამხდარიყო.

„ძირული ცვლილებების გატარება შეუძლებელია კლანების მიერ მართულ უნივერსიტეტში. ამიტომ ამ დროისათვის ჩვენი მთავარი, რადიკალური მოთხოვნაა: არა ცალკეული თანამდებობის პირე-

ბის გადაყენება, არამედ მთლიანად აკადემიური საბჭოს დაშლა, მისი სტრუქტურისა და არჩევის წესის რეორგანიზება, როგორც ფუნდამენტური და პროგრესული ცვლილებების უპირველესი წინაპირობა. მოხდეს თვითმმართველობის სასწრაფო რეორგანიზაცია, განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის გზით; საკანონმდებლო ცვლილებები, აკადემიური საბჭოს გარდა, უნდა შეეხოს რექტორისა და სენატის ინსტიტუტებს.

ამასთანავე, ჩვენ ვითხოვთ საგანმანათლებლო სივრცის სრულ გათავისუფლებას ე.წ. „ოდევერებისაგან“, – წერდნენ სტუდენტები მანიფესტში.

29 მარტს სტუდენტური თვითმმართველობის შეიცვალა წევრმა რექტორის გადადგომის მოთხოვნით შემშილობა დაიწყო, მათ მიაჩნდათ, რომ რექტორმა უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს თავი ვერ გაართვა. ამავე დღეს „აუდიტორია 115-ის“ სტუდენტებმა განცხადება გაარცოლეს და უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდის გამოცხადება მოითხოვეს.

მეორე დღეს თსუ-ის აკადემიურმა საბჭომ დააკმაყოფილა თსუ-ის რექტორის, ვლადიმერ პაპავას განცხადება 1 მაისიდან თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. რაც შეეხება აკადემიური საბჭოს უფლებამოსილებას, 1 აპრილს „აუდიტორია 115-ის“ სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საბჭო თანახმაა, უფლებამოსილება 15 მაისს შეუწყდეს. 20 აპრილს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები გაიმართება. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, მას ირჩევს უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი, რომელსაც დო-

ქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აქვს.

„აუდიტორია 115-ის“ სტუდენტები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობების და თვითმმართველობის რეფორმის, აკადემიური საბჭოსა და რექტორის არჩევის წესის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე მუშაობენ.

„აუდიტორია უნივერსიტეტის!“

– ბრძოლა სისტემური  
რეფორმებისთვის

„მოძრაობის ყველა წევრი აცნობიერებს, რომ გარდაქმნებისთვის ბრძოლა ძალიან როგორია. არც პერმანენტული აქციები იყო მარტივი, მაგრამ რეალურად უფრო როტული ეტაპი – რუტინული შრომა ნინ გვაქვს. ჩვენზეა დამოკიდებული, მოლაპარაკებების პროცესში როგორ მტკიცედ დავდგებით ამ იდეების განხორციელების სადარაჯოზე“, – ამბობს მოძრაობის წევრი ოთო კობახიძე.

„აუდიტორია 115-ის“ წევრები ამბობენ, რომ მთავარი მიზანი უნივერსიტეტში სისტემური ცვლილებებია. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება თვითმმართველობის რეფორმის საკითხს გულისხმობს.

„აუდიტორია 115-ის“ სტუდენტების აზრით, თვითმმართველობის არსებული სისტემა სრულიად უნდა გარდაიქმნას, რაც თვითმმართველობის ფუნქციად მხოლოდ წარმომადგენლობით საბჭოებში მუშაობას გულისხმობს. ამასთანავე, თვითმმართველობამ უნდა გააუქმოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და დეპარტამენტები. რაც შეეხება სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებას, უნდა შეიქმნას მათთვის გამოყოფილი დაფინანსების საგრანტო-საკონკურსო კომისია, რათა თანხა გამოიყენონ თავისუ-

ფალმა კლუბებმა, რომლებიც თავად დაგეგმივენ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობას. სტუდენტებმა თავიანთი ხედვა განათლებისა და მეცნიერების მინისტრს უკვე გააცნეს. თავის მხრივ, განათლების სამინისტრო მზადაა, სტუდენტებთან თანამშრომლობით თვითმმართველობის რეფორმის კანონპროექტი შეიმუშაოს და მაისამდე დაამტკიცოს, თვითმმართველობის არჩევნების ახალი რეგულაციით გასამართად.

„აუდიტორია 115-ის“ სტუდენტებს აქციების მიმდინარეობისას სოლიდარობა გამოუცხადეს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესიონელმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მუშებმა. ამგვარ სოლიდარობას მოძრაობის წევრი თოთ კობაზიძე იმით ხსნის, რომ მოძრაობაში შემავალი ჯგუფები წლების გან-

მავლობაში თავად უცხადებდნენ სოლიდარობას „საზოგადოების უფლებააყრილ ნაწილს“, – მუშებს, მაღაროელებს, რკინიგზელებს, მეშახტეებს.

„მათ დაინახეს რომ ეს პროტესტი არის ძალიან გულწრფელი, მიმართულია არა კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ, არა მედ ორიენტირებულია სისტემურ გარდაქმნებზე, რომელმაც უნივერსიტეტში უნდა მოიტანოს მეტი დემოკრატია, აკადემიური თავისუფლება, უნივერსიტეტის ავტონომია. ცხადია, ამით დაინტერესებულია ყველა, ვისაც ქვეყნის განვითარება უნდა“, – ამბობს ოთო კობაზიძე.

მოძრაობის წევრის, ლევან ლორთქიფანიძის განმარტებით, როდესაც სტუდენტები უნივერსიტეტის ავტონომიას მოითხოვენ ამაში ოთხი ძირითადი საკითხი იგულისხ-

მება – აკადემიური თავისუფლება, აკადემიური ხარისხი, ფინანსური დამოუკიდებლობა და მმართველობის დემოკრატიული სისტემა. „ამ ოთხი კომპონენტიდან რომელიმე თუ არ სრულდება, უნივერსიტეტში ავტონომიაზე საუბარი ზედმეტია“, – ამბობს ის.

ლევან ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ სტუდენტური მოძრაობისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ამ ეტაპზე ისაა, რომ მოძრაობის რომანტიზება არ მოხდეს, განვითარებული მოვლენები გადაჭარებით არ შეაფასონ და სტუდენტებს შორის მოტივაცია არ ჩაქრეს.

გამოწვევად მიიჩნევს იმასაც, რომ გარეველი პოლიტიკური ძალები სტუდენტების რომელიმე პოლიტიკურ პარტიაზე მიკუთნებით მათ დისკრედიტაციას ცდილობენ, რადგან მისი თქმით, მსგავსი იარღიყების მიკურებით, გულწრფელ მუხტს,

## ნაინჯისფერი აღები

„თარგმნებს“ მოვლენები იყო დასაწყისი ჩემი თაობის სტუდენტური პროტესტის. ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ 2012 წლის მაისში სტუდენტებმა „ნარინჯისფერი კლუბი“ ჩამოვაყალიბეთ“, – ამბობს ოთო კობაზიძე.

მოძრაობა მაშინ შეიქმნა, როცა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდებოდა. მოძრაობის წევრებმა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეს, რომ „სისტემა მხოლოდ გარედან არ გაეკრიტიკებინათ“ და როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატებმა, ისე მიიღეს მონაწილეობა. მოძრაობის ფერად ნარინჯისფერი აირჩიეს, ამიტომ „ნარინჯისფერი კლუბი“ შეარქვეს.

ოთო კობაზიძე ამბობს, რომ მოძრაობის მთავარი ფასეულობა პლურალიზმი იყო. სტუდენტებს სურდათ, საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, რომ უნივერსიტეტში არსებობდნენ კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტები, რომლებიც ცვლილებებისთვის იძრძლდნენ.

არჩევნებში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერე-

ბათა ფაკულტეტის მეორე კურსზე დამოუკიდებელმა კანდიდატებმა გამარჯვეს, – „მერე შიდა საფაკულტეტო თვითმმართველობის სხდომებზე გვდილობდით პროგრესული მოთხოვნების დაყენებას, გამომდინარე იქიდან, რომ 4 კანდიდატი ვიყავით 16-ის წინააღმდეგ, ეს ძალიან რომელი იყო. ჩვენი მეგობრები, რომლებიც უფრო რადიკალურად იყვნენ განწყობილი სისტემის მიმართ, არჩევნებში მონაწილეობის გამო გვაკრიტიკებდნენ. ჩვენც რადიკალურად ვიყავით განწყობილი და არ მოგვწონდა ეს სისტემა, მაგრამ ბრძოლის მეთოდები განსხვავებული იყო. თუმცა მგონია, რომ ჩვენ შექმნით მაშინ. კრიტიკული განწყობა და სტუდენტური პროტესტი სწორი მიმართულებით წარვართეთ“.

შექმნიდან რაღაც პერიოდის განმავლობაში სტუდენტები აქტივურად მართავდნენ შეხვედრებს, საუბრობდნენ უნივერსიტეტის სისტემაში არსებულ ხარვეზებზე, თუმცა შემდგომ, როგორც ოთო კობაზიძე იხსენდს, „ზოგადად სტუდენტური პროტესტი მინელდა“.

რომელიც სტუდენტებს ამოძრავებს შესაძლოა ჩრდილი მიადგეს.

„აუდიტორია 115-ის“ წევრები საპროტესტო აქციების დროს ხაზგასმით აცხადებდნენ, რომ მათი მოძრაობა აპარტიული იყო და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებდნენ სტუდენტების პროტესტი პირადი ინტერესებისათვის არ გამოეყენებინათ, თუმცა საზოგადოების ნაწილში კითხვას ბადებდნენ მოძრაობის ის წევრები, რომლებიც გარევეულ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდებოდნენ.

ამასთან დაკავშირებით მოძრაობის წევრები ამბობენ, რომ წებისმიერ ინიციატივას მოძრაობაში დეტალური განხილვის, მსჯელობისა და ანალიზის შემდეგ იღებენ. ასე რომ, ფაქტობრივად, მინიმალურია იმის ალბათობა, რომ სტუდენტური პროტესტი რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ სათავისოდ გამოიყენოს.

„ჩვენ არ ვიკადრებთ ადამიანების სეგრეგაციას და სტიგმატიზაციას იმის გამო, რომ ისინი რომელიმე

პარტიის წევრები იყვნენ ან ახლაც არიან. მათ განვიხილავ, როგორც უნივერსიტეტსა და განათლების სისტემაში გარდაქმნისთვის მებრძოლ ადამიანებს. ცხადია, მათ რაღაც ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ სწორედ ამისთვის არსებობს საერთო კრება, რომელიც ძალიან გაფაციცებულია მსგავს საკითხებზე”, – ამბობს ლევან ლორთქიფანიძე.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-ის“ ძლიერი მხარე გულწრფელი სტუდენტები არიან, რომლებიც უნივერსიტეტში რეფორმებს მოითხოვნენ.

სუსტ მხარეებზე საუბრისას კი აღნიშნავს, რომ მოძრაობის კველა წევრს არა აქვს გააზრებული, თუ რა უნდა გააკეთონ სამომავლოდ, – „იოლია დანგრევა, გაცილებით რთულია აშენება, მით უმეტეს, ისეთ რთულ ვითარებაში, როგორიც ახლა თსუ-შია შექმნი-

ლი. ასევე სუსტი მხარეა ის, რომ აუდიტორიაში არიან ადამიანები, რომელთაც ან პოლიტიკური, ან პარტიული დღის წესრიგი აქვთ. მე არც ამაში ვხედავ დიდ პრობლემას, თუმცა, ზოგადად, მოძრაობის რეპუტაციისთვის კარგი არ არის“.

კაპანაძე მიიჩნევს, რომ მოძრაობა პოზიტიურ როლს თამაშობს თსუ-ში მიმდინარე მოვლენებში, სწორედ ამიტომ მან არსებობა უნდა გააგრძელოს და სისტემური რეფორმების მისაღწევად კიდევ უფრო გააქტიურდეს, რადგან „მცირე, კოსმეტიკური ცვლილებები“ უნივერსიტეტში არაფერს შეცვლის.

თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, სალომე დუნდუას თქმით, უნივერსიტეტში დღეს განვითარებული მოვლენები ლოგიკური გაგრძელებაა იმისა, რაც აქამდე ხდებოდა. სტუდენტურმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა ის სისტემური პრობლემები, რომლებიც უნივერ-

## სუსტები ბანათის პოლიტიკის წინამდებარება

2015 წლის 14 სექტემბერს სასწავლო წევლი სტუდენტების პროტესტით დაიწყო. სტუდენტთა ნანილი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ გამართულ ღონისძიებაზე ტრანსპარანტებით მიენდა და განათლების პოლიტიკა გააკრიტიკა.

სტუდენტები უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებს აპროტესტებდნენ. რექტორის, ვლადიმერ პაპავას პასუხისმგებლების საკითხიც დააყენეს და უნივერსიტეტში რეფორმების საჭიროებაზე დაიწყეს საუბარი. მათი თქმით, უნივერსიტეტში შენარჩუნებული იყვნენ ძველი სისტემის წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულს სჩადიოდნენ. აქციაზე სტუდენტებმა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება მოითხოვეს, – „სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით უნი-

ვერსიტეტში იმყოფებოდა განათლების მინისტრი და ეს მოთხოვნა სწორედ მისევნ იყო მიმართული. მისგან ვითხოვდთ პასუხს, თუმცა მან ისე დატოვა უნივერსიტეტი, რომ სტუდენტებს არ შეგვევდია“, – ისენებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ირალი კუპრაძე.

„სტუდენტები განათლების პოლიტიკის წინააღმდეგ“ – მოძრაობის წევრები პერმანენტულად მართავდნენ შეხვედრებს და განათლების ახალ, სასურველ სისტემაზე მსჯელობდნენ. მოძრაობა ღიად აკრიტიკებდა სტუდენტურ თვითმმართველობას, სწორედ მათ გამოითხოვს და მიმდინარე წლის 2 მარტს გაასჯაროვს მონაცემები თვითმმართველობის მიერ ბაკურიანის ტრენინგისთვის გახარჯული თანხის შესახებ, რაც 7 მარტის აქციის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.



ფოტო: ვარისტი არამაძე

სიტყოფში წლების განმავლობაში არსებობდა.


დუნდუას აზრით, დადებითი ფაქტორია ის, რომ „აუდიტორია 115-ში“ გაერთიანებულები არიან აბსოლუტურად განსხვავებული სტუდენტები, სხვადასხვა ღირებულების, პოლიტიკური მრნამსისა თუ ფასეულობების ადამიანები. მისი თქმით, იმ პირობებში, როდესაც მოძრაობას არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი და პასუხისმგებლობას თითოეული წევრი თანაბრად ინანილებს, სტუდენტები თანმიმდევრულად მიჰყვებიან თავიანთ იდეებს.

„ფაქტია, რომ უნივერსიტეტში ვითარება ძალიან დაძაბულია, შეიძლება ითქვას, გაურკვეველი. რექტორი გადადგა, არ გვყავს კანცლერი, ძალიან მელე დაიშლე-

ბა აკადემიური საბჭო, და რა იქნება ამის შემდეგ? ასეთ ვითარებაში, როგორც იტყვიან, „მღვრიე წყალში“ ბევრი შეეცდება, რაღაც სარგებელი ნახოს. დღეს მოძრაობის მთავარი გამოწვევა სწორედ ისაა, რომ არ აკარგონ ის იდეა, რომლისთვისაც იბრძვიან, ამის გარკვეული საფრთხეები შეიძლება არსებობდეს. პრობლემების ერთ ეტაპზე მოგვარება არ ნიშნავს, რომ ბოლომდე ყველაფერი მოგვარდება, მუდმივი მეთვალყურეობა აუცილებელია“, – ამბობს სალომე დუნდუა.

ასანიშნავია, რომ სტუდენტური პროტესტი 7 მარტის აქციით არ დაწყებულა. თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოსთვის სტუდენტური აქციები უცხო არ არის. წლების განმავლობაში თსუ-ში არსებობდნენ

სტუდენტური მოძრაობები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებს აპროტესტებდნენ, მართავდნენ აქციებს, სამუშაო შეხვედრებს. დღეს „აუდიტორია 115-ის“ წევრებს შორის ბევრია ისეთი სტუდენტი, რომელიც წლების განმავლობაში სხვადასხვა სტუდენტურ მოძრაობაში იყო გაერთიანებული. სტუდენტები ამბობენ, რომ ეს მათთვის სისტემასთან ბრძოლის ღირებული გამოცდლება იყო. ეს დაეხმარათ, დღეს კიდევ უფრო მეტი მოტივაციით იბრძოლონ საუნივერსიტეტო სივრცეში სისტემური გარდაქმნისთვის, რაც, თავის მხრივ, უნივერსიტეტს ავტონომიას მოუტანს, ხოლო სტუდენტებს ხარისხიანი განათლების შესაძლებლობას მისცემს. □



აღმოჩენა 115-ის მიერ მცხოვრის, 4 მარტის აქციაზე თბილისკ

## #115მომისამართის გადაწყვეტილება

სოფუ აფცაური



მხოლოდ სტუდენტებს შესძლეთ მაღალ, მანუარებელებსგან განმიღებაში ეს გვეყვა - ინოსტრანის სახელმწიფო უნივერსიტეტის 115-ის დაუცილებების გარიგო მისამართზე, 11 მარტის აუკანუნობრივ 115-ის სტუდენტების თანამდებობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მომავალი. სტუდენტების პროგრამისტი, რომელიც სტუდენტებული თავისმიმართებელობის მიზან თანამდებობის ასამართლომ და ასამართლებელობის განვითარებაზე გაირკვა გაფრინდებულის ნაიდულებას ჟურნალებში, ნეარ-რეალ სისტემურ კულტურულების მითიზრების გადასახარის.

ავტომობილის უწყვეტებელობას, „ავტომობილის თავისებულებას უწინვერტებელია“, - ეს ნაწერი რიტონი და შესაბულებულ სტუდენტები კულტურული, თეატრი, რიტ მათი მისამართი არა კუნიკურტულ პრიზმის წინააღმდეგ მოითხოვდა, არამედ სისტემის ნზრებით.

შეკვეთი იყო აუდიტორიას 115-ის აღმას ავტომობილის კურსერების დროის დაუცილებელი სიმიზნეთა სიმიზნეთა, აუდიტორია, რიზლის დაუცილებელი დაუცილებელი დღე სტუდენტების სახელმწიფო და გადამდინარე მისამართებელის, სტუდენტების, რომელიც აქ დამეტს ათვერცნა და ერთმანეთის მახას უმარტინობრივობის მიზანის აუდიტორიას 115-ის აღმას ავტომობილის აუდიტორიას პარალელურად თავისი უზრუნველყოფის მიზან ირგვალიშვილურ კუნიკურტულ უწინვერტებელის რეკრეაციის, კულტურულ მასალას გადამდინარე მისამართებელის ასწ შემცირებულ რამდენიმე დღე შემნიშვნელ აუდიტორიას წილიშემცირება გარდა, თავისმიმართებელისა და მათ მარადმიშრებებს სტუდენტ და აუკანუნობრივობით.

სტუდენტების მომავალის აუკიბები 16 მარტის ღამეს, მინიჭებული 115-ის სახელმწიფო კოსტიტუციური, თავისი უზრუნველყოფის მიზანის აუდიტორიას სტუდენტების და პროფესიონალ თანამდებობის აუდიტორიას უწინვერტებელის აუდიტორიას 115-

მეტყველებული მათი არ სრულდება, ეს დღეს სტუდენტების მომავალისა და მნიშვნელოვანი კულტურულების დასანიშნობა". სტუდენტების სატერიტო და დაცვულების გამანიშნობა".


სტუდენტების სატერიტო და დაცვულების გამანიშნობას გამარჯობანი ცულისამართის აუდიტორიას 115-ის კი, აღმას, მისამართებელი ცულისამართის სიმიზნეთა გამარჯობა. ■





14 მარტს თსუ-ის ეზოში პოლიციის კორდონი ორ სტუდენტურ ჯგუფს ჰყოლა.  
ერთ მხარეს „აუდიტორია 115“, მეორე მხარეს კი თვითმმართველობის მხარდამჭერები იდგნენ





თბილისის გარემოების მინისტრის მეცნიერებების ინსტიტუტის შენობაში, 14 მარტი











# ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის დარბაზი და ლევილის ბიბლიოთეკის მომავალი

## გიორგი კეკელიძე

ასე ფრთხილი პარიზის აერო-პორტი არ მინახავს. დამფრთხა-ლი არა – ფრთხილი. მსოფლიოს ახალმა და ჯერ ვერმორჩენილმა ჭირმა ადამიანების სახეებს სხვა ჩრდილი მიაწება – გაურკვევლობის, ცოტა უნდობლობის, გაო-ცების ჩრდილი. მოსალოდნელი უბედურებით გაოცების. თითქოს ყველა წამი იმაზე ძვირფასი გა-ხდა, ვიდრე აქამდე იყო. ფრანგებს ისედაც უყვარდათ ეს წამით სარგებლობა, არაერთი გამოთქ-მა გახსოვთ – ანშეოს გათავისე-ბისკენ რომ მოგვიწოდეთ. ანტი-კური ამბებიდან გადმოყოლილი სიცოცხლის სიყვარულია ეს. მნიშვნელოვანი და მოურჩენელი – ადრე თუ გვიან იმ ჭირს რომ მთარჩენს, ღმერთის სახელით წელზე ბომბდალურსმნულქა-მრიანი ხალხი რომ დაატარებს.

ხოლო მე უკვე მესამედ ვარ საფრანგეთში, საკმარისად დავაკვირდი აქაურებს და დავასკვენი, რომ გურული და ფრანგული საერთო ძირიდან მოდის. აი, წარ-მოიდგინეთ დიალოგი:

- კოფე გინდებიენ?
- ტლე ბიენ.


არის კიდევ ერთი გურული გა-დამისამართება ცუდი ამბების. მტერსა და ავს მოუვიდეს ესა და ეს საქმეო. ასე გამოთქმის – მტერსად'ავს. ფრანგულ ნიშანს

მოითხოვს. ერთი ეგ არის, ცოტა უგემურ მსხალს დავარქვით გუ-რულებმა ფრანგულა. მოკლედ, ვხუმრობსავით. მაგრამ საბაბით. მართლა ძალიან ბევრი გურუ-ლია იმ ხალხში, 1921 წელს ბოლ-შევიკურ ცელს რომ გამოქვეცა, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა რომ ერქვა და ევროპამ შეიფარა. დიდწილად საფრანგეთ-

და მეორეც ზეპირ ლეგენდებს ეყრდნობა. ჰაერში დაჭრილ, ათას ენაზე დანაფრენ-ანაფრენ სიტყვებზე დაყრდნობა კი ნა-მეტნავად გვიყვარს და მერე ამ სიყვარულში გაჯიუტება. ეროვ-ნული ბიბლიოთეკის ამჟამინდელი მუმაობა ემიგრაციის შესწავლის მიმართულებით, სწორედ ამ გა-ჯიუტების დაძლევის მცდელობა. ფატებზე, საბუთებზე სწორე-ბა. სანდო ბილიკებით სიარული. რთული საქმეა. ცხადია, უნდა აღვნიშნოთ საქართველოს ემი-გრაციის მუზეუმის (თსუ) ფუნ-დამენტური ღვანლი. ჩვენც, ჩვე-ნი მხრივ, ამ საერთო პროცესის მონაწილეობას ვცდილობთ. უკვე გავხსენით ემიგრაციის დარბაზი – ამერიკიდან სამი უმნიშვნელო-ვანესი არქივი ჩამოვიტანეთ – ზალდასტანიშვილების, დიასამი-ძის, ხვედელიძის. გერმანიიდან – კერესელიძის. დნეპროპეტრო-ვსკიდან სულხან-საბას ძმის შთა-მომავლის, გალინა ბულატიკო-ვა-ორბელიანის, ბაქოდან მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართვე-ლების, სტამბოლიდან ქართველ მუჰაჯირებთან დაკაშირებული მასალები, შატუდან ნანო კვინი-კაძის ფანტასტიკური ფოტოალ-ბომები, ლევილიდან ყველა ის გამოცემა, რომელთა სამი პირი მაინც არსებობდა.

**■ ხოლო მე უკვე მესამედ ვარ საფრანგეთში,**  
**საკმარისად დავაკვირდი აქაურებს და დავასკვენი,**  
**რომ გურული და ფრანგული საერთო ძირიდან მოდის. აი,**  
**წარმოიდგინეთ დიალოგი:**  
**– კოფე გინდებიენ?**  
**– ტლე ბიენ.**

მა. პარიზთან ახლოს, დაბა ლე-ვილის მშვენიერი ეზო და ძალიან საინტერესო რეზიდენცია გახდა მათი სახლი. ამ რთულზე რთული ბიოგრაფიის ხალხის. დღეს ბე-ვრი აძაგებს მათ. არაერთი მძა-გებლებს აძაგებს. ხშირად ერთი



ფოტო: ლევან ხაჩიძე/სამართლებული

ეს ჩამოტანილი. თუმცა საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ხედვა, ამ თვალსაზრისით, ამგვარია: ამ არქივების საქართველოში განთავსება არ არის აუცილებელი და განმსაზღვრელი ამოცანა. შესაძლოა, მათი ასლებიც დაბინავდეს ჩვენთან, ორიგინალებს კი იქვე მივხედოთ. სიმონ ზაზაძესთან, რომელიც სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა უნიკალური არქივის მფლობელია, სწორედ ასე ვმუშაობთ და იმდი მაქვს, მალე შევთანხმდებით. იგივე გზა აღმოჩნდა უკეთესი ლევილის ბიბლიოთეკასა და საარქივო მასალასთან დაკავშირებით. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჯგუფმა, საქართველოს პრეზიდენტის დაფინანსებით, საქართველოს ელჩის საფრანგეთში,

ეკა სირაძის დიდი მეცადინეობით და შატოს მეურვეთა თანადგომით, ლევილს ბიბლიოთეკა მოაწყო. მალე კიდევ უფრო დიდი ამბები იგეგმება – ვცდილობ, დროს არ გაასწროს ჩემმა ენამ.

ის, რომ ბიბლიოთეკა და ექსპონატები, ამ შემთხვევაში, ადგილზე დარჩება, შემაშფოთებელი როდია: არსებობენ ადამიანი-ხიდები, მით უფრო, თუ მათთან კულტურული ურთიერთობებია დაკავშირებული. ამიტომაც, სულ ეჭვის თვალით ვუყურებ იმ მნიშვნელოვანი ქართველების გადმოსვენების საკითხს, რომლებიც სხვაგან მოღვაწეობდნენ და იქაც დატოვეს თავიანთი კვალი. ისინი საქართველოს მარადიული ელჩები არიან, სწორედაც რომ ხიდები, რომელზეც შეგვიძლია ქვეყნებს

შორის ურთიერთობები ავაგოთ და განვავითაროთ.

ხოლო თქვენ, სანამ საფრანგეთში ჩახვალთ, ნუ დააყრდნობთ თქვენს ცოდნას საბჭოთა ნიაღში შექმნილ მითებს. მიღით უნივერსიტეტში, ემიგრაციის მუზეუმში, გვერდით ეროვნულ ბიბლიოთეკაშიც, გაეცანით დეტალებს და თავად დაასკვენით იმ ხალხის რაბის შესახებ, ახლა ლევილის მინაზე რომ განისვენებენ (მალე გვერდის მათი საფლავების ფოტოებია, აღნერილობებით და ა.შ.)

ერთი რამ დაზუსტებით შემიღლია, მათი განათლება იმაზე შორს იყო წასული, ვიდრე ახლა ვხედავთ მათ კოლეგათა დიდი ნანილის შემთხვევისას.

ტლე ბიენ. □

# კედელთან მიყენებული ლიტერატურა

## ლევან ბერძენიშვილი

ცნობილია, რომ გამორჩეულად საშიშ პროფესიებს შორის სახელდება მასწავლებლობა, ასტრონავტობა, ტაქსის მძღოლობა და ა. შ. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ერთ-ერთი ყველაზე საშიში პროფესია სწორედ მწერლობაა – ბოლოს და ბოლოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში იშვიათად შეხვდებით იმდენ თვითმკვლელობას, რამდენსაც მწერლობაში.

მწერლობა სიცოცხლეს გვჩუქნის და ვფიქრობ, ამ სიცოცხლეს სწორედ თავის ავტორს, მწერალს ართმევს.

რთული დამოკიდებულება მწერლობასთან – ეს ის ნიშანია, რაც ყველა ეპოქას აერთიანებს; არაერთხელ გვინახავს, რომ ნაწარმოების, ნააზრევის გამო საზოგადოებას მწერალი არ მოსწონებოდა და განედევნა კიდეც. დევნის ფორმა? რომელიც გენებოთ!

ეს მწერალთა საერთო ხვედრია და გოეთესავით ბეჭნიერი მწერალი იშვიათი გამონაკლისია; ძირითადად, როგორც წესი, მწერლობა განსაკუთრებულ განსაცდელში აღმოჩნდება ხოლმე.

მწერლებმა შეავსეს კაცობრიობის ტანჯული იმ ადამიანების რიცხვი, უზარმაზარი კონტინგენტი, რომლებსაც პატიმრები ჰქვიათ. პატიმარი მწერლების რაოდენობა საკმაოდ დიდია, მათ შორის კი ისეთი დიდი მწერლებიც არიან, როგორიც იყო სერვანტები – ინტენ-

დანტის თანამდებობაზე დანიშნული უპატიოსნესი და ბუნებით უაღრესად არაპრაქტიკული კაცი, რომელმაც ვერ, ან არ დაითვალა, ან მოატყუეს და ციხეში აღმოჩნდა. არადა, მიუხედავად იმისა, რომ „დონ კიხოტის“ ორივე ტომი მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მის სიცოცხლეშივე ითარგმნა, მანც სიღარიბეში ცხოვრობდა; ჰოდა, ამის ფონზე, რა გასაკირია, რომ სამხედრო ნაწილების სურსათის უზრუნველყოფის საქმეს შესჭიდებოდა და დონ კიხოტური ამბავი დამართვოდა!?

ცნობილია, რომ პეტრაშევსკის ჯგუფში მონაწილეობისა და მთავრობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების-თვის თეოდორ დოსტოევსკის სიკვდილი მიესაჯა, სასიკვდილო განაჩენი კი შემდგომში კატორლით შეეცვალა. ამ კაცმა ფაქტობრივად ნაჩუქარი სიცოცხლე იმისთვის გამოიყენა, რომ მსოფლიო ლიტერატურის უზარმაზარი შედევრები შეექმნა; ამ კაცმა, სერვანტებისა არ იყოს, უზარმაზარი გავლენა იქონია არა მხოლოდ მყითხველზე, არამედ სხვა მწერლებზეც და ზოგადად, მწერლობის განვითარებაზე.

ციხეში იჯდა მცირე ფორმის ბრწყინვალე ოსტატი – ო'პენრი. კარგი ადამიანი, რომელიც ბუღალტრულ ამბებში შეცდა, გაფლანგვა დაბრალდა და 3 წელი მოიხადა. ეტყობა, იმდენად არ ჰგავდა ო'პენრი სხვა დამნაშავებს, რომ ციხეში მათთან შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა და სწორედ იქ ჩამოყალიბდა, როგორც მწერალი. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოსთვის ო'პენრის ჩუქება, გარკვეულნილად, ამ სისტემის დამსახურებაა.

მიგელ დე სერვანტესი



ჰომოსექსუალობის გამო ციხეში მოხვდა ოსკარ უაილდი, აბა რა უნდა ვთქვათ?

არ უნდა დაგვავიწყდეს საკონცენტრაციო პანაკები და გულაგი. საკონცენტრაციო პანაკები აღსარეულა რობერ დესნოსი, დიდი ფრანგი პოეტი; ამას დაამატეთ გულაგში ნაჯდომთა მთელი თაობა, რამდენიმე ასეული (ათასეული თუ არა) მნერალი, მათ შორის კი ძალიან დიდები, ნობელის პრემიის ლაურეატები, ალექსანდრე სოლუენიცინი და ოსებ ბროდსკი, ამავე დროს, ვარლამ შალამოვი და სხვა და სხვა.

მნერლებთან ანგარიშსნორების კიდევ ერთი გზა, სამწუხაროდ, დახვრეტა იყო. დახვრეტილთა შორის აღმოჩნდნენ დიდი პოეტი – ისიპ მანდელშტამი და გუმილოვი, მნერალი ისააკ ბაბელი, დიდი ესპანელი პოეტი გარსია ლორკა. ამ უკანასკნელ შემთხვევას რამდენიმე საინტერესო ამბავი უკავშირდება: მოსამართლე, რომელმაც პოეტის ნეშტის ექსპუმაციის ნებართვა გასცა, სამსახურიდან გაათვისუფლეს, თავად ლორკას ნეშტს კი ვერ მიაგნეს. ამის გამო უამრავი მითი შეიქმნა, ერთ-ერთი კი გამორჩეულად პოეტურია. ამ მითის მიხედვით, გარსია ლორკა არ დაუხვრეტიათ. ის გადარჩა, თუმცა ამ შოკისმოგვრელი სიტუაციის გამო, მესიონერება დაკარგა და ასე, მესიონერება-დაკარგული, არგენტინაში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც აღარ ახსოვდა, რომ იდესლაც დიდი პოეტი იყო.

როდესაც საქმე მნერლობას ეხება, ამ ტიპის მითები, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ამბავია.

ასეთი ბედი პქნდა მნერლობას. მნერლებს აპატიმრებდნენ, ხვრებდნენ, ან უბრალოდ კლავდნენ, ისე, როგორც მოკლეს დუელში პუშკინი და ლერმონტოვი; თუმცა, ამას გარდა, თავად მნერლებთან საქმის გარჩევასთან ერთად, მნერლობასთან ბრძოლა მათ შემოქმედებასთან საქმის გარჩევის ისტორიაცაა.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, მნერლობასთან მიმართებაში სერიოზული იდეოლოგიური ინტერესი გამოხატა ფაშისტურმა ხელისუფლებამ – მოენყო შუასაუკუნეობრივი აუტოდაფეები, სა-დაც არაერთი ცნობილი მნერლის წიგნი დაწვეს.

იმ განათლებულ ხალხში, რომელმაც მსოფლიოს მისცა გოეთე და შილერი, იმ ადამიანებში, რომელთაც მსოფლიო კულტურაში ასეთი დიდი წვლილი შეიტანეს, დაიბადა მთელი თაობა არა მარტო გენერალიტეტის, არამედ რიგითი მოქალაქეებისა, რომელთაც წიგნები სახლებიდან გამოიტანეს და დაწვეს.

საინტერესოა, რომ „საკოცონე“ წიგნებს შორის იმ ავტორთა ნანარმოებებიც აღმოჩნდა, რომლებიც, ასე ვთქვათ, სამშობლოშიც არ იყვნენ პოპულარულები – ისააკ ბაბელი სტალინმა დახვრიტა, ფაშისტებმა კი, ყოველი შემთხვევისთვის, მისი წიგნები დაწვეს.

დაწვეს ბერტოლდ ბრეხტის, იაროსლავ პაშეკის, ჯონდოს პასოსის, თეოდორ დრაიზერის, ანა ზეგერსის, რუსი მნერლების: გორკის, ზოშენკოს, ლეინდ ლეონოვის წიგნები; ასევე, არ დაიკინებს ჯეკ ლონდონი.

ამ აუტოდაფეზე გამოტანილი იყო ისეთი წიგნი, როგორიცაა, ერის მარია რემარკის შემოქმედების მწვერვალი, პაციფისტური ლიტერატურის ერთ-ერთი პიონერი – „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“.

არ დაინდეს გერმანული კულტურის ყველაზე დიდი ნამომადგენლებიც კი, როგორებიც იყვნენ პაინრის და თომას მანები. სხვათა შორის, დაიწვა თომას მანის ვაჟის ნანერებიც. დაწვეს არტურ შნიცლერის, შტეფან ცვაიგის, პემინ-გუეს, ეპტონ სინკლერის წიგნები.

უზარმაზარია ფაშისტების მიერ შექმნილი და განადგურებული წიგნების ნუსხა...

საერთოდაც, წიგნების დაწვა ახალი იდეოლოგიის დამკვიდრების ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობაა. ადამიანებს



მიხეილ ლერმონტოვი



ალექსანდრე პუშკინი

გული რომ არ ვატკინოთ, აღარ ვიტყვი, კონკრეტულად ვის და რას ეხებოდა, მაგრამ შემიძლია შეგახსენოთ, რომ სა-ქართველოშიც, ერთ-ერთ იდეოლოგიურ მოსახვევში, ეგზალტირებულმა ქალბა-ტონებმა რამდენიმე წიგნი დაწვეს, მათ შორის, რატომლაც, „ვეფხისტყავასანიც“ აღმოჩნდა, თუმცა, ამ შემთხვევაში, არა შოთა რუსთაველის, არამედ ამ წიგნის გამომცემლის გამო.

ლიტერატურასთან საქმის გარჩევი-  
სას წიგნის დაწვაზე უარესიც შეიძლება  
მოხდეს – წიგნის აკრძალვა, რომელიც  
ყველა ტიპის ლიტერატურას შეიძლება  
შეეხოს. არის ქვეყნები, სადაც აკრძა-  
ლულია ბიბლია, ყურანი. არსებობს  
ქვეყნები, სადაც არ შეიძლება სხვა  
იდეოლოგიის წარმომადგენელთა ნაწე-  
რების გავრცელება. ისეთი შემთხვევე-  
ბიც გვაქვს, როდესაც რაღაც არ არის  
აკრძალული, მაგალითად, ბაჟაიშმი, ან  
იეჰოვას მოწმეები, მაგრამ მათ წინააღ-  
მდეგ ისეთი ტიპის ბრძოლა მიმდინარე-  
ობს, რომ ამას, რა თქმა უნდა, აკრძალ-  
ვა სჯობს.

ნიგნების აკრძალვის ფენომენი ჯერ  
კიდევ ძველ დროში გვხვდება. ვიცით,  
რომ მაგალითად, ქრისტიანობის და-

სანყისში არსებობდა ე.  
ნ. აპოკრიფები, რაც იმას  
ნიშნავს, რომ არსებობს  
კანონიკური და აკრძა-  
ლული ძეგლები - ოთხი  
სახარება, რომელთაც ძა-  
ლიან კარგად ვიცნობთ და  
მათ გარდა კიდევ რამდე-  
ნიმე სახარება, რომელიც  
აპოკრიფულია და, ფაქტო-  
ბრივად, აკრძალულიც.  
საუდის არაბერთში ბიბლია  
დონესაც აკრძალულია.

ამ იდეოლოგიური, თუ  
რელიგიური ნივნების აკრ-  
ძალვა, რა თქმა უნდა,  
გაუგებარი არ არის, თუმ-  
ცა განსაკუთრებულია შე-  
მთხვევები, როდესაც იკრ-

ძალებოდა მხატვრული ლიტერატურის  
ძგლები.

აკრძალულ ნიგნებში აღმოჩნდა „მა-  
დამ ბოვარი“, რომელიც უურნალში  
იძექტდებოდა და ნიგნად გამოცემისას  
ცენზურამ აკრძალა. გაიმართა სასა-  
მართლო პროცესი, რომელიც ფლობე-  
რისა და მისი მკითხველების გასახარად,  
კეთილად დასრულდა. ფრანგულმა სა-  
სამართლომ დაადგინა, რომ ფრანგულ  
სინამდვილეში ასეთი ნიგნი შეიძლება  
არსებობდეს.

არაერთ ქვეყანაში, საკმაოდ მკაცრად იკრძალებოდა „დეკამეტრინი“, მსოფლიო ლიტერატურის ეს შესანიშნავი ნაწარმოები. გასაგებია, რომ ბოკაჩის ამ საკმაოდ გულწრფელ, პოეტურ შედევრს, ნატურალისტური სექსუალური სცენების აღნერის გამზ კრძალავდნენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრ-  
ძალული იყო ჯოფრი ჩოსერის „კენ-  
ტერპერიული მოთხოვნები“, თუმცა ეს  
ფაქტი ამერიკის შეერთებული შტატე-  
ბის ისტორიას ყველაზე უარესად არ  
ახასიათებს: იყო შემთხვევა, როდესაც  
ერთ-ერთმა ამერიკელმა სენატორმა  
„კომუნისტი ავტორის – არისტოფანეს“  
აკრძალვის ბრძანება გასცა.

სექსუალური სცენების გამო, დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო დევიდ ლოურენსის „ლედი ჩატერლეის საყვარეო“.

ისეც მომხდარა, ერთ დიდ მწერალს  
მეორე დიდი მწერლის ნაწარმოებზე  
ეთქვას გენიალურია, მაგრამ ამის და-  
ბეჭდვა არ შეიძლება, ასაკრძალიაო.  
ასეთი იყო დიდი პოეტის, არქიტექტო-  
რის, აკადემიკოსის, პოლ ვალერის აზრი  
უნიკანურის შემოქმედებაზე.

დღიდ ბერძენი მწერლის, ნობელიანზე  
ნიკოს კაზანძაკისის ნანარმოები „ქრის-  
ტეს უკანასკნელი ცდუნება“ კათოლი-  
კურმა ეკლესიამ აკრძალა. ზოგადად,  
კათოლიკური ეკლესის მიერ აკრძა-  
ლული წიგნების სია იმდენად გრძელია,  
რომ მის წაკითხვას აზრი არ აქვს. აქ  
ნახავთ უამრავ აკრძალულ ნანარმოება.



ბს, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის აუცილებელი ნაწილია.

სალმან რუშდის „ეშმაკეული აიები“ არათუ აკრძალულია, არამედ, ამ ნანარმოების გამო, თავად ავტორი სიკვდილისჯილთა რიგებშიც აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურ-მა თეირანმა რამდენჯერმე განაცხადა, რუშდის არაფერს ვერჩითო, მნერალი კვლავ დაცვის ქვეშაა, რადგან, აიათოლა ხომეინის გამოცემული ფეტვა, პრინციპში, გაუქმებული თითქოს არ არის.

ბუნებრივია, ტოტალიტარულ სისტემაში იყრძალებოდა ყველა ის ნანარმოები, რომელიც ამ სისტემას აღწერდა. საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო ორუელის როგორც „1984“, ასევე, განსაკუთრებით, „ცხოველების ფერმა“. ჯორჯ ორუელის ბიოგრაფიაშიც კი არ იყო აღნიშნული, რომ მას ეს ნანარმოებები ჰქონდა დაწერილი.

საბჭოთა შიდა ცენზურა ამოქმედდა ევგენი ზამიატინის მიმართ, როდესაც მისი ნანარმოები „ჩვენ“ აკრძალა, თუმცა, უცნაურად გამოეპარათ ანდრეი ბლატონოვის შემოქმედება, რომელიც არასდროს აუკრძალავთ.

დიდი ხნის განმავლობაში აკრძალული იყო ნობელის პრემიის ლაურეატის ბრნიცნებალე რომანი, რომელსაც კაცმა არ იცის, რა ჰქონდა ასაკრძალი. დღეს ვერავინ გაიგებს, რას ერჩიოდნენ „ექიმ შივაგოს“ და რატომ უნდა მიეყვანათ სიკვდილამდე ბორის პასტერნაკი ეგზალტირებულ სტუდენტებს. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ საბჭოთა კავშირმა ამ დიდ მნერალს ნობელის პრემიაზე უარი ათქმევინა.


არსებობდა ნანარმოები, რომელიც მხოლოდ იმიტომ არ იყრძალებოდა, რომ ავტორმა იცოდა, რასაც წერდა და მის გამოქვეყნებაზე არც უფიქრია. მიხეილ ბულგაკოვმა იცოდა, რომ „ოსტატი და მარგარიტას“ გამოქვეყნება მის სიცოცხლეში შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო როდესაც უშიშროების სამსახუ-

რი მის სახლს ჩხრეკდა, მწერლის მეუღლემ ფურცლები სხეულზე შემოიკრა და ნანარმოები ამით გადაარჩინა. ბულგაკოვი 1940 წელს გარდაიცვალა, მისმა ქვრივმა კი იმდენი მოახერხა, რომ „ოსტატი და მარგარიტა“ 60-იან წლებში დაიბეჭდა.


ყველა ეპოქას თავისებური აკრძალვები ახასიათებს და დარწმუნებული ვარ, რომ დღეს არაერთი მნერალი წერს ისეთ ნანარმოებს, რომლის გამოქვეყნებაც მომავალში იქნება შესაძლებელი. ასე მოხდა კაფეას შემთხვევაში, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ დადგებოდა დრო, როდესაც მისი შემოქმედებით დაინტერესდებოდნენ, თუმცა თავად დაიბარა ანდერძად – გაენადგურებინათ მთელი მისი შემოქმედება. რომ არა მნერლის მეგობარი, რომელმაც მისი ეს სურვილი არ შეასრულა, დღეს კაფეას არც ერთი ნანარმოები არ გვექნებოდა.

განადგურებას გადაარჩენილ ლიტერატურაში შეგვიძლია დავასახელოთ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი შედევრი, ვერგილიუსის „ენიდა“. ავტორმა მიიჩნია, რომ ნანარმოები არ იყო დასრულებული, შესაბამისად, არ უნდა გამოქვეყნებულყო და სიკვდილის შემდეგ ნანარმოების განადგურება მოითხოვა. კიდევ კარგი ამ საქმეში იმპერატორი ავგუსტუსი ჩაერია და მსოფლიოს ეს შესანიშნავი ძეგლი გადაურჩინა.

დევნილი მნერლები, დახვრეტილი ავტორები, აკრძალული ნიგნები, ასეთი ამბები ლიტერატურაში ჩვეულებრივი რამა და იშვიათია მნერალი, რომელსაც ისეთი ბედი ჰქონდა, როგორიც ერთ-ერთ ქართველ პოეტს – დაბადები-დან-სიკვდილამდე ხელისგულზე რომ ატარებდნენ. ასეთი ფაქტები იშვიათია. მნერლობისთვის გაცილებით უფრო დამახასიათებელი ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, თუნდაც გალაკტიონისა და, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ქართველის, უდიდესი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის ბედია. ■



ედგარ ალან პო



სალმან რუშდი

„რეუისორის ყველა გზა  
მაინც გადასაღები მოედნისკენ მიდის“

## ინტერვიუ კინორეჟისორ ნანა ჯანელიძესთან

## დავით ბუხრიკიძე

კინორეჟისორ ნანა ჯანელიძეს მას  
შემდეგ შევცდით, რაც მან სამწლა-  
ნი მუშაობის, ანუ ოფიციალურად ვა-  
დის ამონურვის შემდეგ, ეროვნული  
კინოცენტრის ხელმძღვანელის თა-  
ნამდებობა დატოვა. რეჟისორის ამ  
ნაბიჯს წინ უძლოდა 125 ქართველი  
კინოხელოვანის წერილი, რომელშიც  
ერთ-ერთ პუნქტად ისინი დირექტორის  
თანამდებობაზე არჩევნების გამართვას  
მოითხოვდნენ. თუმცა არსებობს მოსა-  
ზრება, რომ ამ ხელმონერების მიღმა  
გარკვეული ჯაუფის ფონასური ინტე-  
რესი იგულისხმება და რომ ეს ნაბიჯი  
რეჟისორის წინააღმდეგ გადადგმული  
გააზრიოს ნაბიჯი იყო.

Այսա տոյ ուզ, նանա ջանշուկը տան-  
մեծեղոնքա դադրոցա და უզբե ածալո նշեსն  
միեցագոտ გամարտուლ კոնյուրնში մო-  
նանուղոնքա արար առնորքներ. კიնուցե-  
ցրու ածալո დიրքეցիոնրու ասարհուցաდ  
յասելոցք დღეցքში სპեცալիստրմ კո-  
միսան սամո յանձնութիւ պահա ճարագ-  
ցինոնք, ուսմբա մատո զոնանքա, ջայրչու-  
րոնքու, ուշնոնքա. սեզատա შորու, մատ  
զբար კինուցեցրու սպազ պողուղու-  
ելումժանշու ասաելուքներ.

ნანა ჯანელიძემ დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეკისორო ფაკულტეტი (თეგნიზ აბულაძის სახელობისნო). 1981 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“. გადაღებული აქვს მხატვრული („ოჯხხები“, „იავნანა“, „მშრალი ხიდის სიზმრები და „საშობაო საჩუქარი“) და დოკუმენტური („ქართული მეცნიერებები და კულტურის ისტორია“).



ტური („თენგიზ აბულაძე“, „გალობის რაინდები“, „ნეტავ იქ, თეატრი არის?“) ფილმები. არის სახელმწიფო და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი; რუსეთის კინოკადემიის (პრემია „ნიკე“), პეზაროს, მონცვლიერს, ვისაბადენის, ლაგოვოს, იალტის საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზების მფლობელი.

ქალბატონო ნანა, როგორც ამბობენ, თქვენ კინოცენტრის ბოლო დირექტორი ხართ, როგორც კულტურის მინისტრმა დანიშნა, დაახლოებით ერთ თვეში ხელმძღვანელის თანამდებობა უკვე არჩევოთ გახდება...

დღის, კარგად მესმის ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ის მიზეზებიც, თუ რატომ შეიძლება იყოს დირექტორის თანამდებობა არჩევითი.

### მაინც რატომ?

ჯერ ერთი, იმიტომ რომ, გამოირიცხოს ყოველგვარი შემთხვევითობა და მეორეც, აღარ იყოს გაუთავებელი სპეციალური თემაზე – ვის სჭირდება და ვის არა კინოცენტრის დირექტორის თანამდებობა...

თუმცა კინოცენტრის დირექტორობა გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ გავლენასაც გულისხმობს. მით უმეტეს, ახლა საარჩევო ნელია.

არასოდეს ვყოფილვარ არც ერთი პარტიის, ან გაერთიანების მხარდამჭერი; არც ვინმეს პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი. მთელი ცხოვრების განმავლობაში დამოუკიდებლად ვცდილობ, მიერიღო გადაწყვეტილება და არა რაიმე კინოცენტრის ზეგავლენით. ახლაც ასეა...უბრალოდ, თანამდებობა ვადის ამონურებისთანავე დავტოვე.

**ანუ, აღარ აპირებთ ახალ კონკურსში მონაწილეობას?**

ნამდვილად არ ვაპირებ. საორგანიზაციონ და საკმაოდ დამქანცველი ჩინო-

ვნიკური სამუშაოს შემდეგ მომენატრა თავად კინოხელოვნება, სცენარზე მუშაობა, ფუსტუსი გადასაღებ მოედანზე, ჯადოსნური შეძახილი – „მატორ!“. კინო ეს არის ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი, რასაც რეჟისორი, მხოლოდ გადაღებისას შეიგრძნობს... ალბათ, იმიტომ, რომ კინორეჟისორის ყველა გზა მაინც გადასაღები მოედნისკენ მიდის.

**შეგიძლიათ, თქვენი შემცვლელის სავარაუდო კანდიდატები დასახელოთ?**

ვერ დაგისახელებთ; მართლა არ ვიცი მათი ვინაობა; თუმცა მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იქნება. იმდენად, რომ საკონსულტაციო საბჭოს წევრებს სამი კანდიდატის დასახელება გაუტირდებათ.

**ვინ შეაფასებს მომავალ კანდიდატებს?**

შეაფასებს უიური, რომლის შემადგენლობაში არიან საკონსულტაციო საბჭოს წევრები: კინორეჟისორები – ლანა ლოლობერძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ნანა ჯორჯაძე, ლევან კოლუაშვილი, ზურაბ ინაშვილი; მსახიობები – ბაალურ წულაძე და ნატო მურვანიძე; ოპერატორი – მინდია ესაძე; პროდიუსერი და კინორეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი; კინომცოდნები – პაატა იაკაშვილი და ნანა დოლიძე.

**როგორ შეაფასებდით თქვენს სამლინა მუშაობას კინოცენტრში; რა იყო მინშევლოვანი, საინტერესო და რა ვერ განახორციელეთ?**

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ პირველი თევების განმავლობაში გამიქტოდა, რადგან ჩემთვის ყველაფერი ახალი და უწივეული იყო. მოუხედავად იმისა, რომ რეჟისორის პროფესია თავისთვავად ორგანიზაციის უნარს მოითხოვს, მსგავსი დაწესებულების ხელმძღვანელობა მაინც სხვა შინაგან თვისებებსა და გამოცდილებას საჭიროებს, რაც მანამდე

არ მქონია. საერთოდ, ამ თანამდებობაზე მომზადევე ადამიანს აუცილებლად სჭირდება მენეჯერის თვისებები, გამოცდილება და ცოდნა. ამის გარეშე ძნელი იქნება მუშაობა. სამწუხაროდ, ვერ მოვასწარით დაფინანსების შესახებ კანონის ბოლომდე დამუშავება და მიღება, თუმცა ახალ დირექტორს ცოტა რამ დარჩება ამ კანონის მისაღებად; ბევრი ახალი პროექტი წამოვიწყეთ; განვლილ სამ წელინაში ათობით ფილმი ჩაუყევით წარმოებაში, ახალბედა, ნიჭიერ რეჟისორებს გადაღების საშუალება მიეცათ; პრესტიულ საერთაშორისო კინოფესტივალებზე უამრავი ახალი ქართული ფილმი მონაწილეობდა. თუნდაც გასულ წელს „საოსკარი“ ვნებები გავიხსენოთ, როცა ორი ქართული ფილმი – ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“, ლირსეულ კონკურსში უწევდა სხვადასხვა ქვეყნის კინოპროდუქციას უცხოენოვანი ფილმების ნომინაციაში.

**რამდენადაც ვიცი, ეროვნული კინოცენტრის პროექტი – „კინო სკოლაში“ მოსწავლეებს შორის პოპულარობით სარგებლობს.**

კინოცენტრმა, მართლაც, გაბედული ნაბიჯები გადადგა სკოლებში კინოხელოვნების შესატანად. სამწუხაროდ, დღეს ისეთი ტენდენციაა, რომ კინო ახალგაზრდებისათვის მხოლოდ გასართობი ინდუსტრიის ნაწილად აღიქმება. ამიტომ ძალიან მიშვნელოვანია პროექტი „კინო სკოლაში“. ჩვენი ქვეყნის რეგიონის მოსწავლეებს ადგილზე ვაჩვენეთ მართლაც დიადი ფილმები – ჩაპლინით, ფელინით და ტრიუფოთი დაწყებული, აბულაძით და ოზელინით დამთავრებული. ამისათვის სპეციალურად შევარჩიეთ კინოსპეციალისტები, ე.ნ. კინომისიონერები, რომლებიც უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის კინოჩვენებებსა და დისკუსიებს მარ-

თავდნენ. სხვადასხვა სპეციალისტის (ფსიქოლოგი, განათლების ექსპერტი თუ კინომცოდნე) მონაწილეობით შევარჩიეთ მსოფლიო კინოკლასიკის ის ნიმუშები, რომელიც ქართულადაა ადაპტირებული და 15-17 წლის ასაკის მოზარდებისთვის საინტერესო.

#### როგორი იყო მოსწავლეების რეაქცია?

ფილმის შემდეგ იმართებოდა საინტერესო, ცოცხალი, ემოციური დისკუსიები... შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა „კინო სკოლაში“ გაამართლა. ძალიან ემოციური და გულისამაჩუქურებელია, რომ ზოგიერთმა მოზარდმა ფილმი ეკრანზე პირველად ნახა! ახლა ვმუშაობთ, რომ მომავალში სკოლების რაოდენობა 200-მდე გაიზარდოს. ასევე გვინდა, პროექტში საქართველოს მაღალმთანი რაიონებიც ჩაერთოთ. სულ 2014 წელს საქართველოს 5 რეგიონის (ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და აჭარის) დაახლოებით 40 სკოლაში საპილოოტე ვერსია განხორციელდა. 6 თვეს განმავლობაში 960 კინოჩვენება გაიმართა, რომელსაც 12 ათასამდე მოსწავლე დაესწრო. ნაჩვენები იყო ქართული და უცხოური კინოკლასიკის ნიმუშები. მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები.

აუცილებლად უნდა აღნიშნო კიდევ ერთი მინიჭებულოვანი ფაქტი: გასულ წელს იტალიის ქალაქ ჯიფონიში უკვე 45-ედ გაიმართა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბავშვო კინოფესტივალი, რომელზეც მოვახერხეთ ქართველი ბავშვების გამგზავრება. ქართველი მონაწილეები, ისევე როგორც დანარჩენი 50 ქვეყნის წარმომადგენლები, ფესტივალზე უიურის წევრების რანგში იმყოფებოდნენ და თავად აფასებდნენ ფილმებს. ჯიფონიში ქართული დელეგაციის პატივისაცემად ასევე მოეწყო სალამ, რომელზეც ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები უჩვენეს.

რას იტყოდით მუნიციპალური კინოთვატრების პრობლემაზე. ფაქტობრივად, ჩვენ ალარ გვაქვს კინოთვატრები, სადაც მაყურებელს მაღალმხატვრული ფილმების ნახვა შეეძლება.

კულტურის სამინისტროსთან ერთად ვცდილობდით და ვცდილობთ, გავაცოცხლოთ დედაქალაქისა და რეგიონის კინოთვატრები. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, კინოთვატრები თითქმის ყველა რაიონში გაუქმდა. დარბაზები კომერციულ ფართებად გადაკეთდა, ან საერთოდ დაიკეტა. რაც შექება თბილის, ვეგმავთ, დაახლოებით 10-12 ახალი კინოთვატრი ან პატარა და კომფორტული კინოდარბაზი გავხსნათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბილეთის ფასი მაყურებლისთვის ხელმისაწვდომ გახდეს. ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი, სიცირის გამო, ვერ ახერხებს ბილეთების შეძნას. მუნიციპალური კინოთვატრების არსებობის შემთხვევაში კი ბილეთების ფასი მნიშვნელოვნად შემცირდება.

მნიშვნელოვანია ფილმსაცავის შექმნაც, რომელიც ტექნიკურადაც აღიქმურება და თანამედროვე მოთხოვნებს დაკმაყოფილებს.

ფილმსაცავის აშენება რთული და კომპლექსური პროექტია, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი მაყურებლის კინოდარბაზში დაბრუნება იქნება. არავითარი აზრი არა აქვს თაროზე შემოღებულ, ან ფაილებში ჩაფიქრებულ ფილმებს, თუ მას მაყურებელი არ ნახავს. ფილმსაცავის პარალელურად შეიქმნება ვებგვერდი, სადაც ფილმების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსდება. მაგალითად, სტუდია „მემატიანეში“ დღეს დაახლოებით 1200 ფილმია დაცული, რომელთა დოფი ნაწლო იდენტიფიცირებას და გამოკვლევას საჭიროებს. ეს არის უმდიდრესი მასალა – გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული, 80-იანი წლებით, ანუ საბჭოთა იმპერიის აღსას-

რულით დამთავრებული. მათ შორის არის საბჭოთა პროპაგანდისტული ფილმებიც, რომლებიც უკვე დიდი ხანია რარიტეტად იქცა. მათ აქვთ დიდი როგორც მხატვრული, ასევე ისტორიული ლირებულება. რაც მთავარია, ეს მასალა მთელი მსოფლიოსთვის არის საინტერესო, ჩვენ კი ვმაღლავთ სარდაფებში. ასევე აუცილებელია რესეტთან, კერძოდ, „გოსფილმოფნიდთან“ მოლაპარაკების დასრულება, რადგან მოსკოვის მახლობლად მდებარე კინოარქეში უამრავი ქართული ფილმის ფირი ინახება. საჭიროა მათი შესყიდვა, რესტავრირება, გაციფრულება, სპეციალურ პირობებში, ფირსაცავში შენახვა. ეს საკმაოდ ძირი ჯდება. იმედია, ეს პროცესი დასრულდება და ბოლოს და ბოლოს, უმაღლესი ხარისხის ფირსაცავი გვიღისას.

**უნდა გვითხოთ ქართველი ქალი რეჟისორების ფესტივალი და მინიჭებული დაიწერა უცხოური შესახებ ბევრი დაიწერა უცხოური შესახებ.**

დიახ ეს მართლა მოვლენაა, ფენომენია, თუმცა ქართველი ქალი რეჟისორების ფილმებს ვერ განვიხილავდი მხოლოდ გენდერულ ჭრილში. ოქტომბერში სამხრეთ კორეის ქალაქ ბუსანის ცნობილ საერთაშორისო კინოფესტივალზე პროგრამა „ფოკუსში“ წარდგენილი იყო ქართველი ქალი რეჟისორების 12 ფილმი. სპეციალური პროგრამა სახელწოდებით, „ქართველი ქალი – კინორეჟისორების სიძლიერე“ არა მარტო ფილმების წარდგენას გულისხმობდა, არამედ მაყურებლთან რეჟისორების დიალოგსაც. ამ პროგრამაში მონაწილეობდნენ რეჟისორები: ლანა ლოლაბერიძე, ნუცა ალექსი-მესხიშვილი, თინათონ გურჩიანი, ნანა ექვთიმიშვილი...

ძალიან ამაღლევებელი იყო ამ რეტროსპექტივული წარმოდგენილი პირველი ქართველი ქალი რეჟისორის, ნუცა ლოლაბერიძის 1930 წელს გადაღებული „მაღალმთანი რაჭის ისტორიის“ ჩვენება. ნუცა ლოლაბერიძე

რეჟისორთა სამი თაობის წარმომადგენელია, რომლის ტრადიციას აგრძელებს მისი შეიძლი ღანა ღოღობერიძე (ფილმი „დღეს დამე უთენებია“ ასევე უჩვენეს კინოფესტივალზე) და შვილიშვილი სალომე ალექსი-მესხიშვილი. როგორც ბუსანის ფესტივალზე აღნიშნეს, „ეს არის შესაძლებლობა ქალი რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებში დავინახოთ საქართველოს სოციალური პრობლემები, წინააღმდეგობა, დისკრიმინაცია და კონფლიქტი. მაყურებლის წინაშე წარმოდგენილი იქნება საქართველოს ახალი კინემატოგრაფიული ესთეტიკა, გენდერის მიუხედავად“.

უმნიშვნელოვანესი იყო ასევე ნიუ-იორკის MOMA-ში 50 ქართული ფილმის ჩერება, რომლის ფირები ამერიკის კინოარქივებში მოიძიეს. ეს ჩერება შემდეგ გაგრძელდა ბერკლიში, ვაშინგტონშა და ტორონტოში.

**თქვენ აღნიშეთ, რომ რეჟისორისთვის მთავარი მაინც გადასალები მოედანია...**

სხვათა შორის, ბავშვობაში არ ვფიქრობდი რეჟისორობაზე. უფრო ლიტერატურა და კლასიკური მუსიკა მიყვარდა. სამუსაკო სასწავლებელი დავამთავრე და მეგონა, მუსიკის შესავლას გავაგრძელებდი, მაგრამ 70-იან წლებში რეზო ჩეხინის ინიციატივით, თეატრალურ ინსტიტუტში კინოფაულტეტი დაარსდა და პირველი ჯუფი თენგიზ აბულაძემ აიყვანა. ბატონ თენგიზთან შეხვედრამ საერთოდ შეცვალა ჩემი გეგმები, შეხედულებები და ზოგადად ხელოვნებისადმი დამოკიდებულება.

„ნატერის ხის“ გადაღების დღეები ჩემთვის დაუვინყარია, რადგან უშუალო შეხება მქონდა დიდ ხელოვანებთან, დიდ მსახიობებთან – სესილია თაყაიშვილთან, რამაზ ჩხითავაძესთან, ეროსი მანჯგალაძესთან, გოგო გეგეჭკორთან. შემდეგ, როცა რეჟისორი გავხდი, ვერიკო ანჯაფარიძესთან მომინია მუშაობა ფილმში



„ნატერის ხის“ გადაღებები, თენგიზ აბულაძე, ლომერ ახვლედიანი და ნანა ჯანელიძე. 1976 წ.

„ოჯახი“ ეს მისი ბოლო კინოროლი იყო. ცალკე საუბრის თემაა ფილმი „მონანიება“ და დრო, როცა ის იქმნებოდა; ასევე ქვეყანა, რომელიც ამ ფილმში შეცვალა... ბატონ ავთო მახარაძის შესანიშნავი, მასშტაბური ნამუშევარი. ბოლო პერიოდში ასევე მომინია კახი კავსაძესთან მუშაობა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმზე „ნეტავ იქ თეატრი არის...“ საერთოდ, რაც დრო გადის, მით უფრო ხედები დიდი რეჟისორებისა და მსახიობების ნამუშევრების მნიშვნელობას, აზროვნებას, მათ გავლენას ჩვენს დროზე.

**ახლა რაზე მუშაობთ, რისი გადაღება გსურთ?**

მსურს გადავილო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმების ციკლი XIX საუკუნის ცნობილ ქართველ პოეტებზე, მნერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე: ალექსანდრე ჭავჭავაძეზე, გრიგოლ ორბელიანზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, აკაკი ნერეთელზე, ნიკო ნიკოლაძეზე, დავით სარაჯიშვილზე, დიმიტრი ყიფიანზე... ძალიან

მინდა მიუზიკლის გადაღებაც, თუმცა ეს უფრო ექსპერიმენტული ფორმით წარმომადგენია. ასევე დოკუმენტურ პროზაზე დაყრდნობით ფილმი აფხაზეთის თემაზე, რომლის სცენარსაც შესანიშნავი უურნალისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი და სამოქალაქო აქტივისტი, ლია ტოკლიკვილი წერს. ეს ძალიან მნიშვნელოვან პროექტად მიმართია. მაქვს ასევე ფილმის იდეა რადიონამყანზე, რომელიც საომარ ვითარებაში, მთელი ღამე მუშაობს, რომ ჩაბნელებულ ქალაქში მოსახლეობას ახალი ამბები მიაწოდოს... რაც თავისუფალი ვარ, უფრო მეტი დრო მრჩება კონკრეტული იდეების, პროექტების განსახორციელებლად.

**რა სურვილებსა თუ გზავნილებს დაუტოვებდით თქვენს შემცვლელს, კინოცენტრის ახალ ხელმძღვანელს?**

პირველ რიგში, იყოს კარგი მენეჯერი, უყვარდეს ადამიანები, კარგად ეს-მოდეს კინოხელოვნება, სასურველია ჰქონდეს კარგი იუმორი და უფრო მეტი გამძლეობა. ■

# კაცი ხვალიძან

## გიო ახვლედიანი

იოპან კრუიფის გარდაცვალება დიდად სამწევარო და სევდის მომგვრელი ამბავი ვის ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის.


ის ერთ-ერთი იმ კაცთაგანი იყო, ვისი ყოფნაც ამ თამაშში გამუდმებით იგრძნობოდა. კრუიფი ფეხბურთელობას თოხმოციანი წლების შუახანებში გამოეთხოვა, მწვრთნელობას კი ბარე ოცი წლის წინათ. თანამდებობა, რომელიც ამის შემდეგ რამდენიმე წელიწადს ეჭირა, კატალონიის ნაკრების მწვრთნელობა იყო, რაც სიმართლე ითქვას, დიდ დატვირთვას სულაც არ ნიშნავდა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, კრუიფი პენსიონერი იყო, მაგრამ ასეთი არაპენსიონერი პენსიონერი ალბათ ფეხბურთში არ მოიძებნებოდა. ის იმ იშვიათ საფეხბურთო მოღვაწეთაგან იყო, რომლის საქმეც ცოცხლობდა, პენსიონერობის, თუ სხვა ათასი რამის მიუხედავად და ცოცხლობს ახლაც, მას შემდეგ, რაც დიდი ჰოლანდიელი, მფრინავი პოლანდიელი, როგორც მას იოლად შეარქვეს იმ აჩრდილი გემის მიხედვით, გარდაცვალა.

ოდესლაც ის გვარიანი მწეველი იყო, იმ დროში, როცა ის თამაშობდა და მერეც ერთხანს ეს სრულიად მიღებული ამბავი იყო ფეხბურთელებს შორის. თამბაქოს მხოლოდ გულის პირველი დიდი შეტევისას გამოეთხოვა, უკვე მწვრთნელობის დროს.

იმ დროიდან ის ჩვენს მაყურებელსაც კარგად ახსოვდა, რახან საბჭოთა კავშირი იშლებოდა და დაიშალა კიდეც და საერთაშორისო ფეხბურთის ყურება შეუძლებელი სულაც აღარ იყო, თუ, რა თქმაუნდა, თბილისა და მის შემოგარენში შექმი ჩამოივლიდა, ან, თუ სადმე, მშინ განთქმული „დვიუოუ“ აგუაზნდებოდა.

იმ დროის კრუიფი ყველას ახსოვს: კრემისფერ ლაბადაში და პირიდან გამოჩრილი ჩუპა ჩუპსის ჯოხით, რომელიც, ალბათ, სიგარეტს ავიწყებდა თამაშების დროს. მღელვარე და დაქანცული კაცის იერი ჰქონდა ხოლმე. ალბათ, ახსოვთ კრუიფის ბარსელონას ყველაზე დიდი დამარცხებაც, ჩემპიონთა თასის ფინალში, მილანის წინააღმდეგ და სამწვრთნელო



სკამზე მდუმარედ მჯდომი კატალონიელთა მწვრთნელი.

მაშინ, ალბათ, არავინ ფიქრობდა, რომ მოიგებდა, თუ წააგებდა კრუიფი-მწვრთნელი, ისტორიისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასევე, ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ კრუიფი ახალ კულტურას ქმნიდა ერთ კონკრეტულ, მისთვის უსაყვარლეს, მეორე სამშობლოდ ქცეულ ქალაქში.

ადრე სულ ამბობდნენ, დიდი ფეხბურთელები დიდი მწვრთნელები ვერ გამოდიანო. რაღაც მაგალითები მოჰყავდათ. ახლაც შეიძლება თქვან, აგე, მარადონას მწვრთნელობა თვალწინ გვაქვსო. თუმცა ადრე, როცა ამას ამბობდნენ, საპირისპირო მაგალითებიც არსებობდა, მაგრამ ყველაზე დიდი მაგალითი ნამდვილად კრუიფი იყო.

ალბათ, უდიდესი მაგალითი. თორემ ფრანც ბეკენბაუერი საბოლოოდ კი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი თავის განვრთნილ გერმანიის ნაკრებთან ერთად. ეგ გასაგებია. ზაგალო რა აღარ გახდა? ოცდაცხრა-ჯერ ვარ მსოფლიო ჩემპიონიო, იძახდა, და დაახლოებით, იყო.

უბრალოდ, კრუიფის მწვრთნელობა, სულ სხვა რამ გამოდგა. როგორც გაირკვა, იქ ტიტულზე არ იყო, თუმცა ტიტულებიც, მათ შორის ბარსელონასთვის მანამდე საოცნებო, მის ხელში მოიგეს კატალონიელებმა. აქ საქმე იმაზე იყო, რომ კრუიფის მწვრთნელობამ ერთხელ და სამუდამოდ შეცვალა ამ კლუბის სათამაშო სტილი, სრულად ძირფესვანად და როგორც გაირკვა, საბოლოოდ და სამუდამოდ. ისე, რომ, როცა ის წავიდა, სტილი დარჩა. კლუბმა და ქალაქმა დაიტოვა და გააგრძელა. სხვანაირად წარმოუდგენელი იყო. ამ სტილმა უზომო სამსახური გაუწია მსოფლიო ფეხბურთს, მილიონობით გულშემატკიცარს და მათ იმ ფეხბურთის საბოლოო გამარჯვება დაანახა, რომელიც ასე უყვარდა თავად იოჰან კრუიფს.

პრინციპში, ეს იყო ერთადერთი ფეხბურთი, რომლისაც კრუიფს სწამდა და მან გააკეთა. ეს ფეხბურთი. განახორციე-

ლა, ის რისიც სწამდა და მისგან ჩაყრილი საფუძველი ისეთი გამოდგა, რომ ველარავი შეარყია. ივარგებდა, თუ არ ივარგებდა ბარსელონა, ეს ფეხბურთი არსებობდა.

ასეთი იყო კრუიფი-მწვრთნელი, კრუიფი-ფეხბურთელი კი ისეთი იყო, როგორიც, ალბათ, კრუიფ-მწვრთნელს უკიდურესად სჭირდებოდა, მაგრამ არ ჰყავდა. შეუძლებელი იყო, რომ ჰყოლოდა. კრუიფი-ფეხბურთელი ერთხელ დაიბადა.

ის იყო მამით ობოლი გამხდარი ბიჭი, რომლის დედაც აიაქსის საკლუბო დამლაგებელი იყო და რომელმაც ერთხელ იყოთხა, თუ შეიძლება, ჩემი შვილი აქ ვატარო ფეხბურთზე.

ისტორია აქედან დაიწყო და ალბათ ეს გამხდარი ბიჭი რომ არ ყოფილიყო, ტოტალური ფეხბურთი, რომელიც მაშინ იბადებოდა პოლანდის ორ ძეველ კლუბში, უკიდურესად მოსაწყები, დამლლელი და შეუხედავი იქნებოდა.

სწორედ ამ ბიჭის ნიჭის გარშემო აშენდა ტოტალური ფეხბურთის სილამაზე და ინტელექტი. მარტო კი არ იყო, გარშემოც დიდი ფეხბურთელები ედგნენ, ერთმანეთზე უკეთესები, მაგრამ ის ერთადერთი იყო.

მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა, ფინალში დამარცხდა, მაგრამ თითქოს არ დამარცხებულა. იმხელა იყო, ისეთი იყო, ისეთი რამის შემოქმედებითი ღერძი იყო, რომ ისევ და ისევ წაგების და მოგების მიღმა დარჩა. რა თქმა უნდა, ისე, რომან-ტიტულად რომ ვთქვათ, თორემ თვითონ ამბობდა, ხარისხი შედეგის გარეშე, არა-ფერია, შედევი ხარისხის გარეშე, ასევე არაფერიო. დაახლოებით ასე.

იტყვანან ხოლმე, მოაზროვნე ფეხბურთელი იყოო. არის ასეთი გამოთქმა. მოაზროვნე ფეხბურთელი. კრუიფი მოაზროვნე ადამიანი იყო. უკიდურესად ჭკვიანი, განათლებული და უნიჭერესი კაცი.

შეიძლება ითქვას, რომ რაღაც კუთხით უკვდავი ვარ. – მისი ნაოქვამია. ძალიან სწორიც და არცთუ ქედმაღლური.

ფეხბურთი იოლი თამაშია. უბრალოდ, ძალიან ძნელია მისი იოლად თამაში. ესეც მისია.

## ■ ის ერთ-ერთი იმ

კაცთაგანი იყო, ვისი ყოფნაც ამ თამაშში გამუდმებით იგრძნობოდა. კრუიფი ფეხბურთელობას ოთხმოცანი წლების შუახანებში გამოეხოვა, მწვრთნელობას კი ბარეოცი წლის წინათ. თანამდებობა, რომელიც ამის შემდეგ რამდენი-

მე წელიწადს ეჭირა, კატალონიის ნაკრების მწვრთნელობა იყო, რაც სიმართლე ითქვას, დიდ დატვირთვას სულაც არ ნიშნავდა.

■ ეს იყო ერთადერთი ფეხბურთი, რომლისაც კრუიფს სწამდა და მან გააკეთა ეს ფეხბურთი. განახორციელა, ის რისიც სწამდა და მისგან ჩაყრილი საფუძველი ისეთი გამოდგა, რომ ველარავინ შეარყია. ივარგებდა, თუ არ ივარგებდა ბარსელონა, ეს ფეხბურთი არსებობდა. მისი მიზანი მასშტაბური ცალი უნდა იქნაოს და მას უნდა მისამართოს და უნდა მისამართოს და უნდა მისამართოს.



კრუიფი, მეორი, ლაპარაკობდა ყველა იმ ენაზე, რომელზეც დაელაპარაკებოდი. თუმცა, ეს ალბათ მხოლოდ ერთი ყოფითი შტრიხია. უამრავი საფეხბურთო წიგნის ავტორი იყო და ეს წიგნები, უკლებლივ ყველანი, საინტერესოა. ესეც არაფერი.

ის გასაოცარი მასშტაბის ფეხბურთელი იყო.

საბჭოთა დროს დიდად არ ვიყავით განებივრებულები მისი ცქერით. 74-ის მსოფლიო ჩემპიონატის ორი თამაში, რაღაც ფრაგმენტები, გადაცემა სპორტული კალეიდოსკოპი, პროგრამა „ვრემიაში“ გამერთალი კადრი და ასე. როცა ბარსელონა დონეცკის შახტიორს დაეჯახა და ეს ტელევიზორში იყო, კრუიფი იქ უკვე აღარ თამაშობდა, ნეესკონსი და კრანკლი იყვნენ. მანამდე აიაქსი, სამი ჩემპიონთა თასი, კრუიფი პირველად მსოფლიოში სამჯერ ოქროს ბრძოლის მფლობელი, უპირველესი ვარსკვლავი დროისა. რამდენ რამეში პირველი: თვით მინდვრიდან გაძევებული პირველი ჰოლანდიელიც კი გამოდგა.

ასევე, პირველი კაცი იყო, ვინც სათა-დარიგო ნომრით, ძირითადში თამაშობდა. 14. მისი ნომერი იყო. ყველაფერი იყო: მისი ცრიპილი შუა ზოლარღვეული აღიდასის მაისური და პუმას ბუცები და მისი ხასიათი ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მისი ის

ცრიპილი ბრუნი, რომელიც პირველად შვედებთან თამაშში გამოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატზე და იმის მერე დღემდე აკეთებენ შემორჩენილ ეზოებშიც კი.

თუმცა ესეც მხოლოდ შტრიხებია. მთავარი კრუიფში მის სპორტულ უნარებს შესამებული მისი აზროვნების მასშტაბი იყო და, რა თქმა უნდა, თანამედროვეობა.

ასეთი თანამედროვე, ასეთი წინ მიმავალი, როგორიც მის დროს იყო ფეხბურთი, ალარასდროს ყოფილა. იყვნენ მასზე დიდი გენიოსებიც, მაგრამ ამბობენ, რომ თამაშის ასეთი ფლობა, აზროვნების ასეთი სიფართოვის და მთელი მოედნის ასე აღქმის უნარი, ალბათ, მანამდე ერთ კაცს, ალაფრედო დი სტეფანოს ჰერნდა და იმასაც თავისი ეპოქის შესაბამისი, ტოტალურობის გარეშე.

იმპან კრუიფი გარდაიცვალა. რამდენ წელიწადს ალარ ეწეოდა, მაგრამ მაინც ფილტვის კიბოთი. დიდხანს არ უავად მყოფია.

ძალიან სამწუხარო და სევდიანი ამბავია, რომ ალარ არის ფეხბურთის დიდი გამცოცხლებელი და შემოქმედი, რომელიც ლაპარაკობდა ხოლმე მღელვარედ, ხისტად, ნარმიუდგენლად შთამბეჭდავად და სწორად, ხოლო თამაშობდა ისე, როგორნა, ეს დღეს კი არა, ხვალ ხდება. □



**WWW.LIBERALI.GE**

---



**WWW.LIBERALI.GE**

---

მოგვიანი



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მოგვიხვდეთ

**Facebook**

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გამოიხატ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>